ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გულიკო მჭედლიძე

გუდარეხის მონასტერი

ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლში მდებარე გუდარეხის მონასტრის ისტორია. საქართველოში არსებულ დიდ სამონასტრო სენიორიებისაგან განსხვავებით, გუდარეხის მცირე სამონასტრო სენიორია ამ ბოლო ხანებამდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ იყო.

სათანადო საისტორიო წყაროთა გაანალიზების საფუძველზე შესწავლილია გუდარეხის სამონასტრო სენიორიის მეურნეობა და მინათმფლობელობის ფორმები.

1643 წლიდან გუდარეხის მონასტერი, რომელიც სამეფო მონასტერი იყო, გახდა გერმანოზიშვილთა საკუთრება, ამას გუდარეხის მონასტერში შემორჩენილი მათი საფლავის ქვები ადასტურებენ. რადგან გუდარეხის მონასტერი ამ სათავადოს საძვალეს წარმოადგენდა, მონოგრაფიაში განხილულია გერმანოზიშვილთა საგვარეულოსა და სათავადოს ისტორიაც. გაირკვა, რომ გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი ააგო არა რუსუდან მეფემ (1222-1245 წწ.), როგორც დღემდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ რუსუდან დედოფალმა, დემეტრე თავდადებულის ასულმა.

ნაშრომი დააინტერესებთ არა მარტო სპეციალისტებს, არამედ საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი **ვაჟა კიკნაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: **დევი ბერძენიშვილი †**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი ოთხმეზური
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

© გ. მჭედლიძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-822-6

ავტორისაგან

ქართული მონასტრების ისტორია საქართველოს ეკლესიის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეკლესია-მონასტრებმა ძალიან დიდი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებასა, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებაში. ეს ეკლესია-მონასტრები, როგორც კულტურისა და განათლების კერები, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ და მხარს უჭერდნენ სამეფო ხელისუფლების კურსს – ენის, მამულისა და სარწმუნოების ერთობას.

მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესდნენ ქართული ეკლესია-მონასტრების ისტორიით. მონოგრაფიულად შესწავლილია თითქმის ყველა დიდი (განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში დაიწყო ინტენსიური კვლევა) სამონასტრო სენიორია და საეპისკოპოსო ცენტრი. მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა მცირე სამონასტრო სენიორიები. ყველა მონასტერს, განურჩევლად იმისა, ის დიდ სამონასტრო სენიორიას წარმოადგენს, თუ მცირე სამონასტრო კომპლექსს, თავისთავადი და საინტერესო ისტორია აქვს. ისინი ხომ ქართული მონასტრების ისტორიის შემადგენელი ნაწილია. მე დიდი ხანია დაწყებული მაქვს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი მხარის – ქვემო ქართლის მონასტრების ისტორიის კვლევა. შესწავლილი მაქვს: გუდარეხის, ფიტარეთისა და წულრულაშენის მონასტრის ისტორიები. შიდა ქართლის მონასტრებიდან კი დაწერილი მაქვს გამოკვლევა ქვათახევის მონასტრის ისტორიაზე.

გუდარეხის მონასტრის ისტორია აქამდე მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია. თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ღირსეულად შევძელი ამ გამოკვლევის დაწერა. ასევე მადლობით მივიღებ შენიშვნებსაც, რადგან როგორც ყველა ნაშრომი, არც ეს წიგნი იქნება, ალბათ, უხარვეზო.

სასიამოვნო მოვალეობად მივიჩნიე მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მხარში ამომიდგა და ხელი შემიწყო, რომ გუდარეხის მონასტრის ისტორია დაბეჭდილი მეხილა.

დიდი მადლობა ჩემი წიგნის რედაქტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვაჟა კიკნაძეს, ჩემი წიგნის რეცენზენტებს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს დევი ბერძენიშვილსა და გიორგი ოთხმეზურს.

ასევე დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ამ მონოგრაფიის კომპიუტერზე ამკრეფ მანანა სამნიაშვილს, დამკაბადონებელს და გარეყდის დიზაინერს – გიორგი ნავროზაშვილს.

დაე, გუდარეხის წმინდა გიორგი ფარავდეს მათ.

შესავალი

XV-XVI საუკუნეების ფეოდალური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური წყობა სათავადოთა, ანუ სენიორატის სისტემას ემყარებოდა. ამიტომ ქართული ფეოდალიზმის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცალკეული სენიორიის შეძლებისდაგვარად სრული შესწავლა და ქართული ფეოდალიზმის თავისებურებათა გამოვლინება.

სათავადოთა შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მონოგრაფიულად შესწავლილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიდი და მცირე სათავადოები და საეკლესიო-სამონასტრო სენიორიები. მცირე სამონასტრო სენიორიები კი მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, არადა მცირე სამონასტრო სენიორიების კვლევა, მათი ისტორიის წარმოჩენა, სამონასტრო მიწათმფლობელობისა და მისი მეურნეობის შესწავლა, სამონასტრო კორპორაციების გაცნობა, მათი დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებასთან უაღრესად აქტუალურია. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია რა დიდი როლი ითამაშეს მონასტრებმა ქართული კულტურის განვითარებაში, რადგანაც სწორედ ეკლესია-მონასტრები იყო ქართული კულტურისა და განათლების კერები.

ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიათა შორის გუდარეხის სამონასტრო ანსამბლს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ეს სამონასტრო სენიორია აქამდე მონოგრაფიულად არაეის შეუსწავლია. გუდარეხის მონასტრის ისტორიის კვლევას გერმანოზისშვილთა საგვარეულოს ისტორიასთან მიეყევართ, რადგან გუდარეხი იყო გერმანოზისშვილთა საგვარეულო საძვალე. ზოგადად, სამონასტრო სენიორიების ისტორიის კვლევა ფრიად აქტუალურია ქართული სენიორალური სისტემის უფრო სრულყოფილი შესწავლისათვის. მით

უმეტეს, რომ სამონასტრო სენიორიების კვლევაში საერო სათავადოებთან შედარებით დიდი ხარვეზია. ეს მონოგრაფია გარკვეულწილად სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად. იგი დააინტერესებს, არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ, საერთოდ, ქართული კულტურისა და ისტორიის მოყვარულ პირებს.

წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა

ამ მონოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი საფუძველია ეპიგრაფიკული მასალა – გუდარეხის მთავარი ტაძრის საამშენებლო წარწერა, რომელიც რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული. მათ შორის მნიშვნელოვანი ე. თაყაიშვილის გამოცემაა.[1] გამოკვლევაში აგრეთვე გამოყენებულია ვ. სილოგავას მიერ გამოცემული „ქვემო ქართლის წარწერები"[2], სადაც აღნიშნული მონასტრის საამშენებლო წარწერაც საყურადღებო სიახლეებით არის გამოქვეყნებული. ჩვენი შრომისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ რუსუდან დემეტრე მეფის ასულის მიერ ოლთისში აგებულ ვაჩეძორის ტაძრის ეგვტერის საამშენებლო წარწერას.[3] ნაშრომში საფუძვლიანადაა შესწავლილი გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში არსებული გერმანოზისშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელთა საფლავის ქვების წარწერები, რომლებიც გამოქვეყნებული აქვთ – ე. თაყაიშვილს[4], გ. ჩიტაიასა[5] და მ. ბროსეს[6].

---

[1] **Такайшвили Е.**, Археологические экскурсий, разыскания и заметки, Вып. 2, Тфл., 1905, с. 31-32. მისივე, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწ. I, პარიზი, 1929, გვ. 86-88.

[2] ვ. სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, დმანისი II, თბ., 2000, გვ. 246-249.

[3] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში, პარიზი, 1907, გვ. 58.

[4] ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწილი I, პარიზი, 1929, გვ. 86-88; მისივე, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწილი II, თსუ შრომები, ნაკვ. 43, თბ., 1951, გვ. 37-38.

[5] გ. ჩიტაია, პიტარეთის და გუდარეხის საფლავის ქვების წარწერები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1926, გვ. 111-117.

[6] **M. Brosset**, Melanges Asiatiques, I-II, 1852, გვ. 107-112.

ნაშრომში გამოყენებულია ე. მეტრეველის მიერ გამოცემული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები[1], რომელთაგანაც სამი აღაპი – (№ 65, 131, 250) რუსუდან დემეტრე მეფის ასულისა და მისი მეუღლის თაყა ფანასკერტელის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი გაგზავნილ შეწირულებას ეხება.

მონოგრაფიაში მრავლადაა წარმოდგენილი ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული დოკუმენტები (როგორც გამოუქვეყნებელი, ისე გამოქვეყნებული), რომლებიც ეხება გუდარეხის სამონასტრო ცხოვრებას და გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრებს.

ნარატიული წყაროებიდან გამოკვლევაში გამოყენებულია ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე[2], ჟამთააღმწერლის ისტორიული ქრონიკა[3] და ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია.[4]

კვლევისას ასევე ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულმა XVIII ს-ის საქართველოს სტატისტიკურმა აღწერილობამ[5], რომელშიც ძვირფასი მონაცემები არის შესული გუდარეხის სამონასტრო სენიორიისა და მისი კუთვნილი ყმა-მამულის შესახებ.

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 85, 91, 102.

[2] ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

[3] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959.

[4] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბ., 1973.

[5] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. I აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფე ვახტანგ VI ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანისშვილის მიერ 1721 წ. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907, გვ. 171-175.

გუდარეხის სამონასტრო მეურნეობის გაცნობისათვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა 1938-39 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.[1]

რამდენადაც სამონასტრო სენიორიებზე მუშაობა სათავადოთა სისტემის შესწავლას მოითხოვდა, ამდენად ამ ნაშრომში განხილულია სათავადოთა სისტემის შესახებ არსებული მდიდარი ისტორიოგრაფიული ლიტერატურაც.

სათავადოთა წარმოშობას და მის გენეზისს პირველად ქართველ მეცნიერთაგან შეეხო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომლის მიხედვითაც აზნაურთა წიაღიდან სათავადოთა წარმოშობის პროცესი XV საუკუნეში მიმდინარეობდა და XVI საუკუნეში დასრულდა. მისი აზრით, სათავადოების წარმოშობა ფეოდალური საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის შედეგი იყო.[2] სათავადოთა სისტემას და მისი წარმოშობის ისტორიას შეეხო ნ. ბერძენიშვილიც.[3] მისი მოსაზრებით, სათავადოთა სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. იგი ფიქრობდა, რომ სათავადოთა ჩამოყალიბება განაპირობა ქვეყნის ეკონომიკურმა რეგრესმა, რაც თავის მხრივ მომთაბარე, მეჯოგე ტომების განუწყვეტელი შემოსევების შედეგი იყო. ნ. ბერძენიშვილის აზრით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლა და სათავადოთა სისტემის წარმოშობა არ იყო ქართული ფეოდალიზმის ბუნებრივი განვითარების შედეგი.[4]

არსებობს განსხვავებული აზრიც. ს. კაკაბაძეს საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ სათავადოთა სისტემის წარმო-

---

[1] გუდარეხის კამპანიის ანგარიში, ლ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ., 1954.

[2] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1961, გვ. 396.

[3] **ნ. ბერძენიშვილი**, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი), თბ., 1937, გვ. 1-71.

[4] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 208.

შობა ქართული ფეოდალიზმის განვითარების ბუნებრივ შედეგად და ამდენად პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა.[1]

გასათვალისწინებელია ი. ანთელავას შეხედულება სათავადოთა სისტემის შესახებ. მისი აზრით, სათავადო, როგორც სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა, საკმაოდ გამძლე გამოდგა და ოთხ საუკუნეს გასტანა. სათავადოები „ჩიხის პროდუქტებად" კი არა, ფეოდალიზმის განვითარების პროდუქტად მიაჩნდა და უარყოფდა სათავადოთა რეაქციულ როლს. პირიქით, ფიქრობდა, რომ სათავადოთა სისტემაზე დაყრდნობით შეინარჩუნა საქართველომ სახელმწიფოებრიობა და თვითმყოფადი კულტურა და, რომ ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ სათავადო-სენიორიის როლი, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში კიდევ ასრულებდა თავის ფუნქციას.[2]

ცალკეული სათავადოების მონოგრაფიული შესწავლა ქართველმა მეცნიერებმა ინტენსიურად დაიწყეს XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ საქმის ინიციატორი ნ. ბერძენიშვილი იყო. სპეციალურ მონოგრაფიებში და სამეცნიერო შრომებში საფუძვლიანად არის შესწავლილი საერო და საეკლესიო-სამონასტრო სენიორიების წარმოშობის მიზეზები და საფუძვლები, დრო და პირობები, გაანალიზებულია სათავადოს, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და თავადური წოდების წარმოშობა.

დ. გვრიტიშვილმა შეისწავლა ქსნის და არაგვის საერისთავოები, საციციანო, სამუხრანბატონო, საამილახორო.[3] საამილახოროს სათავადო დაწვრილებით განიხილა აგრეთვე მ. ქიქოძემ.[4]

---

[1] **Какабадзе С.**, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средных веков, Тифлис, 1912; ... Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941.

[2] **ი. ანთელავა**, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 236.

[3] **დ. გვრიტიშვილი**, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

[4] **მ. ქიქოძე**, ქართლის სათავადოების ისტორიიდან, XV-XVIII სს. საამილახერო, მსკი, ნაკვ. 35, თბ. 1963.

გ. ჯამბურიამ კი სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ქვემო ქართლის ყველაზე დიდ სათავადოს – საბარათიანოს და გამოიკვლია საბარათიანოს დაშლის შედეგად წარმოშობილი ცხრა დამოუკიდებელი სათავადოს ისტორია. [1] გ. ჯამბურიას გამოკვლევა, მართლაც, მნიშვნელოვანი ნაშრომია ქვემო ქართლის სათავადოების ისტორიის შესასწავლად. დასავლეთ საქართველოს სათავადოების შესახებ შესანიშნავი გამოკვლევები ეკუთვნის ო. სოსელიას[2], რომელმაც დიდი რუდუნებით შეისწავლა დასავლეთ საქართველოს 23 სათავადოს ისტორია, მკაფიოდ განსაზღვრა სათავადოთა ისტორიული როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მკვლევრის სამართლიანი დასკვნით: „ქართული სათავადო, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის თვალსაზრისით, ისე სიუზერენ-ვასალური დამოკიდებულების მხრივაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიურია“.[3]

კახეთის სამეფოში არსებული სათავადოების ისტორია შეისწავლა ნ. ასათიანმა.[4] შიდა ქართლის სათავადოებით დაინტერესდა გ. ოთხმეზური[5] და რამდენიმე გამოკვლევა დაწერა ე. წ. „მცირე სათავადოებზე“.

---

[1] **გ. ჯამბურია**, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; მისივე, სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ნ. I, თბ., 1970.

[2] **ო. სოსელია**, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, სამ წიგნად, თბ., 1973, 1981, 1990; მისივე ფეოდალური საქართველოს დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოთა სისტემა), თბ., 1966.

[3] **ო. სოსელია**, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 6.

[4] **ნ. ასათიანი**, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII სს. კახეთის სამეფოში, თსუ შრომები, ტ. 77, თბ., 1959.

[5] **გ. ოთხმეზური**, შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილის ფეოდალური სათავადოები (ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, პოლონურ ენაზე), „პროგეორგია“, № 5, ვარშავა, 1996 წ., მისივე, სათავადოთა გაჩენის საკითხისათვის XVII ს. საქართველოში, გეორგიკა, № 19, კონსტანცა, 1991 (გერმანულ ენაზე); მისივე, სამაჩაბლო – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაწილი, პროგეორგია, № 7, ვარშავა, 1998 (პოლონურ ენაზე).

ბ. ლომინაძემ ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა საეკლესიო სენიორიებს, რომელთა შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში უფრო მეტი ხარვეზია, ვიდრე საერო სათავადოების შესწავლის საქმეში. მის ნაშრომში წარმოდგენილია გარეჯის და ბიჭვინთის სენიორიები. ნაჩვენებია ამ საეკლესიო სენიორიების პოლიტიკური ცხოვრების მთავარი ეტაპები, მიწათმფლობელობის ფორმები, მათი დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან; დადგენილია მათ მფლობელობაში არსებული მამულები; ახსნილია საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანის გარემოებები.[1] მკვლევარმა შეისწავლა ქართული საეკლესიო მიწათმფლობელობა, შეადარა იგი ევროპის საეკლესიო და სამონასტრო მიწათმფლობელობას და გამოავლინა მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავება. დასავლეთ ევროპაში საეკლესიო ქონების დაგროვება ძირითადად ხდებოდა ჩუქების ან ანდერძის საფუძველზე. ამიტომ ეკლესიის ხელში დიდძალი ქონება დაგროვდა, შეიქმნა საფრთხე სახელმწიფო მიწის შემცირებისა. დასავლეთ ევროპაში ეკლესიამ მყარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიაღწია. ამიტომ უკვე XIII საუკუნეში იწყება ე. წ. შემზღუდავი კანონების გამოცემა, XV საუკუნიდან კი ძალაში შედის სეკულარიზაცია (საეკლესიო ქონების სახელმწიფოს ხელში გადასვლა). ბ. ლომინაძემ კარგად დაინახა ის თავისებურება, რაც დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმისაგან განსხვავებით ქართულ საეკლესიო მიწათმფლობელობას ახასიათებდა. კერძოდ, ჩვენში არსებული მფლობელობის წესი (შეწირულობის ინსტიტუტი) ისედაც ზღუდავდა საეკლესიო მამულების გაზრდის ფარგლებს, მეორეც, იგივე წესი შესაძლებელს ხდიდა სახელმწიფოს როდესაც უნდოდა მაშინ ამოეღო საეკლესიო ქონება. საეკლესიო და სამონასტრო მამულების ზრდას ჩვენში აფერხებდა გარეშე მტრების ხშირი თავდასხმებიც. საეკლესიო მამულების შემცირების ტენდენციამ აიძულა ცენტრალური ხელისუფლება საგანგებო ზომებისათვის მიემართა საეკლესიო და

[1] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 100.

სამონასტრო ქონების გასაზრდელად.[1] ისტორიული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, როგორ იბრძვიან მონასტრები წართმეული მამულების დასაბრუნებლად. ხშირი იყო შეწირული მამულების უკან გამოწირვა შემწირველის მიერ. გუდარეხისა და ფიტარეთის შესახებ არსებულ ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება სასამართლო დავის განჩინებანი, რომლებშიც მონასტერი ცდილობს სასამართლოს მეშვეობით დაიბრუნოს ადრე შემოწირული, დაკარგული მამულები. სასამართლო დავა უფრო მეტად მონასტრების სასარგებლოდ წყდებოდა, რადგან ეკლესია-მონასტრების მხარდამჭერად სწორედ ცენტრალური ხელისუფლება გამოდიოდა, რომლითაც იგი დიდგვაროვანი ფეოდალების გაზრდილი მადის ალაგმვას ცდილობდა. ეკლესია-მონასტრებს ნასყიდი მამულებიც ჰქონდათ, მაგრამ მეტი წილი შეწირულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ეს იყო ის ძირითადი თავისებურება, რაც ახასიათებდა ქართულ საეკლესიო თუ სამონასტრო მიწათმფლობელობას.

რადგან გუდარეხის სამონასტრო სენიორიის ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანოზისშვილთა სათავადოსთან, ამდენად, ნაშრომში გვერდს ვერ ავუვლიდით ხსენებული სათავადოს ისტორიასაც, რადგან აღნიშნული მონასტერი ამ საგვარეულოს საძვალე იყო.[2] გუდარეხის სამონასტრო სენიორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი მონოგრაფიაში შესაძლოა წყაროთა სიმცირის გამო შედარებით მკრთალად იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ეს ხარვეზი შეივსება, როდესაც შეისწავლება რამდენიმე სამონასტრო სენიორიის ისტორია და გამოჩნდება ის თავისებურება და კანონზომიერება, რაც ახასიათებს ქართულ სამონასტრო მიწათმფლობ-

---

[1] **ბ. ლომინაძე**, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966. გვ. 100.

[2] **გ. მჭედლიძე**, გუდარეხის მონასტრის ისტორიიდან, მრავალთავი XIII, თბ., 1986, გვ. 53-63. გუდარეხის მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი, მრავალთავი XVII, თბ., 1992, გვ. 147-152; გუდარეხის მთავარი ტაძრის აშენების თარიღისათვის, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბ., 2001, გვ. 58-63; გერმანოზისშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან, მრავალთავი XIX, თბ., 2001, გვ. 401-406.

ელობას, ასევე საეკლესიო და სამონასტრო სენიორიების ქონების დაგროვებისა და დაცვის წესებს ფეოდალურ საქართველოში.

ნაშრომთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები განხილულია: ე. თაყაიშვილის, მ. ბროსეს, გ. ჩიტაიას, ივ. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, დ. გვრიტიშვილის, გ. ჯამბურიას, ე. მეტრეველის, ი. ანთელავას, ვ. სილოგავას შრომებში. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფთ ს. ჯანაშიას[1] გამოკვლევას ბარათაშვილების საგვარეულოს შესახებ, ე. მეტრეველის[2] კომენტარებს გუდარეხის მონასტრის აღმშენებელ რუსუდან დემეტრე მეფის ასულთან დაკავშირებით. საინტერესო გამოკვლევა აქვს დ. ბერძენიშვილს[3] „დმანისხევზე", სადაც საბარათიანოს სათავადოსაც ეხება.

ბარათაშვილთა ფეოდალური სახლიდან გერმანოზისშვილთა ახალი სათავადოს გამოყოფის პროცესი საფუძვლიანადაა გაშუქებული გ. ჯამბურიას[4] ნაშრომში. მკვლევრის მიერ მიღებული დასკვნები უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი შრომისათვის, თუმცა ყოველთვის არ ვიზიარებთ გ. ჯამბურიას შეხედულებას ზოგიერთ საკითხზე.

ამ მონოგრაფიაში გამოყენებულია ასევე დ. გვრიტიშვილის შრომა ქართული სათავადოების შესახებ, სადაც შესწავლილია ქართლის სათავადოები და მათ შორის შედარებით ნაკლებად საყაფლანისშვილო. ამ შრომაში დადგენილია ქართლის სათავადოების საზღვრები, ტერიტორია, მოსახლეობა; დახასიათებულია მეურნეობის სახეები, სათავადოს შინაგანი ორგანიზაცია, დამოკიდებულება მეზობელ სათავადოებთან; განსაზღვრულია ამ სათავადოების ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. დ. გვრიტიშ-

---

[1] **ს. ჯანაშია**, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 464-482.

[2] **ე. მეტრეველი**, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962. გვ. 136-137.

[3] **დ. ბერძენიშვილი**, დმანისხევი, დანართი II, თბ., 2000, გვ. 144-175.

[4] **გ. ჯამბურია**, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1965.

ვილის სამართლიანი მითითებით რამდენადაც: „სათავადო, გვიან ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ უჯრედს წარმოადგენდა, მაშინ გასაგები გახდება, რომ ქვეყნის ისტორიის სრულყოფილად დამუშავება სათავადოების შესწავლის გარეშე შეუძლებელია".[1] დ. გვრიტიშვილი იზიარებს ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას, რომ „სათავადოების წარმოქმნა ფეოდალური საწარმოო ძალების შემდგომი დეგრადაციის შედეგი იყო"[2], მაგრამ სხვა მოსაზრების მიხედვით, რომელიც წამოაყენა ს. კაკაბაძემ და გაიზიარა ი. ანთელავამ. სათავადოების წარმოქმნა ქართული ფეოდალიზმის განვითარების ლოგიკური გაგრძელება იყო და იგი სიუზერენ-ვასალურ ურთიერთობას ასახავდა. ზუსტად ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპაში.

მ. ქავთარიას ბოლოდროინდელი ნაშრომი დომენტი კათალიკოსის შესახებ იძლევა მნიშვნელოვან მასალას გუდარეხის მონასტრის უკანასკნელი წინამძღვრის დომენტი გერმანოზისშვილის შესახებ.[3] ბარათაშვილებისაგან წარმომდგარ ნაკლებადცნობილი გვარების შესახებ გამოკვლევა ეკუთვნის გ. ჯანდიერს.[4]

ქვემო ქართლის წარწერები კომენტარებითურთ გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ.[5] მის მიერ გუდარეხის ტაძრის საამშენებლო წარწერის ახლებურ წაკითხვას საესებით ეთანხმება ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ გუდარეხის მთავარი ტაძრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი, დემეტრე თავდადებულის ასულია.

ზემოხსენებულ მონასტერს შეისწავლის ლ. მენაბდე.[6] გუდარეხის შესახებ საინტერესო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული ნ. ჩუბი-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 53.

[3] მ. ქავთარია, რამდენიმე საკითხი დომენტი კათალიკოსის ბიოგრაფიიდან, ლიტერატურული ძიებანი, XIII, თბ., 1991, გვ. 173-180.

[4] გ. ჯანდიერი, ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის საგვარეულო განშტოებების შესახებ, მრავალთავი XVI, თბ., 1991, გვ. 173-180.

[5] ვ. სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, დმანისი II, თბ., 2000, გვ. 227-229, 233-234.

[6] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბ., 1962. გვ. 241-245

ნაშვილს[1], რომლის თანახმადაც გუდარეხის ეკლესია ააშენა რუსუდან მეფემ 1231-36 წლებში. ვ. ბერიძემ თავის ცნობილ მონოგრაფიაში „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, აღწერა გუდარეხის ტაძარი, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო და შესანიშნავი ძეგლი. მანვე ძველ ქართველ ოსტატთა შორის მოიხსენია გუდარეხის ხუროთმოძღვარი ჭიჭაფორისძე.[2]

აი, ამ წყაროების, არქეოლოგიური მასალის, ისტორიული დოკუმენტებისა და ისტორიული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დაიწერა ქვემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო სენიორიის, გუდარეხის მონასტრის ისტორია და მასთან ერთად გამოკვლევა გერმანოზიშვილთა სათავადოს შესახებ, რადგან გუდარეხი გერმანოზიშვილთა საგვარეულო საძვალე იყო.

---

[1] **Чубинашвили Н.**, Архитектура гударехского храма в ансамбле средневекового города, Тиф., 1945; მისივე, К вопросу о национальной форме в архитектуре прошлого. ქართული ხელოვნება № 3, თბ., 1950, გვ. 191-201. ქართული ხელოვნება, Гударехи, № 9, თბ., 1987, გვ. 61-62.

[2] **ვ. ბერიძე**, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 154-158. მისივე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1987, გვ. 233.

თავი I

გუდარეხის მონასტრის ისტორიიდან

(გუდარეხის სამონასტრო კომპლექსისა და მთავარი ტაძრის აშენების საკითხისათვის)

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ქვემო ქართლში, ახლანდელ თეთრიწყაროს რაიონში, მდინარე გუდარეხისწყლის სათავეში, რომელიც მდინარე ალგეთის მარჯვენა შენაკადია. ქვემო ქართლი კი ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო მხარეა. ეს ადგილი შემოზღუდულია თრიალეთის, ჯავახეთის და ბამბაკ-ერევნის ქედებით. რეგიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობის გამო მისი როგორც გარე, ასევე შიდა ადმინისტრაციული საზღვრები ხშირად იცვლებოდა. თავდაპირველად იგი მოიცავდა ისტორიული ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოების ტერიტორიებს. ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში ექვემდებარებოდა ქართლის პიტიახშს. VII-XI საუკუნეთა მანძილზე კი ამავე ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი პოლიტიკური ერთეულები: თბილისის საამირო, კლდეკარის საერისთავო, ტაშირ-ძორაკეტის სამეფო. XII-XIII საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე გაგისა და ლორეს სანაპირო საერისთავოები არსებობდა. XII-XIV საუკუნეებში ქვემო ქართლის ისტორიული რუკა კვლავ შეიცვალა: თათარ-მონღოლთა შემოსევებისა და თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად საქართველომ ხუნანის საერისთავო დაკარგა. სახელმწიფო საზღვარმაც ქცია-მტკვრის შესართავთან გადაინაცვლა. XV ს. ქვემო ქართლის ძირძველ მიწა-წყალზე დაიწყო თურქმანული ტომების, ე. წ. ელის ჩამოსახლება. ამავე საუკუნეში ბაღვაშორბელთა ყოფილი საერისთავოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა

ბარათაშვილთა დიდი სათავადო, რომლის ფუძემდებელი ბარათა ქაჩიბაძე იყო. XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასმა აქ ბორჩალუს ტომი ჩამოასახლა. XVIII ს. კი ოსმალობა-ყიზილბაშობამ, ლეკთა ამაოხრებელმა თარეშმა და შინაფეოდალურმა ომებმა ქვემო ქართლის ტერიტორია ქართველი მოსახლეობისგან თითქმის დაცალა. აქ თათრული და სომხური მოსახლეობა გაჩნდა და მაგრადაც მოიკიდა ფეხი.

ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორია დღესდღეობით მოიცავს – ბოლნისის, დმანისის, მანგლისის, მარნეულის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს რაიონებს.

ახლა გავეცნოთ ქვემო ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრული ძეგლის – გუდარეხის სამონასტრო სენიორიის ისტორიას.

გუდარეხი საუცხოოდ ნაგები გალავნით გარშემორტყმული სამონასტრო კომპლექსია, რომელიც დაახლოებით 4,5 ჰა ფართობს მოიცავს. სამონასტრო ანსამბლი შედგება – მთავარი ტაძრის, სამრეკლოს, სასახლის, საჯინიბოს, ეკლესიის, ბერების საცხოვრებელი სენაკების, სატრაპეზოს, მარნის, თონის და სხვადასხვა სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულების ნაგებობათაგან, რომელთა ნანგრევებიც კი ლამაზი ბუნებრივი გარემოს წყალობით და მაღალი ხუროთმოძღვრული დონის შენობათა სიმრავლით მნახველზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი გაშენებულია გრძელ და ვიწრო კლდეზე, რომლის თავი და ბოლო ფართოვდება. შენობების უმრავლესობა თლილი ქვით არის ნაგები და ქვის დამუშავების საკმაოდ მაღალი ტექნიკითაც გამოირჩევა. თავის დროზე ეს უზადოდ შესრულებული სამონასტრო ანსამბლი, მართლაც, შთამბეჭდავი სანახავი იქნებოდა.

გავეცნოთ ამ ხუროთმოძღვრული კომპლექსის მთავარ შენობა-ნაგებობებს:

გუდარეხის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში მითითებულია „ჩუქურთმიანი შენობის“ სახელწოდებით ცნობილი ნაგებობა.[1] არქეოლოგების აზრით, იგი ყველაზე ადრეა აშენებული. მართლაც, ჩუქურთმებით შემკული საცხოვრებელი სენაკი წარმოადგენს ოთხკუთხა შენობას (4×2 მ.), რომელიც გარედან საუცხოოდ გასიპული ღვინისფერი ფილაქნებით არის შემოსილი და წნული ჩუქურთმებითაა შემკული. კედლებიც ბათქაშით ყოფილა შელესილი. გადახურული იყო ჩარდახოვანი კამარით. კრამიტი ორგვარი ეფარა – მწვანედ შეღებილი კურტანიანი კრამიტი, ქიმებიანი კი – სოსნისფრად მოჭიქული. ეს საინტერესო ნაგებობა საამშენებლო ტექნიკის მაღალი დონითაც გამოირჩევა. კედელზე შემორჩენილია ქვის საწვიმარი ღარი, საიდანაც წყალი ქუჩაში გადადიოდა. არქეოლოგების აზრით, „ჩუქურთმიანი შენობის“ ადგილას ადრე სხვა შენობა მდგარა, გაცილებით უფრო დაბალი.[2] სავარაუდოა, რომ ეს ნაგებობა სატრაპეზო იყო და არა ბერების საცხოვრებელი სენაკი.

აქვე, ახლოს დგას ე. წ. ჯვრიანი ორსართულიანი შენობა, რომლის სარკმლის ზემოთ მოჩუქურთმებული ჯვარია გამოსახული. აქ განთავსებული ოთახები ნამდვილად ბერების საცხოვრებელ სენაკებს წააგავს. სარკმელებს კი დარაბების კვალი აჩნია.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსს გარშემო არტყია გალავანი, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული. გალავანს ორი კარი ჰქონდა – მთავარი ჭიშკარი, ე. წ. „დიდნი კარნი“ და პატარა კარები – „ცოტანი კარნი“. გალავნის კედელი ლეგა-მოთეთრო ფერის, დიდი ზომის თლილი ქვით არის აშენებული. აქვე ბაქანზე არის ამოკვეთილი აუზი, რომელიც, არქეოლოგების აზრით, აბაზანა უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება წვიმის წყლის ასავსები ავზის დანიშნულება ჰქონოდა.

გუდარეხის მონასტრის ერთ-ერთ საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს საჯინიბო (13,70×5,30 მ.), რომელიც საკმაოდ დიდი ზო-

---

[1] გუდარეხი. პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, შეადგინეს ლ. მუსხელიშვილმა, შ. ხიდაშელმა და ვ. ჯაფარიძემ, ლ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ., 1954, გვ. 6-7.

[2] იქვე, გვ. 8.

მისაა, თუმცა ოთახს სწორკუთხა ფორმა არა აქვს, რადგან გრუნტია გამოკვეთილი. ქვაზე შემორჩენილია ცხენებისა და ჯორების მისაბმელი.[1] საჯინიბო თაღოვანი გადახურვისაა. იქვე აღმოჩნდა ხუთი თონე. როგორც ჩანს, მათში ცხენებისა და ჯორების საკვებად ქერს ინახავდნენ. საჯინიბოს სამხრეთით მიშენებული ჰქონდა მარანი, სადაც აღმოჩნდა შვიდი სხვადასხვა ზომის ქვევრი, რომლებიც აშკარად პროდუქტების შესანახად იყო გამიზნული. არქეოლოგების დაკვირვებით გალავანისა და საჯინიბოს საამშენებლო ტექნიკა ერთნაირია, რაც მათი თანადროულობით (XII-XIII სს.) აიხსნება.

მშენებლობის მაღალ ტექნიკაზე მიუთითებს ისიც, რომ გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის შიდა ქუჩები სულ მოკირწყლული ყოფილა. ე. ი. ჯერ ქვაფენილი დააგეს და შემდეგ ქვაფენილის გამაგრების მიზნით კირწყალი მოასხეს.

არქეოლოგებს აღმოუჩენიათ თონის პირის ნატეხი, რომელზედაც შემორჩენილი ყოფილა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი XII-XIII საუკუნეებისა.[2] აქვე აღმოჩნდა ქვის მინიატურული (3×2,5 სმ.) სტეატიტის ხატი – ღვთისმშობელი ყრმა იესოთი. ნახელავი ძალიან სადაა. ღვთისმშობლის გამოსახულება წელს ზემოთაა, სამოსელი მხოლოდ აქა-იქ ჭდეებითაა მონიშნული, არც ღვთისმშობელს და არც იესოს სახეები არა აქვთ. იგი XII-XIII საუკუნეების ფენის ზემოთ აღმოჩნდა. ხატს ბერძნული წარწერა აქვს.[3]

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენს სასახლე, რომელიც მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 მ. დაშორებით მდებარეობს. ეს სასახლე ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ძეგლადაა მიჩნეული ქართველი ხელოვნებათმცოდნეების მიერ. იგი ხელოვნურად აშენებულ ბაქანზეა აგებული. ჩვენი ვარაუდით, ეს სასახლეც და წმინდა გიორგის სახელობის მთავარი ტაძარიც რუსუდან დედოფლის მიერ არის აშენებული. ეს ორივე ნაგებობა საამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით ერთ-

[1] გუდარეხი. თბ., 1954, გვ. 19.
[2] იქვე, გვ. 61.
[3] იქვე, გვ. 62.

მანეთთან ახლოს დგას, რაც მათი ქრონოლოგიური თანადროულობით აიხსნება და შესაძლოა ერთი ხუროთმოძღვრის შემოქმედებაც იყოს. ვფიქრობთ, რომ ორივე ძეგლი XIV საუკუნის I მეოთხედით თარიღდება.

სასახლე ორსართულიანია, საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავი (17,80×7 მ.), სასახლის პირველ სართულზე მარანი ყოფილა მოთავსებული, მეორე სართულზე კი – ფრესკებით მოხატული დარბაზი გადახურული ყოფილა ჩარდახოვანი კამარით.[1] მარანიც საამშენებლო ტექნიკის მაღალი დონით არის აშენებული. ამაზე მიუთითებს ფილაქნებით მოპირკეთებული იატაკი, ტკბილის დასანრეტი აუზი, ქვაში ამოჭრილი საწნახელი და 16 სხვადასხვა ზომის ქვევრი.[2] სასახლესთან მიდგმული იყო შენობა, რომელიც ორი ოთახისაგან შედგებოდა და ალბათ, სამზარეულოს წარმოადგენდა. აქვე მიკვლეულია ხუთი ქვევრის ნაშთი. მთავარ ტაძართან რამდენიმე მეტრის დაშორებით დგას ორსართულიანი ნაგებობა, რომლის ორივე სართულზე ორ-ორი ოთახი იყო განლაგებული. ზემოთა სართულზე იყო ბუხარი, რომელსაც თავზე დატანებული ჰქონდა საკვამლე მილი. ოთახები ბათქაშით ყოფილა შელესილი და ორფერდა სახურავით გადახურული. ოთახებში აღმოჩნდა თახჩები. პირველ სართულზე, ერთ ოთახში იყო თონე. აქ ორი თონე სიმხურვალის უკეთ შენარჩუნების მიზნით ერთმანეთში იყო ჩადგმული. თიხის მილით, რომელიც კედელში იყო დატანებული, წყალი ისხმებოდა გარეთ, ქუჩაში. როგორც ჩანს, დაბლა ოთახები სამეურნეო დანიშნულებისა იყო, ხოლო მეორე სართულზე – საცხოვრებელი სენაკები. ამ ოთახების გარეთ იყო ორი პატარა ბელელი. არქეოლოგების აზრით: „ამ შენობის აგების თარიღის დადგენა საკმაოდ ძნელია, იგი მთავარ ტაძარზე ადრე არ უნდა ყოფილიყო აშენებული, მაგრამ არც ძალიან გვიანდელი უნდა იყოს, რადგან განათხარი ინვენტარი XII-XIV საუკუნეებზე მიგვითითებს“.[3]

---

[1] გუდარეხი, თბ., 1954, გვ. 85.
[2] იქვე, გვ. 98.
[3] იქვე, გვ. 118.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის გალავნის გარეთ დგას ერთი საინტერესო ნაგებობა – ეს არის პატარა, ერთნავიანი ეკლესია-საჟამნო. ეს ძალიან ლამაზი პატარა ტაძარია ორფერდა გადახურვით, რომელიც შიგნიდან ფრესკებით ყოფილა მოხატული, ხოლო გარედან უხვად იყო შემკული ჩუქურთმებით. ნაგებობის ქვემოთ აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც ორი მიცვალებული იყო დასაფლავებული. ერთი მიცვალებულის ძვლები კუთხეში იყო მოგროვილი. როგორც ჩანს, ახალი მიცვალებულის შესვენებისას ძველი მიცვალებულის ძვლები კუთხეში მოუგროვებიათ. მაგრამ აუხსნელია რატომ დგას ეს საჟამნო მონასტრის გალავნის გარეთ. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დამარხული იყვნენ საერო პირები და მათ გუდარეხის მონასტერთან არავითარი კავშირი არა ჰქონდათ, ამიტომ დგას ეს პატარა ეკლესია მონასტრის გალავნის გარეთ. საჟამნო გუდარეხის სამონასტრო კომპლექსს აშკარად არ ეკუთვნოდა, იქ დაკრძალული მიცვალებულები კი დიდგვაროვანთა ფენის წარმომადგენლები იქნებოდნენ. არქეოლოგებს უჭირთ ამ პატარა ერთნავიანი ტაძრის აგების თარიღის განსაზღვრა.[1]

არქეოლოგების აზრით, გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის შენობა-ნაგებობათა უმრავლესობა და განათხარი არქეოლოგიური მასალა XII-XIV საუკუნეებით თარიღდება, ხოლო შენობა-ნაგებობათა მეორე ნაწილი XVII-XVIII სს. იყო აგებული.

გუდარეხის სამონასტრო ანსამბლის მშვენებაა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. იგი დიდი ერთნავიანი ეკლესიაა, ბათქაშითაა შელესილი და ნაგებია დიდი თლილი ქვებით, კედლებზე კი ფრესკების ნაშთებიცაა შემორჩენილი. გუდარეხის მთავარი ტაძარი 1938 წ. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა შეაკეთა.[2] ტაძარს ორი მინაშენი ჰქონდა. ჩრდილოეთით ეგვტერი, მეორე მინაშენი სამხრეთით – კარიბჭე, რომელიც ტაძრის საამშენებლო წარწერას ფარავდა. წარწერის უკეთ გამოჩენის მიზნით ე. თაყაიშვილმა ეს კარიბჭე მოანგრევინა. წარწერა ასომთავრუ-

[1] გუდარეხი, თბ., 1954, გვ. 122.
[2] იქვე, გვ. 103.

ლით არის შესრულებული. გთავაზობთ ამ წარწერის ე. თაყაიშვილისეულ წაკითხვას:

„სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა გიორგი მთავარმოწამესაჲთა აეშენა ესე ეკლესია ჴელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორესძისათა სალოცველად და სადიდებლად დედოფალ-დედოფლისათჳს რუსუდან დედოფლისა და შვილთა მისთა დღეგრძელობისა და ჩემისა სულისათვის. ეს წმიდაჲ ეკლესიაჲ მე გლახაკმა ანტონი მანგლელმა ვაკურთხე უფასოდ სულისა ჩემისათჳს".[1]

გუდარეხის მთავარი ეკლესიის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი დიმიტრი ბაქრაძეს[2] და მარი ბროსეს[3] XII-XIII სს. ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწედ, თამარ მეფის მამიდად და გამზრდელად მიაჩნდათ, ხოლო ე. თაყაიშვილმა იგი რუსუდან მეფედ მიიჩნია და მონასტრის აშენების თარიღად 1123-47 წწ. მიიღო. ეს დათარიღება ცოტაოდენი ცვლილებებით – 1223-45 წწ.[4], დღეს გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძრის მაშენებლადაც რუსუდან მეფეა მიჩნეული. ნ. ჩუბინაშვილმა კიდევ უფრო დააკონკრეტა ეს თარიღი და ზემოხსენებული ტაძრის აშენების თარიღად 1231-36 წლები მიუთითა.[5]

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი ცნობილია პირველი თარიღიანი საამშენებლო წარწერის მქონე სამრეკლოთი. მოგვყავს ამ წარწერის ე. თაყაიშვილისეული წაკითხვა:

„ადიდენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთ-მეფე დიმიტრი, მე მინაჲ მეფობისა მათისაჲ, უღირსი მღვდელი და ჯუარისმტვირთველი აბრაჰამ, ღირს ვიქმენ აღშენებად სამრეკლოთა ამათ,

---

[1] **Такайшвили Е.**, Археологические экскурсий разыскания и заметки, Вып. 2, Тифл., 1905, с. 31-32.

[2] **Бакрадзе Д.**, Записки общества любителей кавказской археологий, кн. 1. 1857, გვ. 54-55.

[3] **M. Brosset**, Melanges Asiatigues, I-II, 1852, გვ. 107-109.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 508. შდრ. ვ. ჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, გუდარეხი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1997, გვ. 291.

[5] **Чубинашвили Н. Г.**, Гударехи, ქართული ხელოვნება, № 9, თბ., 1987, გვ. 61-62.

სადიდებლად სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა... შეიწირენ ღმერთმან და ყოვლად წმიდამან მშობელმან მისმან, ამინ, ქრონიკონსა უუტ".[1] ე. ი. გუდარეხის სამონასტრო ანსამბლის სამრეკლო აგებულია 1278 წელს დემეტრე II-ის (1272-1289 წწ.) მეფობის ჟამს. მარი ბროსე[2] და დიმიტრი ბაქრაძე[3], ქარაგმიან ასოს Ѳ კითხულობდნენ, როგორც „დავითს" და ამდენად სამრეკლოს აგებას დავით სოსლანს მიაწერდნენ, ხოლო შესაბამისად ქრონიკონსაც კითხულობდნენ, როგორც „უკბ" და სამრეკლოს აშენების თარიღად 1202 წელს იღებდნენ. ე. თაყაიშვილმა გაასწორა ეს მცდარი წაკითხვა. ე. თაყაიშვილისეულ დათარიღებას ამაგრებს ჟამთააღმწერელის ცნობები აბრაჰამ ჯვარისმტვირთველის შესახებ. ცნობილია, რომ ის იყო საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ II-ის შემდგომ. აბრაჰამ კათალიკოსი სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად თან ახლდა დემეტრე მეფეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მონღოლთა ყაენის კარზე. მანვე ჩამოასვენა 1289 წლის მარტში წამებული მეფის ცხედარი საქართველოში და სვეტიცხოველში დაკრძალა. აბრაჰამ კათალიკოსის სახელი ისტორიულ დოკუმენტებშიც გვხვდება. 1297 წელს დავით მეფის მიერ გაცემულ წყალობის სიგელს აბრაჰამ კათალიკოსი ამტკიცებს.[4] აბრაჰამ ჯვარისმტვირთველის ხელრთვა უზის ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ 1281-82 წწ. არვანბეგ საბაისძისადმი მიცემულ წყალობის დაწერილს.[5] „ამა პატრონის ბრძანებასა მინაჲ ჯვარისმტვირთველი მოწმე და დამხდური ვარ". ეს დოკუმენტი კათალიკოსის ჯვარისმტვირთველმა ზოსიმე ივანიძემ დაწერა, ხოლო კათალიკოსის ხელრთვის მერე მოწმე და დამხდური ჯვარისმტვირთველი, სამეფო ჯვარისმტვირთველი აბრაჰამი იქნებოდა. კათალიკოსის მერე მეორე პირად მისი გამოყვანა, მეფის ჯვარისმტვირთველის პატივის მაჩვენებელია. სწორედ ამ ნიკოლოზ კათალიკოსმა თავისი ხელით კათალიკოსად აკურთხა 1284 წელს

---

[1] ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.
[2] მ. ბროსე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 109.
[3] დ. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.
[4] ხ. ი. ფ. Hd 1330.
[5] ცსსა, ფ. 1448-5037.

მეფის ჯვარისმტვირთველი აბრაჰამი. ამ დროს მეფის ჯვარისმტვირთველი აბრაჰამი რომ იყო, ამას 1278 წელს შესრულებული გუდარეხის სამრეკლოს საამშენებლო წარწერაც ადასტურებს.

დავუბრუნდეთ გუდარეხის მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის მთავარი ტაძრის საამშენებლო წარწერას, რომელიც იუწყება, რომ ტაძარი აშენდა ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძის ხელით რუსუდან დედოფლის სალოცველად და სადიდებლად. ეს ეკლესია ანტონ მანგლელმა აკურთხა.

საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი, ჩვენი დაკვირვებით, არ არის რუსუდან მეფე – თამარ მეფის ასული. არც ერთ საამშენებლო წარწერაში ხუროთმოძღვარი არ იხსენიება მეფეზე წინ. მაგალითად: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფე კონსტანტინე, ძე დავითისი, ამენ“.[1] ეს არის დავით ნარინის ძის კონსტანტინე მეფის (1293-1327 წწ.) საამშენებლო წარწერა ბედიის ეკლესიის კედელზე. ან „ადიდენ და დამყარენ ღმერთმან მეფენი ჩვენი დავით და დავით, დედოფალი თამარ-ხათუნი და ძე მათი, გიორგი, რომელთა წყალობათა ღირს ვიქმენ აშენებად ეკლესიის ამის... მე გლახაკი არსენ მშვიდაისძე, მანგლელი ეპისკოპოსი“.[2]

ტაძრის მაშენებელი რუსუდანი „დედოფალთ-დედოფალია“, ხოლო რუსუდან მეფე არც ერთ ისტორიულ წყაროში არ იხსენიება „დედოფალთ-დედოფლის“ ტიტულით, ყველგან ხაზგასმულია, რომ ის ატარებს მეფის ტიტულს და იშვიათად მეფე-დედოფლისას. მაგალითად, ჟამთააღმწერელთან 42-ჯერ არის ნახსენები რუსუდან მეფე, აქედან 27-ჯერ „მეფე რუსუდანი“, ხუთჯერ მხოლოდ „მეფედ“, ექვსჯერ „რუსუდანად“, რამდენჯერმე დავითი იწოდება „რუსუდანის ძედ“, მხოლოდ ერთგან იხსენიება „დედოფალ-დედოფალო მეფეო რუსუდან“.[3] ასევეა ლაშა-გიორგისდროინდელ

---

[1] ლაპიდარული წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, II, თბ., 1980, გვ. 176.

[2] ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

[3] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 168, 169, 172, 177, 182, 187, 190-192, 195, 199, 203-205.

მატიანესთანაც, რუსუდანი არის მეფე „ღვთივგვირგვინოსანი“.[1] ანალოგიური მდგომარეობაა სიგელ-გუჯრებშიც. მაგალითად, 1241-42 წწ-ში არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტარიძისადმი ბოძებულ წყალობის დაწერილს ამტკიცებს რუსუდან მეფე: „მე რუსუდან მეფესა დამინიშნავს“.[2] ისტორიულ დოკუმენტებში რუსუდან მეფე იხსენიება ან მეფის ტიტულით, ან დავით მეფის დედად.[3]

უმთავრესი კი ის არის, რომ რუსუდანის მეფობისას საქართველოში ჯერ ხვარაზმელთა და შემდეგ მონღოლთა თარეშისა და დაპყრობის შედეგად: „იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლისა ოხრად“.[4] რუსუდან მეფე ხვარაზმელთა თარეშამდე: „ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა“[5], ხოლო შემდეგ დატოვა გაველანებული ქართლი: „დამკვიდრდა ლიხთ-იქით და ვერცა ლიხთაქეთ გარდმოვიდეს და ვერცა ამერნი ვაზირნი მის წინაშე მივიდიან“.[6] თუ მემატიანეს სიტყვებს ვერწმუნებით: „ჰერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი... ყოველი ქვეყანა მწარე ოხრებასა შინა იყო“.[7] ერთი სიტყვით, რუსუდანის მეფობისას არ იყო იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ქვემო ქართლში ისეთი დიდი სამონასტრო კომპლექსის აშენება დაეწყოთ, როგორც გუდარეხის მონასტერია. ნ. ჩუბინაშვილი ვარაუდობს, რომ გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი 1231-36 წწ-ში აშენდა. ე. ი. ხვარაზმელთა თარეშის დამთავრების უმალ და მონღოლთა შემოსევების დაწყებამდე, რაც ძალზე საეჭვო ჩანს რუსუდანის მეფობის ხსენებულ პერიოდში.

არის კიდევ ერთი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ გუდარეხის ტაძრის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დე-

---

[1] ლაშა-გიორგისდროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 371.

[2] ცსსა, ფ. 1448-5803.

[3] იქვე, ფ. 1449-158; ხ. ი.ფ. Hd, 11 293.

[4] ჯამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტომი II, გვ. 167.

[5] იქვე, გვ. 168.

[6] იქვე, გვ. 188.

[7] იქვე, გვ. 190-191.

დოფალი არ არის რუსუდან მეფე. გუდარეხის მონასტრის ბერებს და ქართლის სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს სცოდნიათ, რომ ამ მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი ამავე მონასტერში ყოფილა დაკრძალული. რუსუდან დედოფლის საფლავი გუდარეხის მონასტერში თავის თვალით უნახავს ქართლის მეფეს ლუარსაბ მეორეს: „ჩვენ მეფეთა-მეფე პატრონი ლუარსაბ მოვედით მონასტერსა შინა გუდარეხისასა დედოფალ-დედოფლის რუსუდანის აშენებული იყო, თავისდა სასაფლაოდ სდომებოდა, მათი საფლავი ვიხილეთ“.[1] ცნობილია, რომ რუსუდან მეფე: „დასნეულებული გარდაიცვალა ტფილისს და წარიყვანეს მთავართა დიდთა პატივითა და ტყებითა... და დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა მონასტერსა გელათს“.[2] რუსუდან მეფე გუდარეხის მონასტერში რომ დაემარხათ, ჟამთააღმწერელი ამ ფაქტს უეჭველად აღნიშნავდა. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ერთიანი საქართველოს მეფეები ხომ გელათის მონასტერში იმარხებოდნენ. სრულიად ცხადია, რომ რუსუდან მეფე არ არის დამარხული გუდარეხის მონასტერში, ამდენად გუდარეხის მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი არ შეიძლება რუსუდან მეფესთან გავაიგივოთ.

ბუნებრივია ისმის კითხვა, ვინ იყო გუდარეხის მონასტრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი?

XIII საუკუნის მიწურულის საქართველოში კიდევ ერთი რუსუდან დედოფალი მოღვაწეობდა. იგი იყო დემეტრე თავდადებულის ასული, რომელიც მეფეს ტრაპიზონის კეისრის ასულისაგან შეეძინა. დემეტრე მეფეს ამ პირველი ქორწინებიდან რუსუდანის გარდა ოთხი ვაჟი ჰყავდა: დავითი, ვახტანგი, მანუელი და ლაშა. ცნობილი არ არის რუსუდან დედოფლის დაბადების წელი, პირმშოდ დავითი ითვლებოდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პირველი შვილი სწორედ რუსუდანი ყოფილიყო. ქართული ტრადიციისა და წესის მიხედვით პირმშოდ და მემკვიდრედ მხოლოდ ვაჟი ითვლებოდა, ძმებში კი დავითი, როგორც ჩანს, ყველაზე უფროსი იყო.

---

[1] ხ. ი.ფ. Hd 1554 ბ.

[2] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 207.

დემეტრე მეფემ თავისი ქალი რუსუდანი XIII ს-ის 80-იან წლებში მიათხოვა მონღოლებში ყველაზე გავლენიანი პირის, დიდი ემირის, ბუღას ვაჟს. აი, რას წერს ჟამთააღმწერელი ამ ფაქტის შესახებ: „მისცა ასული თჳსი რუსუდანი შვილსა დიდისა ბუღასა, რომლისათჳს დიდად განრისხებული ნიკოლოზ კათალიკოსი ფრიად აბრალებდა და ღმრთისა სასჯელთა თუალ-უხობასა აქადებდა“.[1] ეს, ბუნებრივია, სასულიერო წრეებს გააღიზიანებდა. თუმცა დემეტრე მეფემ ეს ნაბიჯი პოლიტიკური მოტივით გადადგა. ჟამთააღმწერელიც აღნიშნავდა, რომ: „მეფე დიმიტრი კეთილად მმართველი, სკიპტრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედმიწევნით მმართველი“[2] იყოო, მაგრამ, როდესაც დემეტრე მეფემ მესამე ცოლად (დემეტრე მეფეს მეორე მეუღლე მონღოლი სოლღარი იყო) მანდატურთუხუცეს ბექა ჯაყელის ასული ნათელა მოიყვანა, ნიკოლოზ კათალიკოსმა პროტესტის ნიშნად დატოვა კათალიკოსის ტახტი:

„ჴელითა თჳსითა აკურთხა ჯუარისმტჳრთველი მეფისა აბრაჰამ კათალიკოსად და თჳთ წარვიდა მამულად თჳსად და მუნ იყოფოდა მრავლითა მოღუაწეობითა“.[3] ეს კი 1284 წელს მოხდა. ეს კათალიკოსი აბრაჰამი სწორედ ის აბრაჰამ ჯვარისმტჳრთველია, რომელმაც დემეტრეს მეფობისას 1278 წელს ააგო გუდარეხის მონასტრის სამრეკლო.

დემეტრე მეფის სამივე ქორწინებას, ალბათ, პოლიტიკური მოტივი ედო სარჩულად. მისი პირველი ქორწინება ტრაპიზონის კეისრის ასულთან ტრაპიზონის იმპერიაზე საქართველოს ძველი გავლენის აღდგენის მცდელობას წარმოადგენდა, მეორე ქორწინება მონღოლთა კარზე გავლენის გაძლიერებას ისახავდა მიზნად, ხოლო მესამე ქორწინებით სამცხის შემოერთება სურდა, რადგან 1266 წლიდან სამცხე ხასინჯუდ იყო გამოცხადებული, მაგრამ საეკლესიო წრეებს ეს, ცხადია, არ მოეწონებოდათ.

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281.

[2] იქვე, გვ. 282.

[3] იქვე.

დემეტრეს მეფობისას საქართველოში შედარებით მშვიდობიანი ხანა დაიწყო. დაპყრობა დამთავრდა და ქვეყანას ხარკის გადახდის დრო დაუდგა. ე. ი. დადგა დრო ომების შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენა-აშენებისა. ეს გამოკვეთილად აღნიშნა ჟამთააღმწერელმა. დემეტრე მეფემ: „აღაშენნა ქუეყანანი მოოჴრებულნი, აღაშენა პალატთა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღვთისმშობლისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი"[1], რომ „ესრეთ დამშუდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იყო მშვიდობა. მოჰხედნა ღმერთმან წყალობითა მოსავთა მისთა და იყო უხუებაჲ პურისა და ღჳნისა და მეფე დიმიტრი განაგებდა სამეფოსა საქმეთა".[2]

როგორც ჩანს, მონღოლთა კარზე გავლენის განმტკიცების მიზნით გაატანა თავისი ქალი რუსუდანი ცოლად მონღოლების დიდი ემირის ბუღას ვაჟს, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ბუღასთან მეგობრობას და მოყვრობას ემსხვერპლა დემეტრე მეფე.

1288 წელს გამომჟღავნდა ბუღას შეთქმულება არღუნ ყაენის წინააღმდეგ. ბუღა, როგორც ამ შეთქმულების ინიციატორი, სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისი სახლეული წყალში ჩაყარეს და დააღრჩეს. როგორ გადაურჩა რუსუდან დედოფალი სიკვდილით დასჯას, ცნობილი არ არის, შესაძლოა, მაშინ საქართველოში იმყოფებოდა და ამგვარად აიცდინა სასჯელი. დემეტრე მეფე კი, როგორც ბუღას ახლობელი (მძახალი) და მისანდო კაცი, ამ შეთქმულებამ შეინირა; თუმცა მონღოლებმა ვერაფრით დაუმტკიცეს მას შეთქმულებაში მონაწილეობა.

დემეტრე მეფის სიკვდილით დასჯის მიზეზი ხუტლუ-ბუღას (სადუნ მანკაბერდელის ვაჟი) ღალატის გარდა, მისი დიდი სიმდიდრეც იყო. ჟამთააღმწერელი, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ ახლოს იყო დემეტრე მეფესთან, წერდა: „დიმიტრი მეფემან მოიგო სიმდიდრე დიდად დიდი, სიმდიდრესა ზედა, რომელი დაშთომოდა მამისა

[1] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 271.
[2] იქვე, გვ. 276.

მისისაგან და მსახურებდა ყაენსა არლუნს, რამეთუ თანაშეეწეოდა ნოინი დიდი ბუღა".[1] როდესაც სამეფო საგანძური „საჭურჭლე მეფისა" დემეტრესი არლუნ ყაენის წინაშე მოიტანეს, ყოვლისმნახველი ყაენიც კი „განკვრდა სიმრავლისათვის", იმდენად აურაცხელი იყო დემეტრე მეფის საგანძური. 1289 წლის 12 მარტს დემეტრე მეფეს თავი მოკვეთეს, იქ იყვნენ აბრაჰამ კათალიკოსი, მოსე მღვდელი, უფლისწული დავითი და სხვა ქართველი დიდებულები.

რაც შეეხება დემეტრე მეფის ასულ რუსუდანს, პირველი მეუღლის დაღუპვისა და მამის სიკვდილით დასჯის მერე იგი, როგორც ეს ე. მეტრეველმა დამაჯერებლად გაარკვია, დაკავშირებული ჩანს ფანასკერტელების ცნობილ საგვარეულოსთან.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში ჩაწერილია რუსუდან დემეტრე მეფის ასულის სამი აღაპი № 65, № 131, № 250. ვეყრდნობით ე. მეტრეველის წაკითხვას:

№ 65 X.VIII 56V. „ამათ წმიდათა მარხვათა ქრისტეს შობისათა და წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა შაბათ-კვრიაკეთა და ტაძრად მოყვანებასა ხარებად და დიდსა ხუთშაბათსა გაგვჩენია ევაგრესი, რუსუდანესათჳს და თაყა ფანასკერტელისთჳს. გავაჩინეთ ჩვენ ჯუარისა მამამან სჳმონ ელმელიქის ძემან, მოძღუარმან აღდგომისამან, დეკანოზმან და იერუსალიმს და ჯუარს მყოფთა ძმათა ერთსულობით. გამოეგზავნა დიდსა დაჭირებასა შიგან დემეტრე მეფისა ასულისა რუსუდანს და თაყა ფანასკერტელსა შჳდი ათასი თეთრი და ამისთჳს მათთჳს სალოცველად, რომე შემდგომად გამოწირვისა თჳთო სეფისკუჭრი და თჳთოჲ სასუმელი ღვინოჲ ერთობილსა კრებულსა მიეცემოდეს მათთვის შენდობასა იტყოდენ – შაბათსა რუსუდანისათჳს და კვრიაკეს თაყასათჳს. და ათასი თეთრი სხვაჲ გამოეგზავნა მათვე საპანაშვიდედ, რომე ტაძრად მიყვანებად რუსუდანისათჳს გარდაიჴდებოდეს და თევდორობად თაყასათჳს მისითა განგებითა და ვინცა ესე გარდაგდოს რაჲსაცა მიზეზისათჳს სადამდის ქართველნი იყვნენ, უნაწილომცაა ქრისტესაგან".[2]

---

[1] ჭამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 286.

[2] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XV-XVIIIსს.), თბ., 1962, გვ. 85.

№ 131 ტაბულაშიც იხსენიება რუსუდან დემეტრე მეფის ასული, ოღონდ თაყა ფანასკერტელის გარეშე:

„თუესა დეკემბერსა, კვ, კჳრიაკესა შემდგომად ქრისტეს შობისა.

ამასვე დღესა აღაპი რუსუდან დემეტრეს მეფისა ასულისა. ამისნი აღმასრულებელნი აკურთხეს ღმერთმან".[1]

№ 250 აღაპში კი თაყა ფანასკერტელის ცოლი რუსუდანი იხსენიება:

„თუესა ივნისის იდ, ამასავე დღესა წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ ფანასკერტელისა ცოლისა რუსუდანისი, შეუნდვენ ღმერთმან".[2]

ამ აღაპების გამოკვლევის საფუძველზე ე. მეტრეველმა გააკეთა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: „№ 65 აღაპის რუსუდანი რომ ნამდვილად დიმიტრი თავდადებულის ასულია და არა სხვა რომელიმე დიმიტრი მეფისა, ამას მხარს უჭერს XLVIII ტაბულის ქრონოლოგიური საზღვრები XIII ს-ის დამლევი და XIV საუკუნის პირველი მეოთხედი. ამავე ფარგლებშია დაწერილი რუსუდანისა და თაყა ფანასკერტელის აღაპი. ეს აღაპი, როგორც ჩანს, დაწერილია რუსუდანის სიცოცხლეში, ვინაიდან იერუსალიმში თვითონ რუსუდანს გაუგზავნია დიდი თანხა დალოცვის განსაწესებლად, ხოლო შემდეგ დამატებით გაუგზავნია საპანაშვიდე თანხა. სვინაქსარში რუსუდანის კიდევ რამდენიმე აღაპია ჩაწერილი. № 131 აღაპი, რუსუდან დემეტრე მეფის ასულისა და № 250 აღაპი ფანასკერტელის ცოლის რუსუდანისა. ვფიქრობთ, № 65 აღაპის რუსუდანი, თაყა ფანასკერტელთან ერთად მოხსენიებული, იგივე დემეტრეს ასული და ფანასკერტელის ცოლი რუსუდანი უნდა იყოს".[3]

როგორც ჩანს, რუსუდან დედოფალი პირველი მეუღლის დაღუპვის შემდეგ მეორედ გათხოვილა და თაყა ფანასკერტელის მეუღლე გამხდარა. რუსუდან დემეტრე მეფის ასული რომ ნამდვილად ფანასკერტელების საგვარეულოსთან იყო დაკავშირებული, ე. მეტრეველის აზრით, ამას ცხადყოფს მის მიერ ოლთისში ვა-

[1] ე. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 91.
[2] იქვე, გვ. 102.
[3] იქვე, გვ. 136-137.

ჩეძორის ტაძრის ეგვტერის აშენება 1306 წელს. ეს საამშენებლო წარწერა გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს:

„ქართველთა და აფხაზთა მეფის დიმიტრის ასულ(ისა პატრონ)სა რუსუდანისა დაუთავეთ ყ(ოვლითა) და მათითა საფასოჲთა აღეშენა ეკუტერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისასა, მოძღვრობასა შინა... ურ გოდერძის ძისა, ქრონიკონსა ფკვ".[1] ეჭვს არ იწვევს, რომ წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დიმიტრი მეფის ასული – დემეტრე II თავდადებულის ასული რუსუდანია, რომელიც თაყა ფანასკერტელის მეუღლედ იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში. ე. მეტრეველი წერს: რუსუდანი „თაყა ფანასკერტელის მეუღლე გამხდარა და უკვე თავის სამფლობელოში 1306 წელს შედგომია ფანასკერტელთა უდიდესი ეკლესიის ვაჩეძორისათვის ეგვტერის მიშენებას. შესაძლოა ეგვტერი სამწირველად იყო ნავარაუდევი მისთვის ან მისი მეუღლისათვის, მით უმეტეს, რომ თაყა ამ დროისათვის, საფიქრებელია, უკვე მიცვალებული იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც მოხსენიებული იქნებოდა სააღმშენებლო წარწერაში".[2] წარწერის ტექსტის ე. თაყაიშვილისეული წაკითხვა ჩვენი აზრით, რამდენიმე დაზუსტებას მოითხოვს. „პატრონისა" ე. თაყაიშვილმა აღადგინა მთლიანად. ჩვენი ვარაუდით, აქ „დედოფლისა" უნდა წერებოდა. გაუგებარია წაკითხვა „დაუთავეთ ყ(ოვლითა)", რომელიც წარწერის ტექსტის შინაარსში არ ჯდება, თანაც წარწერაში ლაპარაკია არა ერთ პიროვნებაზე, არამედ ორზე მაინც, რადგან „მათითა საფასოჲთა აღეშენა" ეს ეგვტერი.

ვფიქრობ, წარწერა ასე უნდა გაიმართოს: „ქართველთა და აფხაზთა მეფის დიმიტრის ასულისა (დედოფლი)სა რუსუდანისა და (ფანასკერტელისა თაყასა) და მათითა საფასოჲთა აღეშენა ეკუტერი, ესე სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისასა, მოძღვრობასა შინა... გოდერძის ძისა, ქრონიკონსა ფკვ". ე. ი. 1306 წ. აშენებულა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვაჩეძორის ტაძ-

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში, პარიზი, 1907, გვ. 58.

[2] ე. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.

არზე მიშენებული ეგვტერის საამშენებლო წარწერაში თაყა ფანასკერტელი იმიტომ არ იხსენიებოდა, რომ იგი გარდაცვლილი იყო, მაგრამ, მით უმეტეს, მაშინ არ უნდა გამორჩენოდა რუსუდან დემეტრე მეფის ასულის გარდაცვლილი მეუღლის სულის მოხსენიება. მაგრამ ამ წარწერის შესახებ ე. მეტრეველის მიერ გამოთქმული ვარაუდი უფრო დამაჯერებელი ჩანს: „გარკვევით მხოლოდ ასო ყ იკითხება; დანარჩენი ასოები აღდგენილია... ხომ არ შეიძლება აქ ვივარაუდოთ სახელი თაყა? მითუმეტეს კონტექსტის მიხედვით გამომღები ერთ კაცზე მეტი უნდა იყოს".[1]

ვვარაუდობთ, რომ სწორედ რუსუდან დემეტრე მეფის ასულისა და თაყა ფანასკერტელის საფასით აშენდა ვაჩეძორის ეგვტერი 1306 წელს. ამ წელს რომ თაყა ფანასკერტელი ცოცხალია, ვიცით. ჟამთააღმწერლის მიხედვით, თორთომის ციხის ძირში 1306 წელს თაყა ფანასკერტელი მცირე ლაშქრით გმირულად ებრძოდა აზატმოსეს რუმის თურქთა მრავალრიცხოვან ჯარს.[2] ცნობილია, რომ ფანასკერტელები შავშეთის წარჩინებული გვარის ასპანიძეთა ის განშტოებაა, რომელსაც ზაქარია ასპანიძემ ჩაუყარა საფუძველი. მას თამარ მეფემ სამამულედ ციხე-ქალაქი ფანასკერტი უწყალობა, რის შემდეგაც ასპანიძეთა ეს შტო ფანასკერტელებად იწოდა. ისინი მონაპირეობდნენ შავშეთიდან სპერამდე. ფანასკერტელები შავშეთ-კლარჯეთის, ტაო-სპერის ერისთავები იყვნენ.

ასე რომ, ამ ეგვტერის მაშენებელი მარტო რუსუდან დედოფალი კი არა, მასთან ერთად მისი მეუღლე თაყა ფანასკერტელიც არის. ამიტომაა წარწერაში „მათითა საფასოჲთა" ეგვტერის შენებაზეა ლაპარაკი. თაყა ფანასკერტელი 1306 წელს ცოცხალი იყო და ეს წარწერაში კიდევაც აისახა.

ე. მეტრეველი საკმაოდ დამაჯერებლად ვარაუდობს იმასაც, რომ რუსუდან დედოფლისა და თაყა ფანასკერტელის შეწირულობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში წაიღო რუსუდან დედოფლის ძმამ, ვახტანგ მეფემ (1298-1308 წწ.), რომელიც 1299 წელს მონ-

[1] ე. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.
[2] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 311.

ღოლებთან ერთად ქართველთა ლაშქრით მონაწილეობდა ეგვიპტის სულთანს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. ბუნებრივია, იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერსაც მოინახულებდა. ამას ადასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ვახტანგ მეფისათვის გაჩენილი № 206-ე აღაპი. ეს აღაპიც XL. VIII ტაბულაშია მოთავსებული ისევე, როგორც რუსუდან დემეტრე მეფის ასულისა და თაყა ფანასკერტელის აღაპები.

„თუესა მარტისა კე, ამასავე დღესა დიდებულსა ხარებისასა აღაპი და პანაშვიდი რაჲზომიცა მღდელი და დიაკონი იყო მეფეთა მეფისა ვახტანგისათჳს, და მეუღლისა მისისა რიფსიმესათვის".[1] „რვაჲ თავი ლაჰრი და ათასი თეთრი" მიუცია ვახტანგ მეფეს მამა სოლომონისა და სვიმონისათვის და მათაც მონასტრისათვის მოუხმარიათ ეს თანხა და სამაგიეროდ აღაპი გაუჩენიათ ვახტანგ მეფისა და მისი მეუღლის დედოფალ რიფსიმესათვის. რადგან რუსუდან დემეტრე მეფის ასულისა და ვახტანგ მეფის აღაპები ერთ ტაბულაშია გაერთიანებული – ეს მათი თანადროულობის მაჩვენებელია.

ჩვენი ვარაუდით, თაყა ფანასკერტელის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, დაქვრივებული რუსუდან დედოფალი ქართლში დაბრუნდა, ააშენა გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძარი და როდესაც გარდაიცვალა, მისი სურვილის თანახმად, ამავე მონასტერში დაასაფლავეს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით არც რუსუდან დემეტრე მეფის ასულისა და არც თაყა ფანასკერტელის გარდაცვალების თარიღები. სავარაუდებელია, რომ რუსუდან დედოფალი დაახლოებით 1273-74 წწ-ში იყო დაბადებული, თაყა ფანასკერტელი 1306 წლის შემდეგ გარდაიცვლებოდა. რუსუდანი კი, სავარაუდოდ, XIV ს-ის 20-იან წლებამდე იცოცხლებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გუდარეხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დაახლოებით 1306-20 წლებში აიგო და, თუ ლუარსაბ მეფეს ვერწმუნებით, რუსუდან დედოფალს „თავის სასაფლაოდ დომებოდა".

[1] ე. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის ნაგებობათა უმრავლესობა XII-XIII სს-ში არის აშენებული. მთავარი ტაძარი კი, როგორც ეტყობა, მტერთა შემოსევის შედეგად დაქცეულა და რუსუდან დედოფალს დანგრეული ტაძრის ადგილას ახალი ეკლესია აუგია. სამრეკლო, როგორც ჩანს, უფრო ადრე დაიქცა და მის ნაცვლად ახალი სამრეკლო 1278 წელს ააშენა დემეტრე მეფის ჯვარისმტვირთველმა აბრაჰამმა. რუსუდან დედოფლის მიერ აგებული ტაძრის ადგილას რომ ადრე სხვა ეკლესია მდგარა, ამას ადასტურებს გუდარეხის ტაძრის ჩრდილოეთ კედელში ვერტიკალურად ჩასმული ქვები, რომლებზედაც ასომთავრულით შესრულებული წარწერები პალეოგრაფიულად X-XII საუკუნეებით თარიღდება: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი", „ქრისტე შეიწყალე, ადამ".[1] სავარაუდოდ, არქეოლოგების აზრით, ეს გიორგი და ადამი, ძველი ტაძრის ქტიტორები იყვნენ. ახალი ეკლესიის აგებისას კი ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძემ, როგორც ჩანს, ეს წარწერიანი ქვები საამშენებლო მასალად გამოიყენა და კედელში ჩააშენა.

ამრიგად, მოხმობილი მასალის ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი დემეტრე თავდადებულის ასულია, რომელიც ქველმოქმედებით და ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვით გამოირჩეოდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რუსუდან დედოფლისა და მისი მეუღლის თაყა ფანასკერტელის მიერ იერუსალიმის მონასტრისათვის „დიდ გაჭირვებასა შინა" გაგზავნილი შეწირულება, მეუღლეთა საამშენებლო საქმიანობა ოლთისში და საკუთრივ რუსუდან დედოფლის მიერ აგებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გუდარეხის სამონასტრო ანსამბლში.

ეს იმდენად დიდი სამონასტრო კომპლექსია, რომ ნ. ჩუბინაშვილმა იგი „შუა საუკუნეების ქალაქად" მიიჩნია, მაგრამ ეს ნამდვილად სამონასტრო კომპლექსია და არა ქალაქი. გუდარეხი ქალაქი არასოდეს ყოფილა. მაშინ ვახუშტი „გუდარეხს არს მონას-

[1] გუდარეხი.., გვ. 104.

ტერიო" კი არ იტყოდა, არამედ ქალაქად მოიხსენიებდა. არც ერთ ისტორიულ დოკუმენტში გუდარეხი ქალაქად არ იწოდება, ყველგან ხაზგასმით აღინიშნება, რომ ის მონასტერია.

მართალია, გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის შენობათა დიდი ნაწილი XII-XIII საუკუნეებშია აგებული, მაგრამ ზოგიერთი ნაგებობა XIV ს. განეკუთვნება, ზოგი უფრო გვიანიცაა. ბუნებრივია, სამონასტრო კომპლექსს თანდათანობით ემატებოდა შენობები, ზოგიც ინგრეოდა და მის ადგილზე ახალი შენობა შენდებოდა. გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი და სასახლე არქიტექტურული თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსია, რაც მათი თანადროულობით აიხსნება. შეიძლება დავუშვათ, რომ ორივე შენობა ხუროთმოძღვარმა ჭიჭაფორისძემ ააგო.

XII-XIII საუკუნეებში აგებული გუდარეხის მონასტერი სამეფო მონასტერი იყო 1643 წლამდე, ვიდრე როსტომ მეფემ ეს მონასტერი გერმანოზისშვილებს არ უბოძა საგვარეულო საძვალედ. ამ ფაქტს ადასტურებს გუდარეხის მონასტერში არსებული გერმანოზისშვილთა საგვარეულო საფლავები და მათზე ამოკვეთილი წარწერები.

ამრიგად, გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი აშენდა XII-XIII საუკუნეებში, თამარისა და ლაშას ეპოქაში, როდესაც ქვეყანას გააჩნდა დიდი სამონასტრო კომპლექსების აშენების რეალური შესაძლებლობები. მტერთა შემოსევების შედეგად (ხვარაზმელები, მონღოლები) თავდაპირველად დაინგრა გუდარეხის მონასტრის სამრეკლო, იგი 1278 წელს ხელახლა ააშენა დემეტრე მეფის ჯვარისმტვირთველმა აბრაჰამმა. ასევე დაქცეულა გუდარეხის სამონასტრო ანსამბლის მთავარი ტაძარიც, რომელიც ხელახლა აუშენებია რუსუდან დედოფალს, დემეტრე თავდადებულის ასულს და არა რუსუდან მეფეს, როგორც აქამდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. გუდარეხი თავდაპირველად სამეფო მონასტერი იყო, 1643 წელს კი გუდარეხის მონასტერი საგვარეულო სასაფლაოდ უბოძა როსტომ მეფემ ბარათაშვილების ერთ-ერთ დიდ განშტოებას – გერმანოზისშვილებს, რომელთაც საკუთარი სათავადოც კი ჰქონდათ შექმნილი.

გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძრის მაშენებელი რუსუდან დედოფალი ამ მონასტერშივე ყოფილა დაკრძალული მაშინ, როდესაც ნარატიული წყაროების მიხედვით, რუსუდან მეფე გელათშია დასაფლავებული.

ჩვენი დასკვნები გუდარეხის მთავარი ტაძრის აღმშენებელ რუსუდან დედოფლის შესახებ გაიზიარა ვ. სილოგავამ, რომელმაც გამოსცა გუდარეხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საამშენებლო წარწერა მნიშვნელოვანი სიახლეებით. აი, რას წერს იგი: „1992 წელს გ. მჭედლიძემ გამოაქვეყნა წერილი გუდარეხის წარწერის რუსუდან დედოფლის შესახებ. მისთვის ცნობილი იყო გუდარეხის წარწერის ე. თაყაიშვილისეული ტექსტი, მაგრამ მან მაინც სწორად ივარაუდა და მაშინ მის ხელთ არსებული მასალებით დაამტკიცა, რომ წარწერაში უნდა იხსენიებოდეს არა რუსუდან მეფე, არამედ დემეტრე II თავდადებულის ასული რუსუდანი. იგი ჯერ მონღოლეთის დიდი ემირის ბუღას ვაჟზე უნდა იყოს გათხოვილი, ხოლო ბუღასა და მისი ვაჟის მონღოლთა სამეფო კარზე გადატრიალების გამო ამოწყვეტის შემდეგ, ე. მეტრეველის დასკვნით, თაყა ფანასკერტელზე გათხოვილა. ეს მოსაზრებები და დასკვნები სავსებით დადასტურდა წარწერის ტექსტის ახლებური წაკითხვით და მასში თაყას მოხსენიებით“.[1]

მოგვყავს ვ. სილოგავას მიერ გუდარეხის მონასტრის სამშენებლო წარწერის ახლებური წაკითხვა: „ს(ა)ხ(ელით)ა ღ(მრთისაჲ)თა და მეოხებითა წმიდისა გ(იორგ)ი მთავარმოწამისაჲთა აეშენე წ(მიდ)ასა ესე ეკლესია წ(მიდი)სა გ(იორგ)ისი ჴელითა ც(ო)დვ(ი)ლისა .... ჭიჭაფორისძისაჲთა, სალ(ოცვ)ლად და სადიდებ(ე)ლად დ(ე)დათა მნათ(ო)ბის რუსუ(და)ნ დედოფლისა და შვილთა მ(ისთა დღეგრძ)ელობისათუ)ის, ს(უ)ლისა თ(ა)ყ(ა)ის(ა)თ(უი)ს. მე გლ(ა)ხ(ა)კმ(ან) ანტ(ო)ნი (მ)ანგლ(ელ)მ(ა)ნ ესე ეკლ(ესია)ჲ ვ(ა)კ(უ)რთხე უფას(ო)დ, ს(ა(ლ(ო)ცველად ს(უ)ლისა ჩემისათუის“.[2]

[1] ვ. სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, დმანისი II, თბ., 2000, გვ. 227.

[2] იქვე, გვ. 249.

მართლაც, ეს წაკითხვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ე. თაყაიშვილისეულ გუდარეხის მონასტრის საამშენებლო წარწერის წაკითხვისაგან. ვ. სილოგავას ნაშრომს თან ახლავს ამ წარწერის ფოტოპირი, სადაც „თყ" აშკარად იკითხება და აქ, მართლაც, წერია „სულისა თაყაისათუის" და არა „ჩემი სულისათვის", როგორც ეს ე. თაყაიშვილმა წაიკითხა. „თ ყ" სხვა არავინაა, თუ არა თაყა ფანასკერტელი, რომელიც რუსუდან დემეტრე მეფის ასულის მეორე მეუღლე იყო. გუდარეხის მთავარი ტაძრის შენებისას ის გარდაცვლილი ყოფილა, რაც ამ წარწერიდან აშკარად ჩანს. სწორედ ამიტომ არის აგებული ეს ტაძარი რუსუდან დედოფლის მიერ მისი შვილების დღეგრძელობისა და თაყას სულის მოსახსენებლად.

მაგრამ ამ საამშენებლო წარწერის ტექსტის ზოგიერთი ადგილის სილოგავასეული წაკითხვა გარკვეულ ეჭვს ბადებს. იგი წერს: „ცალკე ყურადღებას იქცევს რუსუდანის მიმართ ნათქვამი „დედათა მნათობი", ხომ არ ნიშნავს, რომ რუსუდანი შემონაზვნდა, დედათა მონასტრის წინამძღვარი შეიქმნა, ხოლო საკუთრივ გუდარეხი დედათა მონასტერი იყო? ყველაფერი ეს, როგორც გუდარეხის საამშენებლო წარწერის ახლებურ წაკითხვასთან და ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხი ცალკე საკვლევია".[1]

ძნელი სათქმელია თავდაპირველად გუდარეხის მონასტერი დედათა მონასტერი იყო თუ მამათა სავანე. ისტორიული დოკუმენტებიდან ეს არ ირკვევა, თუმცა XVI-XVII სს-ში იგი რომ მამათა მონასტერი იყო, ეს ცხადია. არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად გუდარეხის მონასტერი, მართლაც, დედათა მონასტერი იყო და სწორედ იმიტომ დამკვიდრდა იქ რუსუდან დედოფალი და გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძარი თავის სასაფლაოდ აიშენა, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდების სფეროა არგუმენტების გარეშე. ასევე წარმატებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამეფო მონასტერი გუდარეხი თავიდანვე მამათა მონასტერი იყო.

ვ. სილოგავამ „Თ Ბ" დაქარაგმებული სიტყვის ადგილას ამოიკითხა „დედათა მნათობი". აქ ე. თაყაიშვილისეული წაკითხვა

[1] ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 227.

„დედოფალ-დედოფალი“ უფრო სწორი უნდა იყოს. რუსუდან დედოფალი რომ მონაზონი გამხდარიყო და, ვთქვათ, სახელიც არ შეეცვალა, მაშინ ის საერო ტიტულით „დედოფალი“ თავს არ მოიხსენიებდა და წარწერაში იქნებოდა – „რუსუდან-ყოფილი“, „დედოფალ-ყოფილი“. არც ერთი მონაზონი თავს „დედათა მნათობის“ ეპითეტით არ მოიხსენიებდა, ქრისტიანული თავმდაბლობა არ მისცემდა ამის ნებას, მაგრამ თუ წაკითხვა „დედათა მნათობი“ სწორია, იქნებ ეს იმას ნიშნავს, რომ რუსუდანი „დედათა“, ანუ ქალთა შორის ღირსებებით გამორჩეული პიროვნება იყო, ქველმოქმედებით განთქმული, მონასტერთა მაშენებელი, უცხოეთის ქართული სამონასტრო კერების ფინანსურად ხელგამმართველი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის დიდი შენირულობა, რომელიც რუსუდან დედოფალმა და მისმა მეუღლემ თაყა ფანასკერტელმა გაუგზავნეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს და მისი საამშენებლო საქმიანობა ოლთისსა და გუდარეხში.

ვ. სილოგავას ეკუთვნის საინტერესო დაკვირვება გუდარეხის ტაძრისა და დემეტრე თავდადებულის მიერ აშენებული თბილისის მეტეხის ეკლესიის ზოგიერთი დეტალის მსგავსების შესახებ. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გუდარეხის ეკლესია დარბაზულია, ხოლო მეტეხის ტაძარი გუმბათიანი, მაგრამ: „საერთოა მათი აღმოსავლეთის ფასადების გაფორმების სისტემა, შუაში დიდი სარკმელი, ფართო ორნამენტიანი არშიით, მას ზემოთ დიდი ჯვარი და ქვემოთ ასევე დიდი ზომის დეკორატიული რომბი. როგორც ცნობილია, ტაძრის აღმოსავლეთის ფასადების ეს სისტემა ძველია. ჯერ კიდევ XI ს-ის 30-იან წლებში გვხვდება და დღეს ცნობილი პირველი ასეთი ძეგლი სამთავისის ტაძარია. ეს სისტემა მეტად სიცოცხლისუნარიანია. გასდევს იგი კლასიკური ხანის ხუროთმოძღვრობას და აგერ XIV საუკუნის დამდეგის ძეგლშიც იჩინა თავი“.[1]

შესაძლოა, ეს ცალკეული მსგავსებანი იმის დასტურიც იყოს, რომ გუდარეხის ტაძარი და მეტეხის ეკლესია ერთი ხუროთმოძღვრის – ჭიჭაფორისძის მიერ არის აგებული. ხუროთმოძღვრული

[1] ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228.

სტილისა და ჩუქურთმების დეკორის ასეთი მსგავსება სხვას რას უნდა მივაწეროთ. არა გვგონია, ეს დამთხვევა იყოს. მაგრამ აქ კომპეტენტური სიტყვა ხელოვნებათმცოდნეებსა და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის სპეციალისტებს ეკუთვნით. თუ ჭიჭაფორისძე მეფის ხუროთმოძღვარი იყო, შესაძლოა მეტეხის ტაძარი XIII საუკუნის მიწურულს აეგო, ხოლო გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის წმინდა გიორგის სახელობის მთავარი ეკლესია კი – XIV საუკუნის დასაწყისში – 20-იან წლებამდე.

ამრიგად, გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძარი აშენებულია ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძის მიერ, ხოლო მაშენებელი მისი არის რუსუდან დედოფალი, დემეტრე II თავდადებულის ასული, მაკურთხებელი – ანტონ მანგლელი, რომელსაც, სამწუხაროდ, წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა, ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ გუდარეხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და თბილისის მეტეხის ტაძარი მსგავსი ხუროთმოძღვრული სტილის გამო ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძის აგებული იყოს.

თავი II

გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვათა წარწერები და მათი მნიშვნელობა გერმანოზისშვილთა სათავადოსა და მონასტრის ისტორიისათვის

საბარათიანოს სათავადოს წარმოშობა

სანამ გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების წარწერებსა და მათ მნიშვნელობას შევეხებოდეთ, უნდა შევჩერდეთ ბარათაშვილთა სათავადოს წარმოშობაზე, რადგან გერმანოზისშვილები ბარათაშვილთა ერთ-ერთი დიდი განშტოება იყო. თავად საბარათიანო კი, როგორც დამოუკიდებელი ფეოდალური სენიორია, XV ს-ში ჩამოყალიბდა.

XV საუკუნე, მართლაც, განსაკუთრებულია საქართველოს ისტორიაში. ეს განსაკუთრებულობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მოშლით, სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბებით და ახლად აღზევებული ფეოდალური გვარების სიმრავლით გამოიხატება. ძველი ფეოდალური გვარების ჩამომცრობა და გაქრობა ისტორიის ასპარეზიდან თემურ-ლენგის ამაოხრებელი შემოსევებით იყო გამოწვეული. არაერთი ფეოდალური საგვარეულო შეენირა და შეაწყდა ამ ბრძოლებს. გადაშენებულ ფეოდალთა ნასახლარებზე ახალი გვარები მოდიან და ეპატრონებიან გავერანებულ მამულებს. რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაქუცმაცებულ საქართველოში სათავადოთა სისტემამ გაიმარჯვა. სუსტი სამეფო ხელისუფლება ვეღარ უწევდა კონტროლს ფეოდალებს, ვეღარც ვეღარაფრით ეხმარებოდა მათ. ამან გამოიწვია ფეოდალური საქართველოს სა-

ზოგადოებრივ ურთიერთობაში ახალი ვითარების შექმნა. ბატონყმობის შემდგომმა განვითარებამ სათავადოთა სისტემის წარმოშობას ჩაუყარა საფუძველი. ამან კი ხელი შეუწყო ახალი, ფეოდალური საგვარეულოების შექმნასა და აღზევებას.

სათავადო წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულს. თავადი ფორმალურად მეფის მოხელეა, სათავადო კი – სამოხელეო. მაგრამ რეალურად სათავადო სამემკვიდრო მამულად არის ქცეული და მამიდან შვილს გადაეცემა. სათავადოთა სისტემის შექმნა არსებულ სიტუაციაში იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი. სათავადოთა სისტემამ გადაარჩინა საქართველო. როდესაც თავადი თავის სათავადოს ინტერესებს იცავდა, ებრძოდა გარეშე მტერს და იგერიებდა მომხდურს, ამით ქვეყნის ნაწილს იცავდა. როცა დაქცეულ სოფლებს აშენებდა, დანგრეულ ეკლესია-მონასტრებს აღადგენდა, გაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებს, ამით ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უწყობდა ხელს. მართალია გ. ჯამბურია, როდესაც წერს: „სათავადო არის ის ძალა, რომელსაც ეყრდნობა მეფის ხელისუფლება, ქართლში არ არსებობდა სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი ძალა, რომელზედაც დაყრდნობით შესძლებდა ცენტრალური ხელისუფლება მართვას. სათავადოს გარკვეული ვალდებულებანი აკისრია ცენტრალური ხელისუფლების წინაშე (ჯარის გამოყვანა, „სახელმწიფო ხარჯის“ მოკრეფა და სხვა). ყველა ამისთვის პასუხისმგებელია მეფის მოხელე-თავადი (ფეოდალური სახლის უფროსი). სახლის წევრებსაც გარკვეული ვალდებულებანი აკისრიათ მეფის წინაშე. ყველა ამ ურთიერთვალდებულებას აწესრიგებს ცენტრალური ხელისუფლება – მეფე, რომელიც ამ სახლიკაცების რიგის დამცველად გამოდის“.[1]

სათავადო ფეოდალიზმის განვითარების პროდუქტი იყო. ეს იყო სენიორატის სისტემა, რომელსაც ფეოდალიზმის ბუნება განაპირობებდა. გადაშენებულ ფეოდალთა ნაოხარზე ახალი გვარების

[1] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 138.

მოსვლასა და დაფუძნებას თავად სამეფო ხელისუფლება უწყობდა ხელს, როგორც ქვეყნის მოშენების ხელშემწყობ ფაქტორს. ამაზე არაერთი სიგელი არსებობს: მაგალითად, ურდოელაშვილები გადაშენებულ ღაფირაძისეულ მამულს დაეპატრონნენ, ივანისძეთა უმკვიდრო საქადაგო სახლი მაღალაძეებს უბოძეს, აბულახტარისძეების მამულზე ზევდგინიძეები გაბატონდნენ. ძველი ფეოდალების მირიანისძეთა მამული, რომელიც „დაბოლოვდა და უმკვიდრო" იყო საღვინეს მოლარეს ქავთარაძეს უბოძეს.

სათავადოთა სისტემის წარმოშობა პროგრესული მოვლენა იყო მისი წარმოქმნის პირველ ეტაპზე. მაგრამ შემდგომ, როდესაც მეფის მიერ სამოხელეოდ გაცემული მამულები სამემკვიდრეოდ აქციეს, ზოგმა მთლიანად და ზოგმა ნაწილობრივ სათავადო გაათავისუფლეს სამეფო და სახელმწიფო გადასახადებისაგან და ქართველმა თავადებმა მიაღწიეს შეუვალობას. მათ აღარ სურდათ ცენტრალური ხელისუფლების დამორჩილება და მისი სიძლიერე. სწორედ ამას გულისხმობდა ნ. ბერძენიშვილი, როცა წერდა: „ერთადერთი, რაც კიდევ აკავშირებდათ ამ ნახევრად ხელმწიფეებს მეფის ხელისუფლებასთან, იყო მათი სალაშქრო მოვალეობა. თავადები ვალდებულები იყვნენ მათზე შენერილი მოლაშქრეთა რაოდენობით გამოსულიყვნენ მეფის მოწოდებაზე, რაც დრო გადიოდა მით უფრო ზედმეტ ტვირთად მიაჩნდათ ეს და ისინი სულ უფრო და უფრო იფარგლებოდნენ თავისი სათავადოს ინტერესებით".[1]

სწორედ ამ ეპოქაში, XV საუკუნეში ხდება ქვემო ქართლში ძველი საორბელოს ტერიტორიაზე ბარათაშვილების აღზევება, რაც დიდი სათავადოს შექმნით – საბარათიანოს ჩამოყალიბებით მთავრდება. მის ბაზაზე კი XVI-XVII საუკუნეებში ცხრა ახალი სათავადო წარმოიშვა, რომელთაგან ერთ-ერთი საგერმანოზისშვილო იყო.

ბარათაშვილები რომ ქაჩიბაძეები არიან, ეს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა აღნიშნა: „იტყვიან ჩამომავლობასა ქაჩიბა-

[1] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 302.

ძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი".[1] ბარათაშვილთა წარმომავლობა გარკვეული აქვს ს. ჯანაშიას შრომაში: „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის": „ქაჩიბაძეები ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას, ორბეთ-სამშვილდის მებატონეები ხდებიან და „საორბელოსაც" „საბარათიანოდ" აქცევენ".[2] ბარათაშვილების წარმოშობას ქაჩიბაძეებისაგან იზიარებს გ. ჯამბურია, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საბარათიანოს სათავადოს ისტორია. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მან გააკეთა დასკვნა: „სრულიად ცხადი ხდება, რომ ბარათაშვილები ქაჩიბაძეების ჩამომავალნი არიან. ეს მასალა აგრეთვე მოწმობს, რომ ქაჩიბაძეებს ბარათაშვილები ბარათასგან ეწოდათ, როგორც ამას ფიქრობს თ. ჟორდანია და იზიარებს ს. ჯანაშია".[3] როგორც ჩანს, ბარათაშვილების დიდ საგვარეულოს საფუძველი, მართლაც, ბარათა ქაჩიბაძემ ჩაუყარა.

ს. ჯანაშიას აზრით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის ხანაში სხვა ლიხთ-იმერელ კოლონისტებთან ერთად ქართლში გადმოდიან ქაჯიფასძე-ქაჩიბაძეები, ბაღვაშთა ნაოხარზე სახლდებიან და საორბელოსაც საბარათიანოდ აქცევენ. ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ფიტარეთის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფაისძე არის წინაპარი ქაჩიბაძე-ბარათაშვილებისა. ქაჯიფასძე-ქაჩიბასძე, როგორც ჩანს, ერთი გვარია. ფიტარეთის ტაძრის საამშენებლო წარწერა გვამცნობს: „... ღირს ვიქმენ მომადლებითა ღმრთისაჲთა, მე, ქავთარ ქაჯიფაისძე, ამირეჯიბი თჳთმპყრობელისა, ძლიერისა და მეფეთ-მეფისა გიორგისი, აღშენებად ამას მონასტრისა და საყდრისა დედისა ღმრთისა... არაჲვისი ჰრთავს თჳნიერ ჩემისა ჰალალისა და ჴრმლითა მოგებულისა...

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 33.

[2] **ს. ჯანაშია**, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 481.

[3] **გ. ჯამბურია**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

ვიყიდენ ტანძიაჲ და თევდორწმინდაჲ ჩემითავე ჴრმლითა მონაგებითა საფასითა“.[1]

სოფელ თევდორწმინდაში დღესაც დგას წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია, რომლის საამშენებლო წარწერას ე. თაყაიშვილი XIV ს-ის I ნახევრით, ხოლო ვ. სილოგავა XIII ს-ით ათარიღებს. ამ ეკლესიის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული პირიც აფხაზეთიდან ჩანს გადმოსული: „ოდეს ამ ეკლესიას ვაშენებდით, მოგვცა პ (80 – გ. მ.) დუკატი გაბრიელ ჩაბაისძემ“.[2]

ჯერ კიდევ მამუკა ბარათაშვილი აღნიშნავდა: „ვინ ძირათ ბარათ, ქავთარის მოძე ქაჩიბაძისა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ბარათაშვილები ქავთარ ქაჩიბაძის ჩამომავლები (“მოძე”) არიანო. ს. ჯანაშია ქაჩიბაძის გვარს აფხაზურ, უფრო სწორად ერთ-ერთ ძველ ქართულ ტომთან – ქაჩებთან აკავშირებს. ძველ ქართულში, როგორც ჩანს, პროტოქართველურ ენაში „ბა“ ნიშნავდა შვილს. დღესაც, „ბაიას“ პატარა ბავშვს ვეძახით. ბა-ლღი, ბა-ვშვი, ბ-ღარი, ბო-ვშვი, ბა-ღანა, ბებშ (სვანურად), ბა-დიში, ბი-ჭი, ბუ-ში – ქართული ენის ყველა დიალექტზე პატარა ბავშვს ნიშნავს. ბა-ვშვი ნიშნავს, ბავშვი გავაჩინეო. როგორც ჩანს, ძველ პროტოქართულ ენაში „ბა“ აღნიშნავდა შვილს. ამიტომაა, რომ „ბა“-ზე დაბოლოებული გვარები გვაქვს არა მარტო კოლხურ-აფხაზურ სამყაროში, არამედ აღმოსავლურ ქართულშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ძველად ქართული გვარები ბოლოვდებოდნენ „ბა“-ზე, „შვილის“ აღმნიშვნელ უძველეს სიტყვაზე. ამავე წარმომავლობის გვარები ბევრია ქართულ ონომასტიკონში: დუმბაძე, სუმბაძე, დარბაიძე, გურაბანიძე, ქაჩიბაია, ჩიქობავა, გუმბარიძე, გოგიბაშვილი, ქეცბაია, ანჩაბაძე, გებაძე, მოდებაძე, ახობაძე, გოგებაშვილი, რაჯებაშვილი, ნაბაისძე, ნადიბაიძე, ნანობაშვილი, საბაისძე, მირაბაშვილი, ბაიაშვილი, მუკბანი, გულბანი, ფილფანი და სხვა მრავალი. შემდეგ „ბას“ გვარის მეორადი მაწარმოებელი „ძე“, „შვილი“ ან „ია“ დაემატა. ასევე, ცხოველებისა და ფრინველების შთამომავლობის აღმნიშვნელ სიტყვებში: ბა-ტკანი, ბა-რტყი, ბა-ხალა, ბო-კვერი და სხვ.

---

[1] ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 246-247.

[2] ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 249.

თავიანთი წარმომავლობა კარგად იცოდნენ ბარათაშვილებმა. გერმანოზ ბარათაშვილი სასამართლოზე ამბობდა: „როდესაც

ჩვენმან გუარის კაცმან დიდმან ბარათა მცხეთას ყორანთა შესწირა სამძღვარნი და წისქვილნი სიგელშიგა რომ სწერია და ეს არის სამძღვარი, ამას აქეთ შეუწირავს და ამას ზემოთ არ არის შენირულიო".[1] გერმანოზ ბარათაშვილისა და კათალიკოსის დავას ლუარსაბ I (1527-58 წწ.) არჩევდა. ეს სამამულე დავა რატევანის საზღვრებს და სოფელ ყორანთას შეეხებოდა. ამ დოკუმენტით ნათელია, რომ გერმანოზ ბარათაშვილისათვის ბარათა ქაჩიბაძე მათი „გვარის კაცია" და „დიდ ბარათად" ინოდება ეტყობა იმიტომ, რომ ახალ სათავადოს საბარათიანოს და ახალ საგვარეულოს – ბარათაშვილების გვარს მისცა დასაბამი.

ისტორიული დოკუმენტებიდან ჩვენთვის ცნობილი ამ გვარის პირველი წარმომადგენელი სწორედ ეს ბარათა ქაჩიბაძეა, რომელმაც სოფელი ყორანთა შესწირა სვეტიცხოველს. იგი ალექსანდრე I (1412-42 წწ.) თანადროული მოღვაწე და სამეფო სალაროს მოლარე იყო: „მე ქაჩიბასძემან, სალაროს მოლარემან, ბარათამან და მეუღლემან ჩუენმან პატრონმან თინათინ და ძეთა ჩუენთა დავით, გერმანოზ, ლაპამან"[2] შესწირეს სოფელი ყორანთა სვეტიცხოველს. ასე რომ, ბარათაშვილებმა კარგად იციან, რომ მათი წინაპარი და მათი საგვარეულოს დამფუძნებელი ბარათა ქაჩიბაძეა. გორჯასპი ბარათაშვილისათვის მიბარებულ ასლანის სამამულე წიგნების ნუსხაში იხსენიება სიგელი: „ქაჩიბაძის მიცემული ილარიონის წიგნი ერთი". როგორც ჩანს, ეს ქაჩიბაძის სიგელი იყო, რომელსაც ბარათაშვილები ინახავდნენ, როგორც თავიანთი წინაპრის საბუთს (იხ. ხ. ი. ფ. Sd 1931). 1470 წელს კი ქაჩიბაძეების სახლში დაბერებულმა ნინომ ქვათახევის მონასტერს შესწირა სააღაპედ ღვთისავარ ქურციკაულისაგან ნაყიდი ვენახი (ს. კაკაბაძე,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 43.

[2] **ს. კაკაბაძე**, ისტორიული საბუთები, წ. III, თბ., 1913, გვ. 37.

ისტორიული საბუთები, II, თბ., 1913, გვ. 20-21). ნინო, ალბათ, ქაჩიბაძეების ასული ან რძალი იყო.

არსებობს მეორე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქაჩიბაძე-ბარათაშვილების წინაპრად გამოყვანილია თორელ-ჯავახისშვილები. ამ მოსაზრებას სათავე დაუდო რ. ფირცხალაიშვილმა.[1] მას მხარი დაუჭირა ი. ახუაშვილმა, რომელმაც გაზეთ „გვარიშვილობაში" 2000 წ-ს გამოაქვეყნა სტატია: „ვინ იყვნენ ბარათაშვილების წინაპრები". ამ მკვლევართა ამოსავალი დებულება ემყარება საკუთარ სახელს – ქავთარს. ქავთარი სპარსული წარმომავლობის სახელია და საკმაოდ გავრცელებული ქართულ ონომასტიკონში. ქავთარი იყო ტბელების საკუთარი სახელი, ივანისძეთა საგვარეულო სახელი. მაგალითად, ლორეს ამბოხებაში მონაწილეობდა ქავთარ ივანისძე. დავით აღმაშენებლის დროს მოღვაწეობდა ქავთარ ბარამისძე, რომელიც ჰერი დიდებული იყო. XV ს-ში ჩანს გვარი ქავთარიძეც, რომელიც მირიანისძეთა ძირძველი ფეოდალური გვარის ნაოხარზე დამკვიდრდა. ის ფაქტი, რომ სახელი „ქავთარი" იერუსალიმის ჯვრის აღაპებში იხსენიება, არგუმენტად არ გამოდგება ქავთარიშვილთა გვარის არსებობისათვის. რადგან აღაპებში ხსენებულ ქავთარს აშკარად სახელის ფუნქცია აქვს და არა გვარისა: „№61 (თუესა ნოენბერსა იგ) ამასავე დღესა სრული აღაპი ნიკოლოზის შვილისა ქავთარისი. წააგო მონასტრისა სასაურავოდ შჳდი ათასი დრამაჲ დიდსა დაჭირვებასა ჩუენსა შინა მყოფთათჳს. ვინ შეუცვალოს იოანე ოქროპირისა მიერ კრულმცა არს".[2] ე. მეტრეველის მიხედვით" № 61 აღაპის ქავთარი და მომდევნო № 62 აღაპის ქავთარი ერთი და იგივე პირია.[3] პირველ შემთხვევაში ქავთარის შვილია ივანე, ხოლო მეორე შემთხვევაში ქავთარია ნიკოლოზის შვილი. მაშასადამე, ერთმანეთის მომდევნო ორ აღაპში განწესებულია მამა-შვილის მოსახსენებლები".[4]

---

[1] რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1987, გვ. 43.

[2] ე. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 84.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 135.

ანუ

ნიკოლოზი
|
ქავთარი
|
ივანე

ეს აღაპები XIII ს-ის დამლევით თარიღდება. ე. მეტრეველის მსჯელობა სავსებით დამაჯერებელია და მისაღები. ამ აღაპების მიხედვით იმაზე მსჯელობა, რომ იქ ქავთარისშვილთა გვარის პირველი ხსენებაა და ამით ბარათაშვილების ადრინდელ გვარად ქავთარიშვილის გამოცხადება, რითაც ბარათაშვილების საგვარეულო 2-3 საუკუნით ძველდება, რბილად რომ ვთქვათ, მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. ამავე მკვლევარებმა გვარის ფუნქცია დაუკარგეს ქაჩიბას და იგი სახელად გაიაზრეს. ისტორიული დოკუმენტები კი სულ სხვას ღაღადებენ. არსებობს გვარის ისტორიული მეხსიერება. არც ერთ ისტორიულ დოკუმენტში ბარათაშვილები თავიანთ გენეტიკურ ნათესაობას თორელ-ჯავახისშვილებთან არ აღნიშნავენ. არც ერთი საბუთი არ უჭერს მხარს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ბარათაშვილები და ჯავახისშვილები ერთი გვარის შთამომავლები არიან და მათი საერთო წინაპარი ქავთარიშვილია. ისინი ერთმანეთის მოყვრები და ხშირად მესისხლეებიც არიან, მაგრამ ერთი გვარისშვილები – არა. სამაგიეროდ ბარათაშვილებმა იციან, რომ ბარათა ქაჩიბასძე „მათი გვარისაა", ვახუშტი ბატონიშვილსაც ბარათაშვილების წინაპრად ქაჩიბაძეები მიაჩნია, ხოლო მამუკა ბარათაშვილი თავიანთი (ბარათაანთ) გვარის დამაარსებლად ქავთარ ქაჩიბასძეს მიიჩნევს. სიგელ-გუჯრებიდანაც კარგად ჩანს, რომ ბარათაშვილების გვარს დასაბამი მისცა ბარათა ქაჩიბასძემ, რომელსაც „დიდ ბარათას" ეძახდნენ შთამომავლები.

ი. ახუაშვილს აღელვებს ის გარემოება, რომ ქაჩიბაძეები აფხაზური სამყაროდან არიან მოსულები, ამაში უჩვეულო არაფერია. აი, რას წერს იგი: „შეუძლებელია ბარათაშვილების წინაპრად აფხაზეთიდან მოსული ქაჩიბაძის მიჩნევა. თუ ამას დაუშვებთ, მაშინ აფხაზური წარმომავლობის გვარად უნდა ჩაითვალის არა მარტო ქაჩიბაძე-ბარათაშვილი, არამედ ბარათაშვილების პირდაპირი და

უშუალო მემკვიდრე ქავთარიშვილიც". ჯერ ეს ერთი, ი. ახუაშვილი წინააღმდეგობაში ვარდება, ხან ქავთარიშვილია ბარათაშვილის წინაპარი და ამით „ბარათაშვილების ძველი გვარი 2-3 საუკუნით ძველდება" და ხანაც პირიქით, „ბარათაშვილების მემკვიდრეა ქავთარიშვილიც". აქ მეცნიერულ სიზუსტეზე ლაპარაკი ძნელია. ეტყობა, ი. ახუაშვილმა არ გაითვალისწინა, რომ აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს ნიშნავს მთლიანად და არა ეთნიკურ აფხაზეთს. ქაჩიბაძეები ქართველები არიან, კოლხურ-აფხაზური კულტურის შვილები. მით უმეტეს, ს. ჯანაშიას თქმისა არ იყოს, ეს გვარი დღესაც ცოცხალია „ქაჩიბაიას" სახით. ბარათაშვილებისაგან, მართლაც, წარმოიშვა ქავთარიშვილების გვარი, რომელსაც საფუძველი ქავთარ ბარათაშვილმა ჩაუყარა და ცალკე სათავადოც კი ჩამოაყალიბა. ქავთარი ბარათაშვილების საგვარეულო სახელი იყო, ალბათ, ფიტარეთის ტაძრის მაშენებელ ქავთარ ქაჯიფაისძის პატივსაცემად. ასე რომ, ბარათაშვილებისაგან გამოყოფილი ქავთარიშვილების განშტოებას არაფერი აქვს საერთო თორელ-ჯავახისშვილებთან.

ბარათაშვილების წარმომავლობას შეეხო გ. ალასანია ნაშრომში: „ბარათაშვილთა წარმომავლობისათვის". ავტორი არ იზიარებს ს. ჯანაშიას კონცეფციას ბარათაშვილების დასავლურ-ქართული წარმომავლობის შესახებ და ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბარათაშვილების წინაპრები ძველი ორბელები არიან. ეყრდნობა სტეფანოს ორბელიანის ცნობას ორბელთა „ჭინელთა სამეფოდან" მოსვლის შესახებ, ანუ მათ ჩინურ სამყაროსთან აკავშირებს. გ. ალასანია დასკვნას ასე აყალიბებს: „ვფიქრობთ, გაქცეული ქავთარი (ლორეს ამბოხების მეთაურის ივანე ორბელის [ძმა] ქავთარი, რომელიც გადარჩა დასჯას – გ. მ.) ერთხანს თურქულ გარემოში იმყოფებოდა, სადაც მას იცნობდნენ, როგორც ლტოლვილ ქართველ ბატონს ანუ Sürcü Kacik beg. მოგვიანებით არაერთი ქართველია ცნობილი ოსმალეთის იმპერიაში. მაგ., გურჯი მეჰმედ ფაშა, გურჯი ნები და სხვა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, რაც ჩანს მალე მოხდა, ქავთარ ორბელმა, შესაძლოა შეინარჩუნა ეს სახელი, რომ არ ყოფილიყო თვალში საცემი მისი ორბელობა. სხვათა შორის, სწორედ Kacuk(Kacik)-დან არის მიღებული

გვარი კაჩუხაშვილი. მართალია, თურქული K- უკანარიგისმიერ ხმოვნებთან გვაძლევს კ-ს ან ყ-ს. არის გამონაკლისებიც, მაგალითად, კოჩაკიძე, ყოჩალი, მაგრამ ქოჩაკიძე, აგრეთვე ქოქაშვილი, ქოქუაშვილი, ქუჩუკი, ქუჩუკაშვილი და სხვა.

... აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ორბელიანები, ბარათაშვილები და აბაშისშვილები ინახავენ გადმოცემებს მათი საერთო წარმომავლობის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა ალექსანდრე ორბელიანის პირად არქივშია და მისი წყაროები, სტეფანოს ორბელიანის გარდა, საგვარეულო გადმოცემები და ქართული მატიანეებია. ბეთანიის გუჯარი ალექსანდრე ორბელისათვის უცნობია. აქ გაზიარებულია აზრი მათი ჩინური წარმოშობის შესახებ, შემდეგ დასახელებულია გვარში ერთ-ერთი გამოჩენილი პირი ქაჩიბაი, შემდეგ მისი შთამომავალი ბარათა, რომლებისგანაც გაჩნდნენ ბარათაშვილები და ა. შ. ასევე ჩინეთს უკავშირებს იოანე ბაგრატიონი თავად ჯამბაკურიანს, რომელიც მეფე ფარნავაზმა დაასახლა საქართველოში, ხოლო შემდეგ მათგან სხვადასხვა გვარი ნარმოიქმნა".[1]

გვარი „კაჩუხაშვილი" შეიძლება იყოს თურქული წარმოშობისა, მაგრამ ამ გვარს ნამდვილად არა აქვს საერთო ქაჩიბაძეების ძველ გვართან. რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ეს გვარი დღესაც ცოცხალია ქაჩიბაიას სახით. ეს მეგრული გვარია, იგი ძველ კოლხურ ტომთან ქაჩებთან არის დაკავშირებული და მისი ისტორიული ფორმა – ქაჩი-ბაა. ისინი ძველი აფხაზები არიან, და არა აფსუები. თანაც რა ვუყოთ გვარის ისტორიულ მეხსიერებას და იმ ისტორიულ დოკუმენტებს, სადაც ბარათაშვილების წინაპრად ბარათა ქაჩიბაძეა დასახელებული, რომლის წინაპარი გიორგი V-ის ამორეჯიბი და ფიტარეთის მაშენებელი ქავთარ ქაჯიფაისძეა (ქაჩიბასძე).

როგორც აღვნიშნეთ, ქავთარის მიერ ნასყიდ სოფელ თევდორეწმინდაში წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიაა, რომლის შენებისას 80 დუკატი შეუწირავს გაბრიელ ჩაბაისძეს. ეს გვარიც

[1] გ. ალასანია, ბარათაშვილების წარმომავლობისათვის, ანალები, № 2, თბ., 2002, გვ. 14.

პროტოქართველურია, ანუ უძველესი ქართული გვარია თავისი წარმომავლობით. ბარათაშვილებისაგან ოცამდე გვარი წარმოიშვა, ამათგან ცხრამ დამოუკიდებელი სათავადო დააარსა. რა თქმა უნდა, ბარათაშვილებმა, ორბელისშვილებმა და აბაშისშვილებმა იციან, რომ ისინი საერთო წარმომავლობისანი არიან და მათი საერთო წინაპარი ბარათა ქაჩიბასძეა, ალექსანდრე მეფის სალაროს მოლარე. როდესაც იოთამ და ორბელ ბარათაშვილები გაიყარნენ, მათ თავდაპირველად საფუძველი ორ სათავადოს – საორბელოს და საიოთამისშვილოს დაუდეს. მაგრამ შემდეგ საორბელოს სათავადო განადგურდა და ის ყაფლან ბარათაშვილმა აღადგინა XVII საუკუნეში. ასე წარმოიშვა საყაფლანისშვილოს სათავადო ყოფილი საორბელოს ტერიტორიაზე. ორბელ ბარათაშვილის (ყაფლან ბარათაშვილის მამა) მიხედვით კი ყაფლანისშვილები ორბელისშვილებად და იგივე ორბელიანებადაც იწოდებოდნენ. ხოლო აბაშ ბარათაშვილის შთამომავლებს, რომლებმაც სააბაშისშვილოს სათავადო დააარსეს, აბაშისშვილები უწოდეს. მაგრამ არცერთ ისტორიულ დოკუმენტში, არცერთ ნარატიულ წყაროში ბარათაშვილები არ აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები ცნობილი ძველი ორბელები იყვნენ.

ბევრი ქართული, ძირძველი საგვარეულო შეეწირა ხვარაზმელებთან, მონღოლებთან, თემურ-ლენგის ურდოებთან ბრძოლას. ამიტომ მოდიან ახალი გვარები, მკვიდრდებიან გადაშენებულ ფეოდალთა მამულებზე და საბოლოოდ ეპატრონებიან მას. ამ პროცესს სამეფო ხელისუფლება უწყობს ხელს, როგორც ქვეყნის მოშენების ფაქტორს. როგორც უკვე ითქვა, სახელი ქავთარი მართო ორბელების და აბულეთისძეების სახელი არ არის, იგი საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო შუა საუკუნეების ქართულ ონომასტიკონში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საორბელოს, ბარათა ქაჩიბაძე წარმოშობით ორბელი რომ ყოფილიყო, საბარათიანოს არ დაარქმევდნენ. რადგან საორბელოს საბარათიანო ეწოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ შეიცვალა მფლობელთა გვარი და საორბელოს მეპატრონეები დიდი ბარათა ქაჩიბაძის შთამომავლები ბარათაშვილები გახდნენ. ასე იქცა საორბელო საბარათიანოდ.

საბარათიანო დიდი სათავადო იყო. იგი ალგეთის, მაშავერას და ქციის ხეობებს მოიცავდა. XV ს-ში ბარათაშვილების სათავადო

გაიზარდა, გაფართოვდა მათი ტერიტორიები, იმატა ყმა-მამულმა, გამრავლდა ბარათაშვილების გვარი. ამიტომაა, რომ ბარათაშვილები რამდენჯერმე გაიყარნენ. მათი პირველი გაყრა 1523 წელს მოხდა. გაიყარნენ ქავთარ ბარათაშვილის შვილები: გუგუნა, ქუმსი, თაყა, გერმანოზი, გოსტასაბი და ფალავან-ხოსრო. ისინი დავით მეფემ (1505-1525 წწ.) გაჰყარა.[1] ლუარსაბ I-მა კი 1537-38 წწ-ში იოთამ და ორბელ ბარათაშვილები გაყარა.[2] ასე ჩაეყარა საფუძველი საბარათიანოს სათავადოში ორ ახალ სათავადოს – საორბელოს და საიოთამისშვილოს. მაშავერას და ქციის ხეობა ერგო იოთამს, ხოლო ალგეთისა – ორბელს. 1543 წელს ლუარსაბ მეფემ ახლა გიორგი და ფარიშატ ბარათაშვილები გაყარა.[3] მათ „მამით მამული გაუყვიათ".

„XVI ს. იოთამიშვილები უფრო ძლიერი გვარია, შემდეგ ორბელიშვილები ძლიერდებიან და XVII ს. ნახევრისთვის ძლიერ სათავადოს ქმნიან და სომხით-საბარათიანოში პირველ ადგილს იკავებენ"[4], – წერს გ. ჯამბურია ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ორბელისშვილ-ყაფლანისშვილთა შესახებ.

XV ს. ბარათაშვილების სახლის სახელოდ მეფის სალაროს მოლარეობა ჩანს (ამ სახელოს ფლობდა ბარათა ქაჩიბაძე, მისი ვაჟი დავითიც). საბუთების სიმცირის გამო ძნელია ლაპარაკი იმაზე, ჰქონდათ თუ არა ეს სახელო ბარათაშვილებს XVI საუკუნეში, მაგრამ XVII ს-ში მოლარეთუხუცესის სახელოს ნამდვილად ფლობენ. ქართლის სამეფო კარზე დაწინაურებული ბარათაშვილები ეპატრონებიან სომხით-საბარათიანოს სარდლის თანამდებობას, რომელსაც მალე სამემკვიდრო სახელოდ აქცევენ. სომხით-საბარათიანოს სადროშოს ტერიტორია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე საკუთრივ საბარათიანოსი. იგი მოიცავდა საბარათიანოს სათავადოს მთლიანად, ე. ი. ქციის, მაშავერას და ალგეთის ხეობებს, სომხითს, ტაშირს, ლორეს, ყაიყულის და თრიალეთის ნაწილსაც.

---

[1] ხ. ი. ფ. Ad 1299.

[2] ცსსა, ფ. 1450, 11-112.

[3] ხ. ი. ფ. Hd 10 381.

[4] გ. ჯამბურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

საბარათიანოს თავკაცები დიდი გავლენით სარგებლობდნენ კონსტანტინე მეფის (1479-1505 წწ.) კარზე. უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ მოწყობილი მრავალი ბრძოლის ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი სწორედ ბარათაშვილები იყვნენ. აი, რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი ამ შემოსევების შესახებ: უზუნ-ჰასანი „მოვიდა სომხითს, მოვიდა ორბეთის ძირას და მძლედ დაუხვდა კონსტანტინე ბარათიანითა, ვერარაჲ შემუსრა და მოადგა ტფილისს, ხოლო კონსტანტინე მეფე ერკინებოდა საბარათიანოთა მარბიელთა ყეენისათა“[1].

ბარათაშვილების დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ კონსტანტინე მეფის ძემ დავითმა ცოლად შეირთო ბარათა ქაჩიბაძის შვილიშვილი, დავით ბარათაშვილის ასული ნეტან-ჯარი. კონსტანტინე მეფემ: “ბარათიანნი აღავსნა საბოძურითა“.[2]

ბარათიაანი ყოველთვის არნახული სიმამაცით იბრძოდნენ შემოსული მტრის წინააღმდეგ, იცავდნენ საკუთარ სათავადოს და არც ქვეყნის ინტერესებს ივიწყებდნენ. ბარათაშვილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულებით. კონსტანტინე მეფემ უბრძანა: „ბარათიანთა და სომხითართა, მიუჴდნენ ელთა დატევებულთა ყაენისაგან, საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუე ყუნეს, აღიღეს ალაფნი დიდძალნი და შემოიქცნენ გამარჯჳებულნი“.[3] ასევე მედგრად ებრძოდნენ ბარათაშვილები იაყუბ-ყაენის ურდოებსაც: „ბარათიანთა ბრძოლა უწყეს თათართა“.[4]

ასე რომ, მთელი XV-XVI სს. განმავლობაში ბარათაშვილები მეფის პოლიტიკის გამტარებლები არიან და აქტიურად იბრძვიან შემოსეული მტრის წინააღმდეგაც. კონსტანტინე მეფე (1479-1505 წწ.) და მისი ვაჟი დავით X (1505-1525 წწ.) თავიანთ დასაყრდენ ძალას ბარათაშვილებში ხედავდნენ. კონსტანტინე მეფე ხომ ყოველთვის იბრძოდა „სპითა ბარათიანითა“. XVI ს. ქართლის სამეფო გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდა ხან ირანის, ხანაც ოსმალეთის მოძა-

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 385.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 386-387.

[4] იქვე, გვ. 387.

ლებული აგრესიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის სულისჩამდგმელები და, მართლაც, ხმალჩაუგებელი მებრძოლები გმირი მეფეები – ლუარსაბ I (1527-56 წწ.) და სიმონ I (1556-1600 წწ.) იყვნენ. ბრძოლის ასპარეზი ხშირად ქართლი და უფრო ხშირად სომხით-საბარათიანო იყო. მართალია, ბარათაშვილები ვაჟკაცურად ებრძოდნენ შემოსეულ მტერს და ხშირად დიდ ზარალსაც აყენებდნენ მას, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ერთმანეთის წინააღმდეგაც ასევე წარმატებით იბრძოდნენ. ეს იყო შინაფეოდალური ომები, რომელიც გვიანი ფეოდალური ეპოქის ჩვეულებრივი თანამგზავრია.

1569 წ. შაჰ-თამაზმა დავით XI-ს (დაუთ-ხანი) მისცა თბილისი და ქართლი საგამგეოდ. საბარათიანოს თავადების დიდი ნაწილი დავით მეფის მხარეზე გადავიდა, მაგრამ ბევრი სიმონ მეფის მხარეს დარჩა. ასეთი იყო სომხით-საბარათიანოს ცნობილი სარდალი საჩინო ბარათაშვილი. ბარათაშვილები ირანული ორიენტაციისანი იყვნენ. მათი დიდი ნაწილი შაჰ-აბასის მხარეზე იყო, მაგრამ ნაწილი არა, რაც ქმნიდა საფუძველს შინაფეოდალური დაპირისპირებისათვის. ამავე დროს არ ივიწყებდნენ საკუთარ სათავადოებს და მათი გაფართოებისათვის დიდად ზრუნავდნენ – ყიდულობდნენ ყმა-მამულს, ითვისებდნენ სხვისასაც. XV-XVI სს. საბარათიანო დიდი და ძლიერი სათავადო იყო: „ბარათაშვილების სახლი – წერდა დ. გვრიტიშვილი, – ძლიერი და რიცხვმრავალი იყო. თუ საბარათიანოს რეზიდენციას სამშვილდე წარმოადგენდა, საბარათიანოს სახლისშვილები კი საბარათიანოს სხვადასხვა კუთხეებში ისხდნენ და თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ, ეს საუფლისწულოები ბარათიაანთ გაყრის ნიადაგზე დამოუკიდებელ სათავადოებად იქცნენ".[1]

საბარათიანო, როგორც დამოუკიდებელი სათავადო, დაიშალა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის ნანგრევებზე ცხრა ახალი, დამოუკიდებელი სათავადო წარმოიქმნა. ეს ახალი სათავადოები, ანუ ფეოდალური სენიორიები იყო: საგოსტაშაბისშვილო, საგერმანოზისშვილო, საზურაბისშვილო, საყაფლანისშვილო, საიოთა-

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

მისშვილო. ცალკე სათავადოები ჰქონდათ: ქავთარისშვილებს, იარალისშვილებს, ფალავან-ხოსროშვილებს, აბაშისშვილებს. ამ სათავადოებს შორის წარმოებდა ბრძოლა პირველობისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა XVII ს-ის I ნახევრის მოღვაწე ყაფლან ბარათაშვილი, მან ჩამოაყალიბა ახალი სათავადო – საყაფლანისშვილო, რომელიც ყველაზე ძლიერი და დიდი სათავადო იყო XVII-XVIII სს. სომხით-საბარათიანოში.

საგერმანოზისშვილოს სათავადოს ჩამოყალიბება და მისი კავშირი გუდარეხის მონასტერთან

საგერმანოზისშვილოს სათავადოს დახასიათებამდე უნდა შევეხოთ გერმანოზისშვილთა გვარის დასაბამს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სახელი გერმანოზი საკმაოდ ძველი სახელია ბარათაშვილების საგვარეულოში. პირველი გერმანოზი ალექსანდრე I-ის თანამედროვე ბარათა ქაჩიბაძის ვაჟი იყო: „მე ქაჩიბასძემან სალაროს მოლარემან ბარათამან და მეუღლემან ჩუენმან, პატრონმან თინათინ და ძეთა ჩუენთა დავით, გერმანოზ, ლაპა...“.[1] XVI ს. ოციანი წლებიდან ცნობილია მეორე გერმანოზი. იგი გერმანოზ ბარათაშვილის ძმის, დავითის ვაჟის, ქავთარის შვილი იყო. ამ ქავთარ ბარათაშვილს ექვსი ვაჟი ჰყავდა: გუგუნა, გერმანოზი, თაყა, ქუმსი, გოსტასაბი და ფალავან-ხოსრო. ესენი უკვე ბარათაშვილის გვარს ატარებდნენ. 1523 წ. ბარათაშვილები გაიყარნენ. ქავთარის სახლის გაყრას თვით მეფე დავითი ხელმძღვანელობდა.[2] როგორც ჩანს, ქავთარის სახლი ორ ოჯახად გაიყარა. ერთ მხარეზე იყვნენ გუგუნა და ქუმსი, ხოლო მეორეზე – გერმანოზი, თაყა, ფალავან-ხოსრო და გოსტასაბი. ამიტომ ერთ წილს იღებენ პირველნი, ხოლო მეორენი ორ წილს. საუფროსოს იღებს გუგუნა, რომელიც, როგორც ჩანს, ქავთარის უფროსი ძე და სათავადოს სახლის

[1] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები. თბ., 1913, III, გვ. 37.
[2] ხ. ი. ფ. Ad 1299.

უფროსი იყო. იასე ლორთქიფანიძე თვლიდა, რომ გერმანოზისშვილთა შტოს საფუძველი სწორედ ამ გერმანოზმა – ქავთარ ბარათაშვილის ვაჟმა ჩაუყარა[1], მაგრამ ეს ასე არ იყო. ისტორიულ დოკუმენტებში სულ სხვა სურათია. „გერმანოზისშვილმა“ გვარის ფუნქცია XVII ს-ის I ნახევრის მიწურულს შეიძინა. ვეთანხმებით გ. ჯამბურიას: „ბარათაშვილების ეს შტო ოფიციალურად საბუთებში მხოლოდ XVII საუკუნის II ნახევრიდან იწოდება გერმანოზისშვილებად, მანამდე კი მხოლოდ ბარათაშვილობით იხსენიება“.[2] გერმანოზისშვილთა საგვარეულოს საფუძველი ჩაუყარა გერმანოზ III ბარათაშვილმა, რომელიც XVII ს. I ნახევრის (1627-43 წწ-ში იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში) მოღვაწეა. „გერმანოზისშვილის“ გვარს ატარებენ არა გერმანოზ III ბარათაშვილის ვაჟები – ოთარი, პაატა, არსენი, ვარაზა, როსები, არამედ მისი შვილიშვილები: იასე, გუგუნა, გერმანოზი, პაპუნა, დომენტი, გიორგი, ლუარსაბი. ასე რომ, ისტორიული დოკუმენტების თანახმად, „გერმანოზისშვილი“ XVII ს. II ნახევრიდან იღებს გვარის ფუნქციას. საგერმანოზისშვილოს სათავადოს ბალავარი სწორედ გერმანოზ III ბარათაშვილმა[3] ჩაუყარა და მის პატივსაცემად მიიღო ბარათაშვილების ამ განშტოებამ გვარად გერმანოზისშვილი.

სათავადოს, როგორც დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს, უნდა ჰქონოდა საკუთარი საგვარეულო საძვალე მონასტერი. ასეთ საგვარეულო სამარხად იქცა გერმანოზისშვილებისთვის ყოფილი სამეფო მონასტერი გუდარეხი, რომელიც როსტომ მეფემ უწყალობა 1643 წლის 24 აგვისტოს ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის გერმანოზ ბარათაშვილს და მის ვაჟებს: ოთარს, პაატას, ბერს და ვარაზას: „გუდარეხის მონასტერი სასაფლაოდ დაგიმკვიდრეთო“.[4] სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი საგერმანოზისშვილოს, როგორც დამოუკიდებელ სათავადოს. ამას ადასტურებს გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების

---

[1] იასე ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, III-IV, თბ., 1938, გვ. 332.

[2] გ. ჯამბურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

[3] ხ. ი.ფ. Hd 6162; ცსსა, ფ. 1450, 14-8.

[4] ცსსა. ფ. 1450, 14-9.

წარწერებიც, რომლებიც XVII ს. II ნახევრისა და XVIII საუკუნით არიან დათარიღებულნი.

გუდარეხის მონასტერი მანამდე რომ სამეფო მონასტერი იყო, ეს ისტორიული დოკუმენტებიდან ნათლად იკვეთება, თუმცა მეფეთა მიერ გუდარეხის მონასტრისადმი ბოძებული შეწირულობის სიგელები ჩვენამდე არც ისე ბევრია მოღწეული: „ჩვენ მეფეთა-მეფე თეიმურაზ მოვედით მონასტერსა გუდარეხისასა, ჩუენსა სალოცავსა შიგან. მრავალი ჭირნახულობა და განაკეთები ვიხილეთ ძუელთა მეფეთა და მეპატრონეთაგან, დიაღ, მრავალი შეწირულება და დანახარჯები იყო".[1] ამ საბუთიდან ირკვევა, რომ მეფე თეიმურაზ I (1606-1648 წწ.) სამეფო მონასტერ გუდარეხში მისულა: „ჩვენსა სალოცავსა შიგანო" და „ძველ მეფეთაგან" გაცემული შეწირულობის სიგელებიც მრავლად უნახავს.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი სიგელი, რომელიც გუდარეხის მონასტერს ეხება, 1586 წ. არის გაცემული სიმონ მეფის მიერ. ამ საბუთის მიხედვით სიმონ მეფემ გუდარეხის მონასტერი, როგორც სამეფო საკუთრება, დმანისის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას შესწირა.[2] ისტორიული დოკუმენტებიდან არ ჩანს, როდის მოხდა დმანისის ღვთისმშობლისათვის შეწირული გუდარეხის მონასტრის უკან გამოწირვა, მაგრამ მალე გუდარეხის მონასტერი ისევ სამეფო მონასტერი ხდება. გუდარეხის მონასტერს უხვი შეწირულება მისცა ლუარსაბ II (1606-1614 წწ.) „5 თუმანი თეთრი ყოველ მარიამობასა ჩუენი სალაროდან მოგეცემოდეთ სანთლის, საკმეველის და ზეთის ფასად, მას გარდა სოფელი ბედენის პირას ვეხვნალა სამართლიანის სამძღვრითა, ალგეთის პირას ზედა სამი კომლი კაცი თავისი მამულითა... მოგვიცემია სითარხნე, არაფერი არა საბალახე, არაფერი მოგეკითხოს რამე, არა კოდის პური, არა ბზე, არა ნახშირი, არა რამე გეკითხებოდეს, არა მუშა, არა ქეშიკი, არაფერი გამოსაღები სახელმწიფო არა გეკითხებოდეს ლაშქარ-ნადირობის მეტი".[3] საბუთიდან ნათელია, რომ ლუარსაბ II-მ მონასტერს იმუნიტეტი (შეუ-

[1] ხ. ი. ფ. Hd 1564.
[2] იქვე, Hd 2233.
[3] იქვე, Hd 1554ბ.

ვალობა) განუახლა და მთლიანად გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან, დაუტოვა მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა, რომელიც საყოველთაოდ სავალდებულო გამოსაღები იყო. ლუარსაბ მეფემ გაათარხნა მონასტრის ყმა-მამული და გაიჩინა თავისთვის აღაპი, რომელსაც ცხრა ხუცეს-დიაკვანი გადაუხდიდა ღვთისმშობლობის, გიორგობის და ნათლისღების დღესასწაულებზე. ამ დოკუმენტს მცდარი თარიღი უზის და დათარიღებულია ლუარსაბ II-ის ზეობის წლებით – 1606-1614 წწ.

XVII ს. 30-იან წლებში კი გუდარეხის მონასტერი მოუნახულებია თეიმურაზ I, იმერეთის მეფე ალექსანდრესთან ერთად და შეუწირავს მისთვის „უნდილაძის კუთვნილი აბელიის მონაჭერზე“ მოსახლე სამი კომლი გლეხი.[1]

1643 წ. 24 აგვისტოს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეფო მონასტერი გუდარეხი როსტომ მეფემ უბოძა გერმანოზ ბარათაშვილს და მის შვილებს სასაფლაოდ. ამასთანავე განუახლა სოფელ ცოვრეთის შენირულება.[2] ასე გახდა გუდარეხის მონასტერი გერმანოზისშვილთა საგვარეულო საძვალე. ამიტომ მონასტერი გამოვიდა მეფის დაქვემდებარებიდან და მანგლელის იურისდიქციაში შევიდა, რადგან ტერიტორიულად მის სამწყსოში შედიოდა. 1699 წ. 26 მაისს ქართლის კათალიკოსმა იოანემ მანგლელ ეპისკოპოსს გაბრიელ ჯავახისშვილს სხვა სოფლებთან ერთად უბოძა: „ვაკე, ღორისთავი, გუდარეხი, ცოვრეთი, ციხისთავი, ვარხოვნა“.[3] ესენი გუდარეხის მონასტრის კუთვნილი მამულები იყო. 1692 წ. გუდარეხის მონასტრის წინამძღვარ დომენტი გერმანოზისშვილის მიერ გაცემული საბუთიდან ჩანს, რომ სოფელი გუდარეხიც გუდარეხის მონასტრის კუთვნილი ყოფილა.[4]

საბუთებიდან კარგად გამოიკვეთა, თუ როგორ კნინდება მონასტრის ქონებრივი მდგომარეობა, რადგან თანდათანობით აკლდება შემოწირული მამულები. ეკონომიკური კრიზისების დროს ჩვეუ-

[1] ხ. ი. ფ. Hd 1564; Hd 10301.
[2] ცსსა, ფ. 1450, 14-9.
[3] ხ. ი. ფ. Ad 647.
[4] იქვე, IId 3397.

ლებრივი მოვლენა იყო მონასტრისათვის შემოწირული მამულების უკან გამოწირვა, რადგან ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის წესი შემწირველს თვლიდა მამულის უზენაეს მესაკუთრედ. ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XVII ს-ის მიწურულსა და XVIII ს-ში. მიწათმფლობელობის ეს წესი განაპირობებდა იმას, რომ ქართულ ფეოდალურ სამყაროში მონასტრები დიდი სიმდიდრის დაგროვებას ვერ ახერხებდნენ, რადგან მათ მფლობელობაში არსებული მამულების უმრავლესობა სწორედ შეწირული იყო და მყარ საკუთრებას არ წარმოადგენდა.

მოვიყვანოთ შესაბამისი მასალა. სოფელი ვერხვნალა, რომელიც ქართლის მეფე ლუარსაბ II შესწირა გუდარეხის მონასტერს, როსტომ მეფემ (1632-1658 წწ.) წაართვა და რაღაც დამსახურებისათვის მისცა ჯილდოდ დონდარა მესტუმრეს. 1662 წელს ვახტანგ V (1658-1675 წწ.) გამოართვა ეს სოფელი დონდარა მესტუმრეს და გერმანოზისშვილებს გადასცა, რათა მათ ეს სოფელი ისევ მონასტრისთვის დაებრუნებინათ.[1] ეს იმიტომ, რომ გუდარეხის მონასტერი გერმანოზისშვილთა საგვარეულო საძვლე იყო და მათ ეკუთვნოდათ. XVII ს-ის მიწურულს კი პაპუნა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილებს დავა ჰქონიათ ერთმანეთთან პაპუნას ახოებზე ვერხვნალაში.[2] გუდარეხის მონასტრისათვის გამოუწირავთ აგრეთვე მისი კუთვნილი სოფელი ღორისთავი. დავა სასამართლოში გაგრძელებულა და ღორისთაველების სასარგებლოდ გადაწყვეტილა. გუდარეხის მონასტრის მეპატრონეებს უღიარებიათ: „ხელი აღარ მაქვს გამოწირულ მამულთანო".[3] ეს კი 1660 წელს მოხდა.

გუდარეხის მონასტერი, როგორც აღვნიშნეთ, 1643 წლამდე სამეფო მონასტერი იყო. ამიტომ ვერ დავეთანხმებით გ. ჯამბურიას აზრს, რომლის მიხედვითაც 1537 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნით: „მიხუდა იოთამს გუდარეხის (მონასტრის) ნახევარი და საუხუცესო".[4] სიტყვა „მონასტერი" დოკუმენტში გ. ჯამბურიამ აღად-

---

[1] ხ. ი. ფ. Sd 621.

[2] იქვე, Sd 577.

[3] იქვე, Hd 830; Hd 692.

[4] გ. ჯამბურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

გინა, მაგრამ აქ სოფელ გუდარეხზეა საუბარი და სწორედ სოფელ გუდარეხის ნახევარი შეხვდა საუხუცესო წილად იოთამ ბარათაშვილს, თორემ იოთამს: „საუხუცესოდ ფიტარეთის თავსაყდრის ნახევარი ზეითი მხარი და გარეთ ორმოცთა ეკლესია ერგო წილში".[1] საბუთის ეს ადგილი ი. დოლიძემ ასე გამოსცა: „მიხუდა იოთამს გუდარეხის ნახევარი და საუხუცესო".[2] გუდარეხში მონასტერი რომ იგულისხმებოდეს ამას აუცილებლად მიუთითებდნენ, მით უმეტეს ეს გაყრა იყო და მონასტერს უდავოდ აღნიშნავდნენ, რადგან სასაფლაოდ სჭირდებოდათ. როგორც აღნიშნეს, რომ: „მიხუდა იოთამს დმანისის ციხეში სასაფლაოდ დმანისის ღვთისმშობლის ნახევარი და კარიბჭე".[3] ბარათაშვილები მაშინ ფიტარეთისა და დმანისის ეკლესიებში იმარხებოდნენ.

გუდარეხის მონასტერი რომ ბარათაშვილების ერთ-ერთი დიდი საგვარეულოს გერმანოზისშვილთა სამარხად XVII ს-ის II ნახევრიდან იქცა, დასტურდება იქ არსებული გერმანოზისშვილთა საფლავების ქვების წარწერებიდან. ეს წარწერები გამოქვეყნებული აქვთ: მ. ბროსეს[4], გ. ჩიტაიას[5] და ე. თაყაიშვილს.[6]

მოვიყვანთ საფლავების წარწერათა ტექსტებს.

№ 1. გ. ჩიტაია პირველი საფლავის ქვის წარწერას ასე კითხულობს: „საფლავსა ამას მდებარე ვარ კარაზაშვილი გიორგი". ამ საფლავს თარიღი არა აქვს, არ ვიცი, რა კავშირში იყო კარაზაშვილი გერმანოზიშვილებთან".[7] სინამდვილეში წარწერა მცდარად არის ამოკითხული. უნდა იკითხებოდეს არა „კარაზაშვილი გიორგი", არამედ „ვარაზაშვილი გიორგი". გიორგი და ლუარსაბი იყვნენ ვარაზა გერმანოზისშვილის ვაჟები, როგორც ამას მოწმობს ისტო-

---

[1] ცსსა, ფ. 1450, 41-112.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, IV, თბ., 1972, გვ. 20.

[3] ცსსა, ფ. 1450, 11-112.

[4] მ. ბროსე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 111-112.

[5] გ. ჩიტაია, გუდარეხის და პითარეთის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1926, გვ. 114-117.

[6] ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37-38.

[7] გ. ჩიტაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.

რიული დოკუმენტები.[1] თავის მხრივ, ვარაზა გერმანოზისშვილთა გვარის ფუძემდებლის, გერმანოზ ბარათაშვილის ვაჟი იყო. ვარაზას უფროსი ვაჟი გიორგი 1692 წლის საბუთში იხსენიება ცოცხლად, მაგრამ 1693 წლისა[2] და შემდგომი ხანის საბუთებში მარტო ლუარსაბი იხსენიება ვარაზას ძედ და გიორგის ხსენება ქრება. ეს მიუთითებს, რომ გიორგი ვარაზას ძე გერმანოზისშვილი გარდაიცვალა 1693 წელს და დაასაფლავეს გუდარეხის მონასტერში.

№ 2 საფლავის ქვის წარწერას გ. ჩიტაია ასე კითხულობს: „განსასვენებელსა ამას და საფლავსა შინა მდებარე ვარ გერმანოზისშვილი პაატას ასული... ბოქაულთუხუცესმან პაპუამ და თანამეცხედრემან ჩემმან არაგვის ერისთავის მდივანბეგის უდისშვილის ქალმა ანახანუმ ხელეყავით ეს ლოდი პატრონისა ჩუენისა საქებრად. ქრ ტდგ".[3] წარწერიდან ჩანს, პაატა გერმანოზისშვილის ასულის საფლავის ქვა მის ძმას პაპუნა ბოქაულთუხუცესს და მის მეუღლეს ანა-ხანუმს გაუკეთებიათ. გ. ჩიტაიას ამ საფლავის ქვის წარწერის თარიღად მიაჩნია 1616 წ.,[4] რაც რამდენიმე გარემოების გამო არ არის სწორი. დავიწყოთ იქიდან, რომ ქრონიკონის გადმოცემისას არასოდეს იწერება ერთად ორი ერთეული „დგ". გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. მეჯინიბეთუხუცესი პაატა გერმანოზისშვილი, როგორც ძე გერმანოზ ბარათაშვილისა, 1638 წლიდან გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში. 1660 წლის საბუთიდან კი ცნობილია მისი შვილები: პაპუნა, გუგუნა, იასე.[5] ასული როდის შეეძინათ, არ ვიცით (სამწუხაროდ, ქალების სახელებს დოკუმენტებში არ აღნიშნავდნენ). პაატას ვაჟი პაპუნა ბოქაულთუხუცესი 1616 წელს, ბუნებრივია, თავის დას საფლავს ვერ გაუკეთებდა, რადგან არც იქნებოდა გაჩენილი. ამ საფლავის წარწერის ქრონიკონია არა „ტდგ", როგორც ამას გ. ჩიტაია კითხულობდა, არამედ „ტლგ", ე. ი. 1645 წ. ამ წელს, შესაძლოა,

---

[1] ლახი, H 13-15, 16-17.

[2] ცსსა ფ. 1450, 14-5; ფ. 1450, 8-79; ფ. 1450, 16-98.

[3] გ. ჩიტაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.

[4] იქვე, გვ. 115.

[5] ხ. ი. ფ. Hd 830.

მართლაც, გარდაეცვალა ასული პაატა გერმანოზისშვილს. თანაც 1616 წ. გუდარეხის მონასტერი ჯერ კიდევ სამეფოა, 1643 წ-დან კი გერმანოზიშვილთა საგვარეულო საძვალეა. ასე რომ, ამ საფლავის ქვის წარწერის თარიღი 1645 წელია.

№ 3. ამ საფლავის წარწერაა:

„თინათინ, ძე ლიონიისა, მეუღლე გერმანოზისშვილი იასესი“.[1] გ. ჯამბურიას აზრით: ეს იასე უნდა იყოს იგივე იასე ბარათაშვილი, რომელმაც 1630 წ. სოფელი ვერხვნალა შესწირა გუდარეხის მონასტერს (აქ მოხსენიებულია მისი მეუღლე მარეხი, მაგრამ იგი მეორე ცოლი უნდა იყოს).[2]

იასე ბარათაშვილი, რომელმაც სოფელი ვერხვნალა შესწირა გუდარეხის მონასტერს, არ არის გუდარეხში დასაფლავებული თინათინის მეუღლე და არც გერმანოზისშვილთა სახლის შვილია. საბუთი, რომელშიც ამ შეწირულობაზეა ლაპარაკი, არის დედანი[3], ამ დოკუმენტის ბოლოს ფორმულა და ხელრთვები შესრულებულია სხვა ხელით და სხვა მელნით: „დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქრონიკონსა ტიჱ, თვესა მარტისა ოთხსა, ამინ“. აქვეა იასე და ავთანდილ ბარათაშვილების ხელრთვები. დოკუმენტში მოხსენიებული იასე ბარათაშვილის შვილები: გუგუნა, ავთანდილი, გიორგი, დავითი ბარათაშვილ-თამაზაშვილების შტოს წარმომადგენლები არიან. იასე XVII ს-ის II ნახევარში ცხოვრობდა. 1679 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ საბუთში[4] იხსენიებიან იასე და მისი შვილები: გუგუნა, ავთანდილი, ხოლო დავითი არ ჩანს. ალბათ, იგი იასეს და მის მეუღლეს მარეხს 1680 წელს შეეძინათ.

წარწერის ქრონიკონის წაკითხვისას „ტიჱ“ „ი“-ს მაგივრად უნდა ჩავსვათ ათეულის "ჲ"-ს რიცხვითი მნიშვნელობა ("60") და მივიღებთ თარიღად 1680 წელს. ცნობილია, რომ ქრონიკონის გადმოცემისას „ჲ“ ხშირად არ წერდნენ, მის ნაცვლად იწერებოდა „ნი“ ან „ი“ და ანიჭებდნენ „60“ მნიშვნელობას. ასე რომ, ეს საბუთი

[1] გ. ჩიტაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116.

[2] გ. ჯამბურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56-57.

[3] ხ. ი. ფ. Hd 14 667ა.

[4] იქვე, Hd 8802.

1680 წელს არის დაწერილი და არა 1630 წელს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით იასე ბარათაშვილს, მის მეუღლეს მარეხს, შვილებს: გუგუნას, ავთანდილს, გიორგისა და დავითს განუახლებიათ გუდარეხის მონასტრისათვის სოფელ ვერხვნალას შეწირულება, ცოვრეთისა და ღორისთავის სახნავ-სათესი ნაკვეთების გარდა. ამის სანაცვლოდ გუდარეხის მონასტერს აღაპი უნდა გადაეხადა იასესათვის. სოფელი ვერხვნალა დავის საგანი ხშირად იყო ბარათაშვილების განშტოებებს შორის. არ ვიცით როგორ ან როდის, მაგრამ ეს სოფელი იასე ბარათაშვილ-თამაზიშვილის საკუთრება გამხდარა. იგი 1680 წელს ხელახლა სწირავს ამ სოფელს გუდარეხის მონასტერს.

რაც შეეხება იასე გერმანოზისშვილს, რომლის მეუღლეც გუდარეხის მონასტერში დაკრძალული თინათინი იყო, 1672 წლიდან იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში, როგორც ძე მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილისა. თვითონ იასე თრიალეთის, ახალქალაქის, ტამალიისა და ყოშა-გერის მოურავი იყო.[1] ეს სახელო მას ლევან ბატონიშვილმა უბოძა. იასეს ჰყავდა ორი ვაჟი – ოთარი და გერმანოზი[2], ასული დარეჯანი, რომელიც აქვე, გუდარეხის მონასტერშია დამარხული. ასე რომ, გუდარეხის მონასტერში დასაფლავებული თინათინი იასე გერმანოზისშვილის მეუღლეა და არა იასე ბარათაშვილ-თამაზაშვილისა. ამ საფლავის ქვის წარწერა XVII ს. მიწურულით შეიძლება დავათარიღოთ.

№ 4. „საფლავსა ამას მდებარე ვარ გერმანოზისშვილი იასეს ქალი „დარეჯანი, ამინ".[3] ამ საფლავის წარწერაში მოხსენიებული დარეჯანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოურავ იესე გერმანოზისშვილისა და ამავე მონასტერში დაკრძალულ თინათინის ასულია. როგორც ჩანს, იგი ახალგაზრდა, გაუთხოვარი გარდაიცვალა, ალბათ XVII ს. მიწურულს ან XVIII ს. დამდეგს.

№ 5. სამარხი ეკუთვნის დათუნა გერმანოზისშვილის მეუღლე თამარს: „მოიხსენე, უფალო, მონა ღვთისა... საამის... ქალი, დათუ-

---

[1] ხ. ი. ფ. Hd, 14306.

[2] იქვე, Hd, 8810.

[3] ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 38.

ნას ცოლი თამარი".[1] წარწერაში მოხსენიებული დათუნა მეჯინიბეთუხუცეს გუგუნა გერმანოზისშვილის ვაჟია. თვითონაც მეჯინიბეთუხუცესი იყო. XVII ს. ბოლოს (1692-98 წწ.) გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში. დათუნას და თამარს ორი ვაჟი ჰყავდათ: პაპუნა და გუგუნა.[2] თამარიც XVII ს. მიწურულს ან XVIII ს. დასაწყისში გარდაიცვლებოდა.

მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვთ გუდარეხის მონასტრის წინამძღვრის დომენტი ([გერმანოზისშვილის] – აღდგენა ჩემია. გ. მ.) საფლავის ქვის წარწერა:

№ 6. „ქ. მოიხსენე, უფალო, ამა მონასტრისა: მეორედ გამკეთებელი: წინამძღვარი: დომენტი".[3] გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი გერმანოზისშვილი მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის უმცროსი ვაჟი იყო. იგი 1690 წლიდან 1727 წლამდე იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში. მისი საერო სახელი არ ვიცით, არ არის გამორიცხული, რომ თავიდანვე დომენტი ერქვა, შესაძლოა იმთავითვე სასულიერო ცხოვრებისთვის ამზადებდნენ. დომენტი წინამძღვრის შესახებ არსებულ ისტორიულ დოკუმენტებს ქვემოთ შევეხებით, ახლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი უკანასკნელად იხსენიება 1727 წლის საბუთში.[4] ეს არის დომენტი კათალიკოსის მიერ იასე ტლაშაძისადმი მიცემული წყალობის სიგელი. ეს დოკუმენტი შედგენილია სტამბოლში, სადაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დომენტი ბატონიშვილი წავიდა: „თავის მამულისა და საყდრის მოსავლელად". მას თან ხლებია მღვდელი იასე ტლაშაძე და ძმა ზაქარია. ერთგული სამსახურის გამო დომენტი კათალიკოსმა იასეს უბოძა ატენში: „სახუცოდ ოცდასამი კომლი კაცი". აი, ამ წყალობის წიგნის მოწმეთა შორის მოხსენიებულია (გუდარეხის)

---

[1] გ. ჩიტაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116.

[2] ცსსა, ფ. 1450, 53-212; ხ. ი. ფ. Hd, 2885.

[3] მ. ბროსე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 111. ე. თაყაიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[4] ხ. ი. ფ. Hd, 10 775 (პ), Hd, 1399 (პ) (სამწუხაროდ, დედანი შემორჩენილი არ არის, ეს საბუთები დედნის პირებია).

მონასტრის წინამძღვარი დომენტი გერმანოზისშვილი. ის, როგორც ჩანს, იმ ამალაშია, რომელიც თან ახლდა დომენტი კათალიკოსს სტამბოლში ყოფნისას ხონთქარის კარზე. დომენტი კათალიკოსი ქართლიდან 1725 წ. გაემგზავრა ოსმალეთის ხონთქართან დახმარების სათხოვნელად. ამ ისტორიული დოკუმენტის ბოლო ნაწილის მიხედვით: „თჳსა ივლისსა ოცსა დაიწერა წიგნი ესე ქალაქსა შინა სამეუფოსა, დიდსა სტამბოლს, რომელი არს კონსტანტინეპოლი, ჴელითა ანჩისხატის დეკანოზის გიორგი მღვდლისაითა, ქრონიკონსა უიე, ქ ეს აქეთ ჩღკზ".

„ქართლის მაჰმადიანმა მმართველმა, უპირველეს ყოვლისა, მისმა ძმამ იასემ, წერს მ. ქავთარია, აიძულა დომენტი თურქეთის გზას დადგომოდა. დომენტიმ მიიღო გადაწყვეტილება წასულიყო ხვანთქართან იმედით, „ეგების ქართლს რამე ვუშველოო – „ვეშურებოდი ხვანთქართან ქართლისთვის თავდადებული". იმედები იმედებად დარჩა. დომენტი კათალიკოსი კი აღმოჩნდა დატყვევებული. მთელი 15 წელი გრძელდებოდა დომენტის ექსორიობა".[1]

დომენტი კათალიკოსი დაასმინა ქართლში მჯდომმა ფაშამ და იგი გადაასახლეს კუნძულ ტენედოსზე, სადაც იმყოფებოდა 1739 წლამდე და ძლივს ელირსა სამშობლოში დაბრუნება. დომენტი კათალიკოსის ამალის წევრი იყო გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი გერმანოზიშვილიც, მაგრამ არ ვიცით წაიყვანა თუ არა ის დომენტი კათალიკოსმა ტენედოსზე. ცნობილია, რომ იასე ტლაშაძე დომენტი კათალიკოსმა რუსეთში გაგზავნა დახმარების სათხოვნელად. დომენტი წინამძღვარი შეიძლება 1727 წ. სტამბოლიდან დაბრუნდა აქ, შესაძლოა, წაყვა კიდეც ტენედოსზე დომენტი კათალიკოსს და ისიც 1739 წ. დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ზუსტად რაიმეს თქმა ძნელია. გუდარეხის მონასტერში კი მისი საფლავის წარწერა უთარიღოა, ამიტომ გუდარეხის მონასტრის წინამძღვარ დომენტი გერმანოზისშვილის გარდაცვალების თარიღად შეიძლება მივიღოთ XVIII ს-ის 30-40-იანი წლები.

---

[1] მ. ქავთარია, რამდენიმე საკითხი დომენტი კათალიკოსის ბიოგრაფიიდან, ლიტერატურული ძიებანი XXIII, თბ., 2002, გვ. 145.

მ. ბროსემ გამოსცა მეჯინიბეთუხუცეს ომან გერმანოზისშვილის საფლავის ქვის წარწერა:

№ 7. „განსასვენებელსა ამას და საფლავსა შინა მდებარე ვარ გერმანოზისშვილი, მეჯინიბეთუხუცესი ომან, ყაენის მუსაიბი... ვინცა მობძანდეთ, შენდობანი ბრძანეთ ქ. სამას ჟდ (1706 წ.)".[1]

ამავე წარწერას განსხვავებულად კითხულობს ე. თაყაიშვილი. განსხვავებაა თარიღის წაკითხვაშიც: „ვინცა მობძანდეთ, შენდობანი ბძანეთ. ქკს ამას უდ (1716 წ.)".[2] როგორც ჩანს, ე. თაყაიშვილს პორფირე ბარათაშვილის ოჯახში თავისი თვალით უნახავს ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონია: „მე ფდ ცოდვილმა გერმანოზისშვილმა ომან შემოგწირე ღვთისმშობელსა ხატი ესე დედიჩემის საოხად, ქკს უ".[3] წარწერის თარიღი 1712 წელია, ბუნებრივია, 1706 წელს გარდაცვლილი ადამიანი ამ წარწერას ვერ გააკეთებდა. ასე რომ, საფლავის ქვის წარწერაში გარდაცვალების თარიღად 1716 წელი უფრო მისაღებია, ვიდრე 1706 წელი – ბროსეს წაკითხვით.

პირველად ომან გერმანოზისშვილი ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება, როგორც ძე გუგუნა გერმანოზისშვილისა[4], მაგრამ სხვა საბუთების მეშვეობით დგინდება, რომ იგი პაატა გერმანოზისშვილის ვაჟია და ძის ძეა გუგუნა გერმანოზისშვილისა. 1729 წ. პაატა გერმანოზისშვილსა და მის ვაჟებს ომანს და ქაიხოსროს მიუყიდიათ თაფანში ერთი კომლი მანუჩარ ტატიშვილისათვის.[5] 1745 წელს კი ძმებს, ომან და ქაიხოსრო გერმანოზისშვილებს თავისი ბიძაშვილების, გუგუნა და პაპუნა გერმანოზისშვილებისათვის მიუყიდიათ მამული.[6] საბუთები, სადაც ომან გერმანოზისშვილი იხსენიება, ბევრია. მისი სახელი დოკუმენტებში XVIII ს. I ნახევრის

---

[1] მ. ბროსე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112-113.

[2] ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37-38.

[3] იქვე, გვ. 39.

[4] ცსსა, ფ. 1450, 53-212.

[5] საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1909, გვ. 352.

[6] ხ. ი. ფ. Qd, 9037.

მიწურულამდე გვხვდება. მაშასადამე, ისტორიულ დოკუმენტებში ორი ომანი იხსენიება, ორივე მეჯინიბეთუხუცესი. ჩვენი აზრით, პირველი ომანი გუგუნა გერმანოზისშვილის ვაჟია, იგი 1716 წელს გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ გუდარეხის მონასტერში. მეორე ომანი კი პაატა გერმანოზისშვილის ვაჟია, ბიძამისის სახელი ომანი ჰქვია და მასავით მეჯინიბეთუხუცესია.

ამრიგად, გუდარეხის მონასტერში არსებული საფლავის ქვების წარწერების მიხედვით, დასაფლავებულნი არიან გერმანოზიშვილთა საგვარეულოს შემდეგი წევრები: 1. ვარაზაშვილი გიორგი, რომელიც ვარაზა გერმანოზისშვილის ვაჟი იყო და გარდაიცვალა 1693 წ. 2. პაატა გერმანოზისშვილის ასული, რომლის სახელი არ იკითხება და რომლის საფლავის ქვაც გააკეთეს მისმა ძმამ პაპუნა ბოქაულთუხუცესმა და მისმა მეუღლემ ანა-ხანუმმა 1645 წ. 3. იასე გერმანოზისშვილის მეუღლე თინათინი, რომელიც XVII ს. მიწურულს გარდაიცვალა. 4. ამავე იასე გერმანოზისშვილის ასული დარეჯანი, რომელიც XVII ს. მიწურულს ან XVIII ს. დამდეგს გარდაიცვალა. 5. დათუნა გერმანოზისშვილის მეუღლე თამარი, რომლის გარდაცვალებაც სავარაუდებელია XVII ს-ის მიწურულს ან XVIII ს-ის დასაწყისში. 6. გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი გერმანოზისშვილი, რომელიც XVIII ს-ის 40-იან წლებში ჩანს გარდაცვლილი. 7. მეჯინიბეთუხუცესი ომან გერმანოზისშვილი, რომელიც 1716 წ. გარდაიცვალა. ბუნებრივია, უეჭველად იქნებოდა სხვა საფლავის ქვებიც, რომლებიც ჟამთა სიავის წყალობით დაკარგულან.

საფლავის ქვების წარწერებში მოხსენიებული თითქმის ყველა პირის დადგენა გახდა შესაძლებელი ისტორიული დოკუმენტების მეშვეობით. გუდარეხის მონასტერში დასაფლავებული გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრები აქ იმარხებოდნენ XVII ს. II ნახევარსა და XVIII ს-ის I ნახევარში.

გ. ჯამბურიას მოსაზრება, რომ „რაიმე დიდი თანამდებობა გერმანოზიანთ სახლის წევრებს არა ჰქონიათ“[1] დაზუსტებას

[1] გ. ჯამბურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

მოითხოვს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით აღმოჩნდა, რომ XVII ს. II ნახევარსა და XVIII ს-ში გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრებს საკმაოდ მაღალი თანამდებობანი ეჭირათ ქართლის სამეფო კარზე. ასეთები იყო: ბოქაულთუხუცესობა, მეჯინიბეთუხუცესობა, ახალქალაქის და ტამალიის მოურაობა. როგორც ირკვევა, ეს სახელოები: „მამა-პაპათა სამკვიდრო და ნაქონი"[1] იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თანამდებობები ქართლის სამეფო კარმა გერმანოზიშვილებს სამემკვიდრო სახელოებად უბოძა. მაგალითად, ოთარ გერმანოზისშვილი ბოქაულთუხუცესი იყო[2], მეჯინიბეთუხუცესის სახელოს ფლობდა მისი ძმა პაატა[3], პაატას შემდეგ ეს თანამდებობა მის ძმას ვარაზს[4] რგებია. ამათი ძმა არსენი – მანგლელი ეპისკოპოსი იყო[5], იასე – ახალქალაქის, ტამალიის და ყოშა-გერის მოურავი[6], გუგუნა მეჯინიბეთუხუცესის სახელოს ფლობდა[7], პაპუნა ბოქაულთუხუცესი[8] იყო, დომენტი გერმანოზისშვილი კი – გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი[9], ოთარ იასეს ძე გერმანოზისშვილი მამამისივით ახალქალაქის, ტამალიის და ყოშა-გერის მოურავი[10] იყო, ომან გუგუნას ძე გერმანოზისშვილს მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობა ეკავა. ამავე სახელოს ფლობდა, მისი ძმისშვილი, პაატას ვაჟი ომანი, თამაზ გერმანოზისშვილი მილახორბაში[11] იყო, გოგია – მემანდერბაში[12], ზაალ გერმანოზისშვილი – იასაული, პაპა გერმანოზისშვილი კი – უზბაში.[13]

---

[1] საქართველოს სიძველენი, I, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1899, გვ. 123.
[2] ცსსა, ფ. 1450, 14-8.
[3] ხ. ი. ფ. Sd, 794.
[4] ხ. ი. ფ. Hd, 8809.
[5] ხ. ი. ფ. Ad, 624.
[6] ხ. ი. ფ. Hd, 14306.
[7] ცსსა ფ. 1450, 10-185.
[8] ხ. ი. ფ. Hd, 10366.
[9] ხ. ი. ფ. Hd, 1707ა.
[10] ხ. ი. ფ. Hd, 13 399.
[11] ხ. ი. ფ. Hd, 6602.
[12] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 464.
[13] ხ. ი. ფ. Hd, 8436.

ამრიგად, გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების წარწერები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გუდარეხის მონასტერი, რომელიც ადრე სამეფო მონასტერი იყო, 1643 წლიდან ბარათაშვილების ერთი დიდი განშტოების – გერმანოზისშვილთა საგვარეულო საძვალედ იქცა და იქ გერმანოზისშვილთა სათავადოს წევრები იმარხებოდნენ XVII ს-ის II ნახევრიდან XVIII ს-ის I ნახევრის მიწურულამდე. გერმანოზისშვილთა სათავადოს კი საფუძველი ჩაუყარა გერმანოზ III ბარათაშვილმა XVII ს-ის I ნახევრის მიწურულს. გერმანოზისშვილთა გვარი საკმაოდ დაწინაურებული იყო ქართლის სამეფო კარზე და ამ საგვარეულოს წარმომადგენლები მემკვიდრეობით ფლობდნენ ბოქაულთუხუცესის, მეჯინიბეთუხუცესის, ახალქალაქის, ტამალიისა და ყოშა-გერის მოურავის სახელოებს. მათ ეკავათ შედარებით მცირე – მილახორბაშის, მემანდერბაშის, უზბაშის და იასაულის თანამდებობებიც.

საგერმანოზისშვილოს სათავადო და გერმანოზისშვილები

ალგეთის ხეობაში ჩამოყალიბებული საგერმანოზისშვილო საკმაოდ ძლიერი სათავადო იყო. მართალია, გერმანოზისშვილთა სათავადო ყაფლანისშვილთა დიდ და მდიდარ სათავადოს ვერ გაუწევდა მეტოქეობას, მაგრამ სომხით-საბარათიანოში იგი ერთ-ერთ დაწინაურებულ და ძლიერ სათავადოს ნამდვილად წარმოადგენდა.

ტერიტორიულად გერმანოზისშვილთა სათავადო საკმაოდ ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა. 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, გერმანოზისშვილებს ყმა-მამული გააჩნდათ შემდეგ სოფლებში:

ალგეთს – ენაგეთში, ტბისში, აბელიაში, გუდარეხში, ცოვრეთში, ცხვრისში, ზაში, კოხტაში, კოიაში, ბაბიაში, ახვრისში, ვერხვნელაში, მარაბდაში, საბუზარაში.

ქციას – მძოვრეთში, დმანისში, ერგნათალაში, დმანისჯვარში.

ყარაბულახს – სხალნარასა და რევაშენში".[1] ასე რომ, გერმანოზისშვილებს ალგეთის ხეობაში 14 სოფელი ეჭირათ, ქციის ხეობაში – ოთხი, ხოლო ყარაბულახს – ორ სოფელს ფლობდნენ. მათ 20 სოფელში 112 კომლი გლეხი ეკუთვნოდათ, ჰყავდათ ოთხი მემამულე (მათი მამულის გამგებელი) ხუთი კომლი გლეხით.

როგორც უკვე ვთქვით, საგერმანოზისშვილოს სათავადო დააფუძნა გერმანოზ III ბარათაშვილმა, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებში 1627-43 წწ-ში იხსენიება. მას ჰყავდა ხუთი ვაჟი: ოთარი (ბოქაულთუხუცესი), პაატა (მეჯინიბეთუხუცესი), არსენი, იგივე ბერი (მანგლელი მთავარეპისკოპოსი), ვარაზა (მეჯინიბეთუხუცესი) და როსები[2], რომლის შესახებ ისტორიული დოკუმენტები დუმან, როგორც ჩანს, მცირეწლოვანი გარდაიცვალა. გერმანოზ ბარათაშვილს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა როსტომ მეფესთან, რომელმაც 1642 წ. მას უწყალობა სოფელი დიდი წერაქვი, რომლის სანაცვლოდ სამკვიდრო სოფელი ცოვრეთი ჩამოართვა და გიორგი ბატონიშვილს უბოძა. ერთი წლის შემდეგ კი როსტომ მეფემ ეს სოფელი გიორგი ბატონიშვილს ჩამოართვა და გერმანოზ ბარათაშვილს დაუბრუნა. ამავე საბუთში გუდარეხის მონასტერიც „სასაფლაოდ დაუმკვიდრა".[3] ასე რომ, სწორედ აქედან იწყება გერმანოზისშვილთა ახალი სათავადოს დაფუძნება. საბუთებიდან ჩანს, რომ გერმანოზი ზრუნავს საკუთარ სათავადოზე და იძენს ყმა-მამულს. იგი სხვადასხვა ტიპის ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება. მაგალითად, გერმანოზ III ბარათაშვილის ცხვარზე და სამეხრეოებზე დავა აქვთ პაპუნა და გუგუნა გერმანოზისშვილებს თავის ბიძა ვარაზასთან[4] (საბუთი უთარიღოა და იქ მოხსენიებული ისტორიული პირების მიხედვით თარიღდება XVII ს. მიწურულით). გერმანოზის და მისი შვილების საფიცრის წიგნები მოხსენიებულია

[1] იასე ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I-II, თბ., 1935, გვ. 128-129.
[2] ხ. ი. ფ. Hd, 6261; ცსსა ფ. 1450, 14-8, 14-9.
[3] ცსსა. ფ. 1450, 14-8.
[4] ხ. ი. ფ. Hd, 6261.

1691 წ. გორჯასპი (ბარათაშვილისათვის) მიბარებული წიგნების ნუსხაში[1], რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

აღსანიშნავია, გერმანოზ III ბარათაშვილის უფროსი ვაჟის – ბოქაულთუხუცეს ოთარის საქმიანობა გერმანოზისშვილთა სათავადოს ტერიტორიული გაფართოებისა და მისი ინტერესების დაცვისათვის. იგი 1638-79 წწ-ში იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში. ბოქაულთუხუცესი ოთარი ქართლის სამეფო კარზე ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე და სამეფო ხელისუფლების მხარდამჭერი იყო. ამიტომ ქართლის სამეფო კარი მას დამსახურებას არ უკარგავდა და წყალობას არ აკლებდა. მამამისის, გერმანოზ III ბარათაშვილის გარდაცვალების მერე გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის უფროსი გახდა, როგორც უფროსი ძე. ეს კი დაახლოებით 1643 წელს მოხდებოდა, რადგან ამ წლის მერე გერმანოზი ისტორიულ დოკუმენტებში აღარ იხსენიება.

1657 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა ოთარ გერმანოზისშვილს უწყალობა ყმა-მამული ცხვრისში და ზასში[2], დაუმტკიცა „წილში ნარგები ყმა-მამული ნარგებაშვილები 10 ცხვრით, ნისქვილითა და მამულით“[3] (საბუთს თარიღი არა აქვს და ვახტანგის ბატონიშვილობის წლებით – 1653-58 წწ. თარიღდება). გამეფების შემდეგ კი შაჰნავაზმა (ვახტანგ V – 1658-75 წწ.) განუახლა 1662 წ. გუდარეხის მონასტრის კუთვნილი სოფლის, ვერხუნალას თარხნობა, რომელიც ადრე როსტომ მეფეს გაუთარხნებია.[4]

ოთარ ბოქაულთუხუცესი ბევრს ზრუნავდა, რათა სათავადოსათვის ახალი ყმა-მამული შეემატებინა, გაეძლიერებინა და გაეფართოებინა გერმანოზისშვილთა სათავადო. ჩვენამდე მოაღწია მისი ყმა-მამულის ნასყიდობის სიგელებმა: 1679 წ. პანია ისპანაშვილისაგან იყიდა ვენახი.[5] ამავე წელს იყიდა თავისი ყმის, დათუნა

---

[1] ხ. ი. ფ. Sd, 1931.

[2] საქართველოს სიძველენი, I, თბ., 1899, № 420, გვ. 487.

[3] ცსსა, ფ. 1450, 33-285.

[4] ხ. ი. ფ. Hd, 14692.

[5] იქვე, Hd, 2185.

ხიზანისშვილისაგან ვენახი[1], ბერუკა ჩეკურასშვილისა და მაზიტა ზუბალაშვილისგანაც ვენახი შეუძენია აღნიშნულ წელს.[2] ოთარ გერმანოზისშვილი ხანდახან ცვლის მამულებს. მაგალითად, საამ ბარათაშვილს 1670 წ. გაუცვალა ტბისს სავენახე მიწა ენაგეთის ვენახზე.[3] აქვს სამამულე დავაც. ედავებოდა ზაალ სოლაღაშვილს 1676 წ. ტაგნაგეთის მიწებზე.[4] მაგრამ ეს დავა ბოქაულთუხუცესმა ოთარ გერმანოზისშვილმა წააგო. სადავო მიწები ზაალ სოლაღაშვილს დარჩა. ასე რომ, ყოველთვის წარმატებული არ იყო მისი მცდელობა მამულების დაბრუნებისა და შეძენისათვის. ოთარი სხვადასხვა ტიპის ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება, ბუნებრივია, ყველას ვერ შევეხებით და არც არის საჭირო.

ბოქაულთუხუცეს ოთარ გერმანოზისშვილს და მის მეუღლე მარიამს შვილი არ ჰყავდათ. ამიტომ ოთარმა გარდაცვალების წინ, 1679 წელს თავის თანამეცხედრე მარიამს „სასულიეროდ მისცა" თავისი ნასყიდი მამულები[5], ხოლო სამკვიდრო მამულები თავის ძმისწულებს დაუტოვა, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი სამამულე დავა მარიამსა და მის მაზლიშვილებს შორის.[6]

გერმანოზ III ბარათაშვილის მეორე ვაჟი პაატა 1638-80 წწ. გვხვდება საბუთებში. 1653 წ. კი ის უკვე მეჯინიბეთუხუცესია.[7] მას ჰყავდა ხუთი ვაჟი: იასე, გუგუნა, გერმანოზი, პაპუნა, დომენტი. მეჯინიბეთუხუცესი პაატა გერმანოზისშვილი აქტიურად ზრუნავს სათავადოს გაზრდა-გაფართოებაზე და იძენს ყმა-მამულს. 1661 წ. იყიდა თაყა ასანბეგიშვილისგან ხუთი დღის ხოდაბუნი და ორი დღის მიწა დამპალ-წყაროში.[8] 1672 წ. იყიდა იასე ბარათაშვილისა-

---

[1] ხ. ი. ფ. Hd, 5174.
[2] იქვე, Hd, 9322.
[3] ცსსა, ფ. 1450, 11-65; ფ. 1450, 4-197.
[4] იქვე, ფ. 1448-97.
[5] ხ. ი. ფ. Sd, 755.
[6] იქვე, Hd, 6052.
[7] იქვე, Sd, 794; Hd, 11664; Hd, 14692 და სხვები.
[8] იქვე, Hd, 1880.

გან ყმები[1], ხოლო ზასს – კახაბრისშვილის ნაქონი მამული[2], ზაალ ბარათაშვილისაგან კი შეიძინა 1679 წ. ტბისს ხატისა ხიზანიშვილის ვენახის მესამედი.[3]

მეჯინიბეთუხუცესი პაატა გერმანოზისშვილი, როგორც მეფის მოხელე, მონაწილეობს სასამართლო სხდომებზე, მაგალითად, იყო მონაწილე 1670 წ. ყაფლან ბარათაშვილისა და პაპუნა ვირშელიშვილის სამამულე დავის გარიგებისა[4], ასევე იყო მონაწილე 1678 წ. ციციშვილების და მაღრაძეების სამამულე დავის გარჩევისა[5], XVII ს. შუახანებში კი გაარიგა სარდალ-სახლთუხუცეს პაპუნასა და ციცი ციციშვილის სამამულე დავა.[6]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, პაატა გერმანოზისშვილი ედავება ყაფლან ბარათაშვილს ფიტარეთის მონასტერს და სხვა ყმა-მამულს, თავის მხრივ ყაფლანი ეცილება მას ყმა-მამულს და თაწმიდისა და ბრუტიანის მთებს. დავას ეტყობა მძაფრი ხასიათი ჰქონდა. ამ სამამულე დავის შესახებ ორი საბუთია შემორჩენილი. სასამართლო განჩინების მიხედვით ფიტარეთის მონასტერი ყაფლანს დარჩა, ხოლო დანარჩენ სადავო ყმა-მამულზე პაატა და ყაფლანი მორიგებულან[7] (საბუთები თარიღდება 1648-58 წწ. იქ მოხსენიებული ისტორიული პირების მიხედვით). ასევე მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილს სამამულე დავა ჰქონდა სარდალ-სახლთუხუცეს პაპუნასთან 1660 წ., რომლისთვისაც პირობა მიუცია, რომ თუ პაპუნას აზნაურიშვილები დაიფიცებდნენ, რომ სადავო მამულები ღორისთაველებისა იყო, პაატა აღარ შეეცილებოდა მას მამულებს.[8]

---

[1] ცსსა, ფ. 1450, 4-196.
[2] ხ. ი. ფ. Hd, 8802.
[3] ცსსა, ფ. 1449, 767.
[4] ხ. ი. ფ. Sd, 534.
[5] ცსსა, ფ. 1450, 14-62.
[6] ხ. ი. ფ. Hd, 972.
[7] იქვე, Sd, 794; Hd, 14284.
[8] იქვე, Hd, 830.

მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის სახელი კიდევ ბევრ სხვადასხვა სახის ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება, საიდანაც ჩანს, რომ იგი აქტიური პიროვნება იყო.

ასევე შემორჩენილია ცნობები გერმანოზ ბარათაშვილის მესამე ვაჟის, XVII ს. 70-იანი წლების მოღვაწე არსენ მანგლელის შესახებ. მისი საერო სახელი იყო ბერი. ამიტომ დოკუმენტებში ჯერ ბერის, ხოლო შემდეგ არსენის სახელით გვხვდება.[1] მის შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტები მცირერიცხოვანია: მაგალითად, 1670 წ. მან აბონოურში მამული უწყალობა ამიძაშვილებს.[2] მისი მანგლელობის დროს 1669 წ. შაჰნავაზმა ყმა-მამული უწყალობა მანგლისის ეკლესიას.[3] XVII ს. 70-იან წლებში კი თავის სამწყსოში არიგებს სამამულე დავას ფარსადანსა და თაყაშვილებისას მიწაზე და წისქვილზე.[4]

გერმანოზ III ბარათაშვილის უმცროსი ვაჟია ვარაზა. იგი 1638-98 წწ. გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში. ვარაზას ჰყავდა ორი ვაჟი – ლუარსაბი და გიორგი.[5] გიორგი, როგორც აღვნიშნეთ, დასაფლავებულია გუდარეხის მონასტერში, რომელიც ჩვენი ვარაუდით, 1693 წ. უნდა გარდაცვლილიყო.

განსხვავებით ძმებისაგან ვარაზა სულაც არ ზრუნავს საგერმანოზისშვილოს სათავადოს გაფართოებაზე, პირიქით – ყმა-მამულს უკარგავს. მაგალითად, ვარაზა გერმანოზისშვილს გაუყიდია თავისი ყმისთვის მამული, რის გამოც 1690 წ. იოანე კათალიკოსმა შეაჩვენა და აიძულა საკანონოდ შეეწირა სვეტიცხოვლისათვის თავისი მკვიდრი ყმები – ერტბისს მცხოვრები: ოქრუა, ივანა, ბერა, თევდორა გოგაშვილები და დათუნა კაციაშვილი.[6]

ვარაზა გერმანოზისშვილი ხშირად ყიდის ყმა-მამულს. 1693 წ. მიჰყიდა ბერუა ყორღანაშვილს ჩიჩხინაში თავისი მკვიდრი ყმის

---

[1] ცსსა, ფ. 1449-1825; ფ. Ad, 634; 1450, 11-2.
[2] ხ. ი. ფ. Ad, 624.
[3] ცსსა, ფ. 1449-1825.
[4] იქვე, ფ. 1450, 11-8.
[5] იქვე, ფ. 1450, 11-106; ფ. 1450, 16-125; ფ. 1450, 14-5.
[6] ლახი H, 13-15, 15-17...

მიწა[1], 1696 წ. კი ოქოანთ არაქელაშვილ ბეჟუას მიჰყიდა ორი დღის მიწა.[2] 1698 წ. დამპალაში მისი ნაქონი მიწის ერთი ნახევარი მიჰყიდა ბერი ყორღანაშვილს.[3] ასევე გაჰყიდა სხვა თავისი კუთვნილი ყმა-მამულიც.

ვარაზა გერმანოზისშვილი არა მარტო საკუთარ ყმა-მამულს ყიდის, არამედ სხვებსაც „უხარჯავს“ ანუ უყიდის ყმებს. XVII ს. მიწურულს „დაუხარჯა“ ყმები შერმაზან და მანუჩარ ყორღანაშვილებს, გაუყიდია მათი ორი ყმა: ევანეზა კირაკოზაშვილი და ხუბუა გრიგოლასშვილი.[4] ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, კერძო საკუთრება ხელშეუხებელი იყო და მას სახელმწიფო იცავდა. ამიტომ სასამართლომ მიუსაჯა ვარაზა გერმანოზისშვილს ზარალი აუნაზღაუროს შერმაზან და მანუჩარ ყორღანაშვილებს და მათ მისცეს: მამუკაშვილის სასახლე, მარანი და შვიდი დღის მიწა, ღამისხევში – ორი დღის მიწა, ზვრის თავში – ერთი დღის მიწა. ასე დასაჯეს ვარაზა გერმანოზისშვილი სხვისი ყმების უკანონო გაყიდვისათვის, მაგრამ ამის შემდეგაც არ დაიშალა თავისი და ისევ „დახარჯა“ შერმაზან, მანუჩარ და აბაზა ყორღანაშვილების „მკვიდრი ბიჭები“ და სანაცვლოდ მისცა ენაგეთის ზვარი.[5]

გაყრის შემდეგ ვარაზა ედავება ყმა-მამულს თავის ძმისწულებს გუგუნას და პაპუნას[6], დავის გარიგების შედეგად გუგუნას და პაპუნას ორი წილი მისცეს, ხოლო ვარაზას – ერთი. მას, როგორც უმცროს ვაჟს, საუმცროსო ერგებოდა და, როგორც ჩანს, ვარაზა გერმანოზისშვილს ეს წილი არ აკმაყოფილებს. გუგუნა და პაპუნა კი მისი უფროსი ძმის, პაატა მეჯინიბეთუხუცესის ვაჟებია, ამიტომ მათ თავიანთი მამის მემკვიდრეობიდან საუფროსო ეკუთვნით.

ასე რომ, თუ ისტორიულ დოკუმენტებს ვერწმუნებით, ვარაზა გერმანოზისშვილს თავისი კუთვნილი ყმა-მამულის დიდი ნაწილიც

---

[1] ცსსა ფ. 1450, 16-106.
[2] ცსსა, ფ. 1450, 8-79.
[3] იქვე, ფ. 1450, 16-95.
[4] იქვე, ფ. 1450, 16-126.
[5] იქვე, ფ. 1450, 16-92.
[6] ხ. ი. ფ. Sd, 577.

გაუყიდია და არც სხვისი ყმებისთვის დაუკლია ხელი და „დაუხარჯავს". ფაქტია, რომ ვარაზამ არაფერი გააკეთა საგერმანოზისშვილოს სათავადოს ინტერესებისათვის, მისი ტერიტორიული ზრდისთვის. ფეოდალურ ოჯახებში არსებობს უმცროსი ძმის პრობლემა. უმცროსი ძმები, როგორც წესი უკმაყოფილოები არიან წილში ნარგები მემკვიდრეობით, რასაც „საუმცროსო" ჰქვია. როგორც ჩანს, სწორედ ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ვარაზაც უკმაყოფილოა საუმცროსო წილით. ამიტომ, რაც „სათავისთაო" იყო, გაყიდა და ამით გამოხატა პროტესტი არსებული მდგომარეობისადმი. მას რომ საუმცროსო წილი ჰქონდა, კარგად დასტურდება ერთი დოკუმენტით, რომელშიც ნათქვამია, რომ 1692 წ. ნაზარალი-ხანმა (ერეკლე I) ვარაზას დაუმტკიცა „საუმცროსოდ ნარგები სასახლე".[1] მისი სახელი კიდევ ბევრ სხვადასხვა ტიპის ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება.

იასე გერმანოზისშვილი, მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის უფროსი ვაჟი, 1672-1712 წწ. ჩნდება ისტორიულ საბუთებში. მისი მეუღლე თინათინი გუდარეხის მონასტერშია დასაფლავებული. აქვეა დაკრძალული მათი ქალიშვილი დარეჯანი. იასეს და თინათინს დარეჯანის გარდა ორი ვაჟი – ოთარი და გერმანოზი ჰყავდათ.[2] ისტორიული დოკუმენტების მიხედვით იგი საკმაოდ აქტიური პოლიტიკური ფიგურაა ქართლის სამეფო კარზე და სამეფო ხელისუფლების მხარდამჭერია. ამიტომ იყო, რომ გიორგი მეფემ იასეს უწყალობა აბულფათისშვილის ნაქონი ვენახი. ეს XVII ს-ის მინურულს მოხდა. 1688 წ. 12 მარტს ლევან ბატონიშვილმა იასეს უბოძა თრიალეთის ახალქალაქის (ახლანდელი სოფ. დაშბაში წალკის რაიონში) ტამალიის და ყოშა-გერის მოურავობა[3], ხოლო ამ სახელოს წყალობა მას 1689 წ. განუახლა ნაზარალი-ხანმა.[4] იასე ზრუნავს სათავადოს ტერიტორიულ გაფართოებაზე. მაგალითად,

---

[1] ცსსა, ფ. 1450, 14-5.

[2] ხ. ი. ფ. Hd, 8810; ცსსა, ფ. 1450, 16-81.

[3] ხ. ი. ფ. Hd, 14306.

[4] ხ. ი. ფ. Sd, 549.

1697 წ. იყიდა გუგუნა ქავთარიშვილისგან ალგეთის პირას ვენახი.[1] 1693 წ. ვალი აუღია ქალიბ-ჯაფარასაგან.[2] 1698 წ. კი მიჰყიდა ბერი ყორღანაშვილს ორი დღის მიწა.[3] როგორც ჩანს, XVII ს. მიწურულს მის ოჯახს გასჭირვებია.

ასევე საინტერესო საბუთებია შემორჩენილი მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის მეორე ვაჟის, მოურავ იასეს ძმის გუგუნა გერმანოზისშვილის შესახებ, რომელიც 1662-99 წწ. მოღვაწეობდა. იგი მეჯინიბეთუხუცესი იყო. ჰყავდა სამი ვაჟი: დათუნა, ომანი, პაატა.

გუგუნა მეჯინიბეთუხუცესი ნაზარალი-ხანის მოწინააღმდეგეთა გუნდში შედიოდა. ბარათაშვილები, საერთოდ, მუხრანბატონთა შტოს მხარდამჭერნი იყვნენ. მაგრამ ბარათაშვილთა ნაწილი ნაზარალი-ხანს ემხრობოდა. ამის გამო იყო, რომ ნაზარალი-ხანმა მას და პაპუნა გოსტაშაბისშვილს 1693 წ. ზასსა და ბეთანიაში მამულები ჩამოართვა და თავის ერთგულ ავთანდილ ბარათაშვილს უწყალობა.[4] ამავე წელს ჩამოართვა მეჯინიბეთუხუცეს გუგუნას ნაზარალი-ხანმა ერთი კომლი გლეხი მძოვრეთს და როსტომ ბარათაშვილს მისცა.[5] გაჭირვებაში ჩავარდნილი გუგუნა იძულებულია მკვიდრი მამულები გაჰყიდოს. ამიტომაა, რომ 1698 წ. წინწყაროელ ბეროა დიარასშვილს მიჰყიდა თხვანთიბის სამკვიდრო მამულებიდან 16 დღის მიწა.[6]

მეჯინიბეთუხუცესი გუგუნა გერმანოზისშვილი ბევრ საბუთში იხსენიება მოწმედ.[7] გუგუნა და მისი ძმა პაპუნა ბოქაულთუხუცესი ედავებიან ყმა-მამულს თავის ბიძის ბოქაულთუხუცეს ოთარის ქვრივს მარიამს. ოთარი უშვილო იყო და როგორც აღვნიშნეთ, სიკვდილის წინ სამკვიდრო მამულები თავის ძმისშვილებს დაუტო-

---

[1] ხ. ი. ფ. Hd, 2770.
[2] საქართველოს სიძველენი, I, თბ., 1899, № 426, გვ. 491.
[3] ცსსა, 1450, 16-81.
[4] იქვე, ფ. 1450, 11-64.
[5] იქვე, ფ. 1448-56.
[6] იქვე, ფ. 1450, 53-212.
[7] იქვე, ფ. 1450, 15-49; ფ. 1450, 10-185; ხ. ი. ფ. Sd, 562 და სხვ.

ვა, ხოლო ნასყიდი თავის მეუღლე მარიამს. სასამართლოზე გუგუნა და პაპუნა ამტკიცებდნენ, ეს მამულები: „მამაჩვენის პაატას ნასყიდი არის და ბატონ მარიამს არ დავანებებთო"; ხოლო მარიამის მხლებელ გერგიძეზე ამბობდნენ: „მამიდაჩემის (როგორც ჩანს, გერმანოზ III ბარათაშვილს ხუთი ვაჟი და ერთი ასულიც ჰყოლია) მხლებელი იყოო".[1]

ასევე ედავებოდნენ თავის ბიძას ვარაზას ყმა-მამულს, რომელიც გაყრის მერე სადავო იყო.[2]

მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის მესამე ვაჟია გერმანოზი, რომლის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. მასზე მხოლოდ ერთი საბუთია[3] შემორჩენილი. როგორც ჩანს, გერმანოზი მალე გარდაიცვალა და არც შვილები დარჩენია.

ბოქაულთუხუცესი პაპუნა (იგივე პაპუა), პაატა გერმანოზისშვილის მეოთხე ვაჟი, 1669-1707 წწ. იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში. გუდარეხის საფლავის ქვის წარწერიდან ვიცით, რომ პაპუნამ და მისმა მეუღლე ანა-ხანუმმა, რომელიც ერისთავის მდივანბეგის უდიშვილის ქალი იყო, გაუკეთეს საფლავი პაპუნას დას, რომლის სახელი, სამწუხაროდ, წარწერაში არ იკითხება.

ბოქაულთუხუცესი პაპუნა უშვილოდ გარდაიცვალა. მას მხოლოდ ერთი „ბუში" დარჩა, სახელად ბეჟუა. რადგანაც პაპუნას საგერმანოზისშვილოს სათავადოზე დიდი ამაგი და დამსახურება ჰქონდა, როგორც საბუთში წერია: „თავის მამულზე და სახლზე დიდად ჭირნახული და გარჯილი კაცი იყოო", ამიტომ მის ბუშ ბეჟუას, წილი მისცეს – ორი კომლი და ორი საკომლო. ეს განჩინება გამონაკლისია ქართული სამართლის ისტორიაში იმ მხრივ, რომ მამის მამულში უკანონო შვილს წილი არგუნეს. ეს აღნიშნეს კიდეც დოკუმენტში: „დასტურ საქართველოში ბუშს საწილოდ მამულში ხელი არა აქვსო".[4] ბეჟუას უფლება ჰქონდა, თავის სურვილის მიხედვით, რომელ ბიძასთან და ბიძაშვილებთანაც მოინდომებდა, იქ ეცხოვრა,

[1] ხ. ი. ფ. Hd, 6052; Hd, 15059.
[2] იქვე, Sd, 577ა.
[3] ცსსა, ფ. 1450, 2-145.
[4] ხ. ი. ფ. Hd, 2085.

მაგრამ არა ჰქონდა უფლება სხვისი ყმა გამხდარიყო. თავის მხრივ არც მის ბიძებს ჰქონდათ უფლება მისი ყმა-მამულისთვის ხელი ეხლოთ. ეს დოკუმენტი 1707 წლის 25 იანვარსაა დაწერილი. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ბოქაულთუხუცესი პაპუნა, ჩვენი ვარაუდით, 1706 წ. მიწურულს გარდაიცვლებოდა. პაპუნა გერმანოზისშვილთა საგვარეულო საძვალეში გუდარეხის მონასტერში უნდა იყოს დამარხული, მაგრამ, ეტყობა, მისი საფლავის ქვა დაიკარგა. პაპუნას სახელი ბევრ სხვადასხვა სახის ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. მაგალითად, 1676 წ. მან იყიდა იასე ხერხეულიძისაგან გიორგი მაისურაძე შვილებით.[1] პაპუამ გაათარხნა თავისი ყმა ქიტია გედიასშვილი, დააკისრა მას თავისი მამის სახელზე აღაპის გადახდა და დაავალა ქალაქში შეშის ჩამოტანა.[2] როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის ძმა გუგუნასთან ერთად იგი ედავებოდა ყმა-მამულს თავისი ბიძის ოთარის ქვრივს მარიამს. ასევე ძმებს ჰქონდათ სამამულე დავა თავის ბიძა ვარაზასთან. ბოქაულთუხუცეს პაპუნას თავის ძმა იასესთან ერთად XVII ს. მიწურულს აუღია ევანეზისშვილისგან ორი თუმანი ვალი, მაგრამ ვერ გადაუხდიათ და ეს ვალი ექვსი თუმანი გამხდარა.[3] ასე რომ, XVII ს. მიწურულს გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრები ნელ-ნელა ღარიბდებიან და ძველ ეკონომიკურ შეძლებას კარგავენ.

მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის უმცროსი ვაჟი, გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი, როგორც უკვე ითქვა, 1690 წლიდან 1727 წლამდე იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში. იგი დაკრძალულია გუდარეხის მონასტერში. საფლავის ქვის წარწერიდან ვიცით, რომ წინამძღვარი დომენტი: „ამა მონასტრის მეორედ გამკეთებელია“. როგორც ჩანს, მან გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძარი შეაკეთა და სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა.

დომენტი წინამძღვარი სამეფო კართან დაახლოებული, აქტიური პოლიტიკური ფიგურა იყო. მისი სახელი ბევრ ისტორიულ დოკუ-

---

[1] ხ. ი. ფ. Hd, 10 366.

[2] იქვე, Hd, 1702.

[3] იქვე, Hd, 15 089.

მენტში გვხვდება. მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი. 1692 წ. მან იყიდა უსუბეგაშვილისაგან[1] ერთი არეკალი ვენახი ტბისში, რომელიც შემდეგში მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილს.[2] ამავე წელს კალოს პურის ამოკვეთის წიგნი მისცა გუდარეხელ თამაზა კახისშვილს.[3] ეტყობა თამაზა კახისშვილი გუდარეხის მონასტრის ყმაა, ამიტომ მონასტრის წინამძღვარს აქვს უფლება მას გადასახადი გაუუქმოს. დომენტი გერმანოზისშვილი ბევრ საბუთში გვხვდება, როგორც ძმა იასე, პაპუა და გუგუნა გერმანოზისშვილებისა. სოფელი გუდარეხი „სარჩოდ დაანებეს" გუგუნა და იასე (გერმანოზისშვილებმა) თავის ძმას დომენტის.[4] ეს დოკუმენტი უთარიღოა და XVIII ს. დასაწყისით შეიძლება იქნას დათარიღებული. ამავე ხანებშია დაწერილი წინამძღვარ დომენტის მიერ გუდარეხელებისათვის მიცემული პირობის წიგნი, რომლის მიხედვითაც გუდარეხელებს „სამი დღის ანეული" მართებთ დომენტი წინამძღვრისა.[5] ასე ყოფილა დომენტის პაპის დროსაც. მაშასადამე, გუდარეხელები წინამძღვარ დომენტის ყმებია მემკვიდრეობით და ისინი გუდარეხის მონასტრის ყმები არ არიან. როგორც ჩანს, სოფელ გუდარეხის ნაწილი გუდარეხის მონასტრის საკუთრებაა, ნაწილი კი გერმანოზისშვილებს ეკუთვნით მემკვიდრეობით.

ჩვენამდე მოაღწია დომენტი წინამძღვრის ხელით დაწერილმა რამდენიმე ისტორიულმა დოკუმენტმა. მაგალითად, დომენტი წინამძღვარმა დაწერა 1693 წ. იასე გერმანოზისშვილის მიერ ქალიბ ჯაფარასაგან აღებული ვალის წიგნი[6], მანვე დაწერა 1698 წ. გუგუნა გერმანოზისშვილის მიერ ბერუა დიარასშვილისადმი მიცემული მინის ნასყიდობის წიგნი.[7]

---

[1] ხ. ი. ფ. Hd, 1707ა.
[2] იქვე, Hd, 1707.
[3] იქვე, Hd, 3397.
[4] იქვე, Hd, 5646.
[5] იქვე, Hd, 2885.
[6] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 491.
[7] ცსსა, ფ. 1450, 53-212.

როდესაც დომენტი წინამძღვრის საფლავის ქვის წარწერა განვიხილეთ, აღვნიშნეთ, რომ უკანასკნელად გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი 1727 წლის საბუთში იხსენიება. ეს არის დომენტი კათალიკოსის მიერ იასე ტლაშაძისადმი მიცემული წყალობის სიგელი.[1] როგორც უკვე ვთქვით, დოკუმენტი შედგენილია სტამბოლში და მოწმეთა შორის წინამძღვარი დომენტი გერმანოზისშვილიც არის დასახელებული. როდის დაბრუნდა დომენტი გერმანოზისშვილი სამშობლოში, ცნობილი არ არის. 1727 წ., თუ 1739 წელს, როდესაც დომენტი კათალიკოსი ჩამოვიდა საქართველოში. არ ვიცით, როდის გარდაიცვალა დომენტი წინამძღვარი. მისი საფლავის წარწერა უთარიღოა, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დაუბრუნდა თავის მონასტერს, რომლის შეკეთებაზე დიდი შრომა გაუწევია და იქვეა დამარხული. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დომენტი გერმანოზისშვილი დომენტი კათალიკოსთან დაახლოებული პირი ყოფილა, სხვანაირად, ბუნებრივია, მისი ამალის წევრი ვერ იქნებოდა, ვერც სტამბოლში წაყვებოდა მას. ცხადია, ისინი, ორივე დომენტი, ერთნაირი პოლიტიკური მრწამსის მოღვაწენი იყვნენ. ბარათაშვილების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით გერმანოზისშვილები და ყაფლანისშვილ-ორბელისშვილები მუხრანბატონთა შტოს მხარდამჭერნი იყვნენ, სამეფო ხელისუფლების ერთგულებით გამოირჩეოდნენ და მისი გაძლიერებისათვის იბრძოდნენ.

ასე რომ, გუდარეხის მონასტრის წინამძღვარი დომენტი გერმანოზისშვილი თავისი დროის აქტიური მოღვაწე ჩანს.

XVIII ს-ში მცხოვრები გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრების შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტები საკმაოდ ბევრია. თითოეული მათგანი ძალიან საინტერესოა, ბუნებრივია, აქ ყველას ვერ განვიხილავთ, მაგრამ გავეცნოთ რამდენიმე ძალიან საინტერესო საბუთს. ერთი რამ უნდა აღინიშნოს, XVIII ს. ისტორიული დოკუმენტების უმრავლესობა გერმანოზისშვილთა სამამულე დავის წიგნები ან არზა-განჩინებანია. ძალიან იშვიათია ნასყიდობის

[1] ხ. ი. ფ. Hd, 10 775.

სიგელები, რაც იმას ნიშნავს, რომ საგერმანოზისშვილო, როგორც სათავადო, თავის ძველ ძლიერებას თანდათან კარგავს, ღარიბდება და შესაბამისად სათავადოს სახლის წევრებსაც აღარ მოსდევთ ძველი შეძლება, რასაც თვითონ გერმანოზისშვილები ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით, ანუ „ავი დროების გამოისობით", ხსნიან.

ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია 1749 წ. ოთარ გერმანოზისშვილისა და ზაალ ყორღანაშვილის განჩინება[1] – სადავო ყმა-მამულზე. ოთარი იასე მოურავის უფროსი ვაჟი იყო. ოთარის აქ არყოფნით ესარგებლა ოთარის უმცროს ძმას გერმანოზს და ოთარის ცოლის (ჯალაბის) მზითვის ფულით ნაყიდი სამი კომლი მანუჩარ ყორღანასშვილისთვის მიეყიდა. სამშობლოში მობრუნებული ოთარი დაკარგული ყმა-მამულის დაბრუნებას შეუდგა და სასამართლოს გადაწყვეტილებით კიდევაც დაიბრუნა. ოთარ გერმანოზისშვილი ახალქალაქის, ტამალიის და ყოშა-გერის მოურავი იყო. იგი ამ სახელოს მემკვიდრეობით ფლობდა. დედამისი თინათინი და და დარეჯანი გუდარეხის მონასტერში არიან დაკრძალული. სავარაუდებელია, ოთარიც გუდარეხის მონასტერში იყოს დასაფლავებული. იგი აქტიური პიროვნებაა, სასამართლო დავაში ხშირად წარმატებას აღწევს და გამარჯვებული გამოდის. ამ სახის კიდევ ერთი საბუთია 1752 წ. თეიმურაზ მეფის სასამართლო განჩინება ოთარ და პაატა გერმანოზისშვილების სადავო მამულის საქმეზე.[2] ამ დოკუმენტში მოხსენიებული ოთარი და პაატა გერმანოზისშვილები მეჯინიბეთუხუცეს პაატა გერმანოზისშვილის შვილიშვილებია, ოთარი იასეს ვაჟია, ხოლო პაატა – გუგუნასი. „ავი დროის ბედით" ოთარი სხვაგან წასულიყო, ხოლო პაატას კი მარაბდაში ოთარის წილი მამული გაეყიდა. ოთარმა თეიმურაზ მეფესთან უჩივლა პაატას მისი წილი მამულის გაყიდვის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ პაატას ოთარის მამულის გაყიდვის უფლება არა ჰქონდა და მარაბდის მამული ოთარ გერმანოზისშვილს დაუბრუნეს. ამ სასამართლო

[1] ხ. ი. ფ. Hd, 6772.

[2] იქვე, Hd, 8436ა.

განჩინებას ერთი საინტერესო მინაწერი აქვს, რომლის თანახმადაც ოთარისა და მისი შვილის ნიკოლოზის მარაბდის კუთვნილი მამულების სიგელები უზბაშ პაპა გერმანოზისშვილს ჰქონია.[1] ეს პაპა უზბაში, იგივე პაპუნაა, დათუნა გერმანოზისშვილისა და იმ თამარის შვილი, რომელიც გუდარეხის მონასტერშია დაკრძალული.

სამამულე დავის წიგნების გარდა, ოთარ გერმანოზისშვილის სახელი არზა-ოქმებშიც გვხვდება. მაგალითად, შემონახულია 1749 წ. ოთარ გერმანოზისშვილის არზა თეიმურაზ მეფისადმი დაკარგული მამულების დაბრუნების თაობაზე, თეიმურაზ მეფის ოქმით.[2] საინტერესოა, როგორ უკავშირებს ოთარი თავისი მამულების დაკარგვას ქვეყანაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციას. აი, რას წერს იგი: „მოეხსენება ბედნიერ ხელმწიფეს, რომ ქვეყანა აიყარა და დაიკარგა. მეც ავიყარე და ურიებში გადაველ. ამას ვეხვეწები ბედნიერ ხელმწიფეს, ვისაც ჩემი მამული დაეჭიროს ჩემის სახლის კაცსა, თუ სხვას ვისმე ერთი ოქმის წყალობა მიბოძეთ, სარდლისშვილ რევაზზედ, რომ ჩემი მამულები მევე დამანებონ, მოსავალი ავიღო და თქვენი სამსახური შევძლო თქვენდა გასამარჯვებლად". მართლაც, თეიმურაზ მეფეს შეუსმენია ოთარ გერმანოზისშვილის ვედრება და სარდლისშვილ რევაზისათვის დაუვალებია ოთარ გერმანოზისშვილისათვის წართმეული მისი წილი ყმა-მამულის დაბრუნება.

ცნობილია, რომ ქართლ-კახეთში 1735-1747 წწ. იყო ყიზილბაშობის ხანა. ეს იყო უმძიმესი ეპოქა საქართველოს ისტორიაში. ყიზილბაშებმა დიდი ხარკი შეაწერეს ქართლს. მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახადის უუნარო იყო, ამიტომ იყრებოდა და გარბოდა მშობლიური ადგილებიდან. „ქვეყანა აიყარაო", რომ წერს ოთარი, სწორედ ამ მძიმე საშინაო პოლიტიკურ სიტუაციას გულისხმობს. ამის გამო აყრილა ოთარი და ურიებში გადახვეწილა. მაგრამ, როგორც კი ყიზილბაშობა დამთავრდა და ქართლის მეფე თეიმურაზ II გახდა, ხოლო კახეთისა – მისი ვაჟი ერეკლე II, გახიზ-

[1] ხ. ი. ფ. Hd, 8436ბ.
[2] ხ. ი. ფ. Qd, 719.

ნული მოსახლეობა მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდა. ასევე დაბრუნდა ოთარიც თავის მამულში და დაკარგული და გაფანტული ყმა-მამულის მოძიება დაიწყო. იგი აქტიური პიროვნება იყო და ენერგიულად ცდილობდა საგერმანოზისშვილოს სათავადოს ძველი დიდების აღდგენას.

გიორგი ლუარსაბის ძე გერმანოზისშვილი 1704-1775 წწ. იხსენიება ისტორიულ საბუთებში. გიორგი ვარაზა გერმანოზისშვილის შვილიშვილი იყო. მას ვარაზას უფროსი ძის, გიორგის სახელი ერქვა, რომელიც 1693 წ. გარდაიცვალა და დასაფლავებულია გუდარეხის მონასტერში.

ჩვენამდე მოაღწია გიორგი გერმანოზისშვილის მიერ დაწერილმა ორმა არზამ. მას მძიმე ცხოვრება ჰქონია. თავის თავგადასავალს გიორგი ჰყვება 1770 წ. 8 თებერვალს ერეკლე მეფისადმი დაწერილ არზაში. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გიორგი პატარა, ასე ორისამი წლისა დარჩენილა ობლად. მისი მცირეწლოვანებით უსარგებლია მის „გამდელს" და მარაბდაში მისი კუთვნილი ორი საკომლე მამული სამ თუმნად მიუყიდია თუშმალ იბრეიმისათვის. გასულა ხანი, თუშმალი იბრეიმა მომკვდარა და მისი ნაცოლარი გიორგის განაყოფ პაპუა გერმანოზისშვილს (პაპუა – დათუნა ბოქაულთუხუცესისა და გუდარეხის მონასტერში დაკრძალული თამარის შვილია) შეურთავს. მამულის ნასყიდობის სიგელი არავის დაუბეჭდავს, რადგან მოახლეს ბატონის მამულის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ პაპუას ის „დაუბეჭდავი" სიგელი დაუბეჭდინებია. გიორგის კი არაფერი შეატყობინა იმ მიზეზით, რომ „ქვრივი თვითონ ჰყავდა და იმ მამულსაც სათავისოდ გამოელოდა". გიორგი სამართალს ითხოვს. ერეკლე მეფე ამ არზას გაეცნო და მოითხოვა მხარეთა სასამართლოში წარდგენა, რათა „სამართალი უსაჯონ".[1]

ეს სამამულე დავა, როგორც ჩანს, ამით არ დამთავრებულა. გიორგი გერმანოზისშვილი ისევ ჩივის სასამართლოში და ისევ ითხოვს იმ დაკარგული ყმა-მამულის დაბრუნებას ერეკლე მეფის

[1] ხ. ი. ფ. Hd, 28 36.

სახელზე 1775 წ. დანერილი არზით.[1] ერეკლე მეფემ დიმიტრი ეშიკაღასბაშს დაავალა ამ საქმის გამოძიება. არ ვიცით, შესძლო თუ არა გიორგი გერმანოზისშვილმა მარაბდაში თავისი წილი მამულების დაბრუნება. ამ სასამართლო დავის განაჩენი არ შემონახულა.

XVIII ს. მიწურულს საგერმანოზისშვილოს მძიმე დღეები უდგას. ამ სათავადოს სახლის წევრებიც გაღარიბდნენ. ოსმალობამ, ყიზილბაშობამ, ლეკიანობამ შინაფეოდალურმა ომებმა ქართლი და განსაკუთრებით საბარათიანო დაამხო და გააღატაკა. ასე დაემართა საგერმანოზისშვილოსაც, ბევრი მამულები დაიკარგა მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო. იმატა არზა-საჩივრებმა დაკარგული მამულების დასაბრუნებლად.

ამ სურათს კარგად ასახავს ნიკოლოზ გერმანოზისშვილის ქვრივის 1785 წ. არზა. ეს ნიკოლოზი მოურავ ოთარ გერმანოზისშვილის ვაჟია.

ნიკოლოზ გერმანოზისშვილის ქვრივს დანიშნული ჰქონია ულუფად დღეში ერთი ლიტრა პური, მაგრამ მისთვის შეუწყვეტიათ ეს ულუფა, რადგან ნიკოლოზ გერმანოზისშვილის „ჯალაბში“ 15 სული ყოფილა, ქვრივი მეფეს სთხოვს შეწყვეტილი ულუფის აღდგენას. ერეკლე მეფემ ანგარიში გაუწია ქვრივის თხოვნას და აღუდგენია ეს ულუფა.[2] აი, როგორი გაჭირვება ჰქონია ოთარ გერმანოზისშვილის ერთ დროს მდიდარ და ძლიერ ოჯახს.

მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს დავით გერმანოზისშვილის 1788 წ. არზა, შედგენილი ვახტანგ ბატონიშვილის სახელზე. მისი ერთი კომლი ყმა „ავი დროების მიზეზით“ მას და მამამისს თამაზ ზანდუკელისათვის მიუბარებიათ დროებით. ახლა კი თავის ყმის დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ თამაზ ზანდუკელი არ აძლევს. ვახტანგ ბატონიშვილმა (ერეკლე II-ის ძე) უბრძანა თამაზ ზანდუკელს, თუ ყმის პატრონი მართალია, დაებრუნებინა ყმა.[3]

---

[1] ხ. ი. ფ. Qd, 788.

[2] იქვე, Hd, 10213.

[3] ცსსა, ფ. 1450, 13-78.

ასე რომ, თუ XVII ს-ის II ნახევარსა და XVIII ს. დასაწყისში გერმანოზისშვილები ყმა-მამულს იძენენ და სათავადოს გაფართოებისათვის ზრუნავენ. XVIII ს. II ნახევრიდან გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრების ძირითადი საზრუნავი დაკარგული ყმა-მამულის დაბრუნებაა. ამიტომაა, რომ XVIII ს. 70-80-იანი წლებიდან გერმანოზისშვილების დოკუმენტების დიდი ნაწილი ან სამამულე დავის წიგნებია, ან არზა-ოქმები, რითაც გერმანოზისშვილები დაკარგული ყმა-მამულის დაბრუნებას ცდილობენ.

მართლაც, გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების წარწერები და ისტორიული დოკუმენტები გუდარეხის მონასტრისა და გერმანოზისშვილთა საგვარეულოს წევრების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან. რა თქმა უნდა, გერმანოზისშვილთა სათავადოს სახლის წევრების შესახებ ყველა დოკუმენტის მოტანა და განხილვა შეუძლებელია, მათი რაოდენობა ჩვენს სიძველეთსაცავებში საკმაოდ დიდია. გერმანოზისშვილთა შესახებ არსებული დოკუმენტები თავისთავად მეტყველებს ამ სათავადოს მნიშვნელოვან როლზე ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემაში.

(მონოგრაფიას ბოლოში ერთვის გერმანოზისშვილთა
გენეალოგური ტაბულა)

თავი III

გუდარეხის სამონასტრო სენიორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება

(მიწათმფლობელობა და მისი ფორმები, მეურნეობა)

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი, როგორც ითქვა, საკმაოდ დიდ ტერიტორიას – 4,5 ჰექტარ ფართობს მოიცავს და გალავნით არის შემოზღუდული. ეს სამონასტრო სენიორია მდინარე გუდარეხისწყლის სათავეში, საკმაოდ მომხიბლავ გარემოში არის აგებული.

გუდარეხის მონასტრის მიწათმფლობელობის შესახებ არც ისე ბევრი საბუთია შემორჩენილი. XIII-XV სს. არცერთი ისტორიული დოკუმენტი არ მოგვეპოვება. ხვარაზმელთა, მონღოლთა და თემურ-ლენგის ამაოხრებელმა შემოსევებმა თავისი დაღი დაასვა მონასტერს და, როგორც ჩანს, მის წიგნთსაცავსაც. ეტყობა, მაშინ დაიკარგა ძველი სიგელ-გუჯარები. შემდეგ ოსმალობამ, ყიზილბაშობამ, ლეკიანობამ, შინაფეოდალურმა ომებმა მთლიანად გააპარტახა გუდარეხის მონასტერი. თუმცა ნაწილი ძველი სიგელ-გუჯრებისა ლუარსაბ მეფესაც და თეიმურაზ I-საც უნახავს აღნიშნულ მონასტერში.

გუდარეხის მონასტერი ძირითადად შეწირულ მამულებს ფლობდა. სწორედ შეწირული ყმა-მამული იყო მონასტრის ძირითადი ქონება. ქართული სამონასტრო მიწათმფლობელობის მთავარი ფორმა შეწირულობა იყო, თუმცა გუდარეხის მონასტერს ნასყიდი მამულებიც ჰქონდა, მაგრამ ნაკლები რაოდენობით. გუდარეხის მონასტერი სამეფო მონასტერი იყო და მის ყმა-მამულსაც და ქონებასაც მეფე განკარგავდა მანამდე, სანამ გუდარეხის მონას-

ტერი საგვარეულო საძვალედ არ უწყალობა როსტომ მეფემ გერმანოზისშვილებს და იგი მათ დაქვემდებარებაში არ გადავიდა.

ჩვენამდე მოღწეული პირველი საბუთი, რომელიც გუდარეხის მონასტერს ეხება, სიმონ მეფის 1586 წ. 1 იანვრის სიგელია, რომლის მიხედვითაც მეფემ სამეფო მონასტერი გუდარეხი (არ ჩანს დოკუმენტიდან რა მოსაზრებით) დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა.[1] დმანისის ღვთისმშობლის ეკლესია დროებით ფლობდა გუდარეხის მონასტერს. ისე კი, გუდარეხის სამონასტრო სენიორია ტერიტორიულად სამანგლელოში შედიოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დმანისი ბარათაშვილებს ეკუთვნოდათ და დმანისის ეკლესიაც ბარათაშვილთა საგვარეულო საძვალე იყო. ამ სიგელიდან ჩანს, რომ სიმონ მეფემ დმანისის ღვთისმშობელს შესწირა: სოფელი ჩინჩახორი, დმანისის ხეობის დამღის (საბაჟო გადასახადია) მესამედი, მუტავისი, სოფელი ვარდისუბანი და გუდარეხის ღვთისმშობლის მონასტერი მისი მამულებითურთ. სიმონ მეფემ შეწირული მამულები გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან (სატურღო, სამელიქო, საბალახე, სამეკობრისმძებნელო). მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, XVII ს. დასაწყისში გუდარეხის მონასტერი ისევ სამეფო მონასტერია და გამოსულია დმანელის დაქვემდებარებიდან. XVII ს-ის დასაწყისში ლუარსაბ მეფე გუდარეხის მონასტერს სწირავს სოფელ ვერხუნალას. ეს ის ისტორიული დოკუმენტია, სადაც მოთხრობილია, რომ ლუარსაბ მეფემ მოინახულა გუდარეხის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, რომელიც რუსუდან დედოფლის აშენებული იყო და მისი სამარეც იქ მდებარეობდა. იქ ლუარსაბ მეფეს გუდარეხის მონასტრის კუთვნილი სხვა სიგელებიც უნახავს. მან მონასტერს შესწირა 5 თუმანი თეთრი სანთელ-საკმეველისა და ზეთის ფასად, განუახლა სოფელ ვერხვნალას წყალობა და შესწირა სოფელ ხოფისში (ალგეთის პირას მდებარე სოფელი) მცხოვრები სამი კომლი გლეხი, აგრეთვე გაათარხნა მონასტრის მამულები და დაუტოვა მხოლოდ ლაშქარ-

[1] ხ. ი. ფ. Ad, 2233.

ნადირობის ვალდებულება.[1] მაშასადამე, გუდარეხის მონასტერი ამ დროს ისევ სამეფო მონასტერია და აღარ ექვემდებარება დმანელ ეპისკოპოსს.

გუდარეხის მონასტერს ყმა-მამული შესწირა თეიმურაზ მეფემაც.[2] სწორედ მან ნახა, როგორც უკვე ვთქვით, გუდარეხის მონასტერში ძველ მეფეთაგან და მეპატრონეთაგან „ბევრი შეწირულობა და დანახარჯები".

1680 წელს სოფელი ვერხვნალა უკან დაუბრუნა გუდარეხის მონასტერს იასე ბარათაშვილ-თამაზაშვილმა და შესწირა ყმები: დეკანოზი ოქროპირ ნამორაძე, მოძღვრისშვილი მოძღვარი ძმებიანად, მამისგულა ძმებიანად, დათუასშვილი და მისი ძმა, რევაზისშვილი მამუკა, იორამა დიასახლისისშვილი, იასონა უდრუცანაშვილი, მამუკა კაკონაშვილი. ამ შეწირულობის სანაცვლოდ გუდარეხის მონასტრის წინამძღვარს აღაპი უნდა გადაეხადა იასე ბარათაშვილ-თამაზისშვილისთვის.[3]

სოფელი გუდარეხიც გუდარეხის მონასტრის საკუთრება ყოფილა. ეს კარგად ჩანს გუდარეხის მონასტრის წინამძღვარ დომენტი გერმანოზისშვილის საბუთებიდან, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს სოფელი მთლიანად არ ეკუთვნოდა გუდარეხის მონასტერს, აქ ყმა-მამული სხვა გერმანოზისშვილებსაც ჰქონიათ. სოფელი გუდარეხი დღეს ნასოფლარია. ისტორიული დოკუმენტები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ამ სოფლის შესახებ. 1543 წ., ბარათაშვილთა გაყრის შემდეგ, იგი რგებიათ გიორგი და ფარიშატ ბარათაშვილებს.[4] შემდეგ სოფელი გუდარეხი გერმანოზისშვილებს ეკუთვნოდათ, მოგვიანებით კი, XVIII ს. მიწურულს სოფელ გუდარეხის დიდი ნაწილი გუდარეხის მონასტრის მფლობელობაში იყო. XVIII ს. დასაწყისში სოფელი გუდარეხი სარჩოდ დაანებეს გუგუნა და იასე (გერმანოზისშვილებმა) თავის ძმას დომენტის, რომელიც გუდარეხ-

[1] ხ. ი. ფ. Hd, 1554ბ.
[2] იქვე, Hd, 1564; Hd, 1554ა, ფ. Hd, 10 301.
[3] იქვე, Hd, 14 667ა.
[4] იქვე, Hd, 10 381.

ის მონასტრის წინამძღვარი იყო.[1] ამიტომაა, რომ დომენტი წინამძღვარმა გუდარეხელებს მისცა ბატონყმობის წიგნი.[2] XVIII ს. I მეოთხედში კი სხვა გერმანოზისშვილებსაც ჰყავთ ყმები გუდარეხში, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფელ გუდარეხის ნაწილი თავიდანვე გერმანოზისშვილებს ეკუთვნოდათ ან მოგვიანებით მოხდა გუდარეხის მონასტრისათვის შეწირული სოფლის ნაწილობრივი გამოწირვა გერმანოზისშვილების მიერ. 1721 წ. ვახტანგ VI-ის ბრძანებით შედგენილი მეწინავე დროშის აღწერილობის მიხედვით ორ-ორი კომლი ჰყავდათ სოფელ გუდარეხში დათუნა, ოთარ და ლუარსაბ გერმანოზისშვილებს.[3] ამ გერმანოზისშვილებს იქ სულ ექვსი კომლი ყმა ჰყავდათ, ხოლო სოფელ გუდარეხის დანარჩენი ყმა-მამული გუდარეხის მონასტერს ეკუთვნოდა. მაგალითად, 1692 წ. გუდარეხის მონასტრის წინამძღვარმა დომენტი გერმანოზისშვილმა კალოს პურის ამოკვეთის წიგნი მისცა გუდარეხელ თამაზა კახისშვილს.[4] ეს საბუთი ადრეც განვიხილეთ, აღვნიშნეთ, რომ თამაზა კახისშვილი გუდარეხის მონასტრის ყმაა, ამიტომ აქვს მონასტრის წინამძღვარს უფლება მას გადასახადი გაუუქმოს. ადრე კი სხვა ვითარება იყო. სოფელი გუდარეხი გერმანოზისშვილებს ეკუთვნოდათ. 1651 წლის დოკუმენტში, რომელიც გუდარეხელთა და ღორისთაველთა დავას ეხება ბედენის მთის საზღვარზე, სოფელ გუდარეხის მეპატრონედ ოთარ გერმანოზისშვილია დასახელებული.

არსებობს სამამულე დავის წიგნები და სასამართლო განჩინებანი, საიდანაც ჩანს, რომ გუდარეხის მონასტერი შეწირულ მამულებს თანდათან კარგავდა და სასამართლოს მეშვეობით იბრძოდა მათ დასაბრუნებლად, თუმცა ყოველთვის როდი აღწევდა გამარჯვებას. მაგალითად, 1660 წ. გუდარეხის მონასტერი ედავებოდა მიწაზე ღორისთაველებს. სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად სამ ღორისთაველს – ზურაბა ფანიაშვილს, გოგია ხუცისშვილს და

[1] ხ. ი. ფ. Hd, 5646.

[2] იქვე, Hd, 2885.

[3] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 132, 135, 137.

[4] ხ. ი. Hd, 14 671.

ჯიმშერ მექვაბისშვილს უნდა დაეფიცათ, რომ გუდარეხის მონასტერს გამოსწირეს სოფელი ღორისთავი და გუდარეხელებს მასზე უფლება აღარ ააქვთო.[1]

ფაქტია, რომ გუდარეხის მონასტრის მამულების დიდი უმრავლესობა შემოწირული იყო. ძნელბედობისა და ქვეყნის დუხჭირი მდგომარეობის გამო ჩვეულებრივი მოვლენა იყო შემოწირული მამულების უკან გამოწირვა ხან მთლიანად და ხანაც ნაწილობრივ. თუმცა მონასტერი დაკარგული მამულების დაბრუნებას სასამართლოს გზით ცდილობდა და პოზიციას არ თმობდა.

მონასტრებისათვის ყმა-მამულის დაცვის ერთადერთი გარანტი სამეფო ხელისუფლება იყო, რადგან სამეფო ხელისუფლება იცავდა მონასტრებს, აძლევდა შენირულების განახლების სიგელებს, აკონტროლებდა მათ და უფრთხილდებოდა სამონასტრო ქონებას. ასეთი პოლიტიკის გამო ეკლესია-მონასტრები მხარს უჭერდნენ სამეფო ხელისუფლებას და აქტიურად იბრძოდნენ მისი განმტკიცებისათვის. სწორედ ასეთი პოლიტიკის გამოხატულება იყო ლუარსაბ მეფის მიერ სოფელ ვერხვნალას შეწირვა გუდარეხის მონასტრისათვის. მაგრამ გერმანოზისშვილები ნელ-ნელა ართმევენ ყმა-მამულს თავიანთ საგვარეულო საძვალედ ქცეულ გუდარეხის მონასტერს.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით გუდარეხის მონასტრის კუთვნილი სოფელ ვერხვნალას ბედი. ამ სოფლის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. აქ კი შევეხები მას, როგორც გუდარეხის მონასტრის საკუთრებას.

ისტორიული დოკუმენტების მეშვეობით შეიძლება თვალი გავადევნოთ ამ სოფლის ისტორიას. ბედენის პირას მდებარე ეს სოფელი XVII ს. დასაწყისში ლუარსაბ II მთლიანად შესწირა გუდარეხის მონასტერს.[2] შემდეგ კი როსტომ მეფემ ვერხვნალა ჯილდოდ მისცა დონდარა მესტუმრეს.[3] ე. ი. მოხდა შეწირული მამულის უკან გამოწირვა. მაშინ გუდარეხის მონასტერი სამეფო მონასტერი იყო და იურიდიულად როსტომ მეფეს ამის უფლება ჰქონდა. 1662 წელს

[1] ხ. ი. ფ. Hd, 830.
[2] იქვე, Hd, 1554.
[3] იქვე, Hd, 621.

კი შაჰნავაზმა ვერხვნალა გამოართვა დონდარა მესტუმრეს, მის სანაცვლოდ მისცა 7 კომლი ყმა სოფ. სახუნდარაში და ვერხვნალა ისევ დაუბრუნა ოთარ გერმანოზისშვილს, რომელსაც ეს სოფელი უნდა მიეცა მისი კანონიერი მფლობელის, გუდარეხის მონასტრისათვის.[1] შემდეგ ეს სოფელი, სამწუხაროდ, არ ჩანს, როგორ ან როდის გამხდარა იასე ბარათაშვილის (თამაზაშვილების შტოს წარმომადგენელი) საკუთრება ალბათ ნასყიდობის გზით. 1680 წ. ვერხვნალა იასე ბარათაშვილ-თამაზაშვილმა ხელახლა შესწირა გუდარეხის მონასტერს, გარდა ცოვრეთის და ღორისთავის სახნავ-სათესებისა.[2] სამაგიეროდ გუდარეხის მონასტრის წინამძღვარს აღაპი უნდა გადაეხადა მისთვის. მაშინ უკვე გუდარეხის მონასტერი გერმანოზისშვილების საგვარეულო-სასაფლაო იყო. მოგვიანებით ვერხვნალას მოსახლეობის ნაწილი და ახოები გერმანოზისშვილებს ჩავარდნიათ ხელში, როგორც ჩანს, გამოწირვის გზით. ამ ფაქტს ადასტურებს 1721 წლის სტატისტიკური აღწერილობის მონაცემები, რომლის მიხედვითაც სოფელ ვერხვნალაში ყმა-მამული აქვთ ოთარ, დათუნა და ლუარსაბ გერმანოზისშვილებს.[3] ხოლო დანარჩენი სოფლის დიდი ნაწილი გუდარეხის მონასტრის საკუთრებაა. მაშასადამე, გუდარეხის მონასტრის კუთვნილი სოფელ ვერხვნალას ნაწილობრივი გამოწირვა მომხდარა გერმანოზისშვილების მიერ. მას შემდეგ, რაც გუდარეხის მონასტერი გერმანოზისშვილთა საგვარეულო სასაფლაოდ იქცა, ის გამოვიდა მეფის იურისდიქციიდან და დაექვემდებარა მანგლელს. ქართლის კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ 1690 წლის 26 მაისს მანგლელ ეპისკოპოსს გაბრიელ ჯავახისშვილს – „მიუმატა: ვაკე, ღორისთავი, გუდარეხი, ცოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდულეთი, გოგასგვერდი".[4] ჩამოთვლილთაგან ვაკე, ღორისთავი, ცოვრეთი, გუდარეხი, ვარხოვნა ნამდვილად გუდარეხის მონასტრისთვის შეწირული მამულები

[1] ხ. ი. ფ. Hd, 14 692.

[2] იქვე, Hd, 14 667ა.

[3] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 134, 135, 137.

[4] ხ. ი. ფ. Ad, 647.

იყო და მის სამფლობელოს წარმოადგენდა. დანარჩენი სოფლები საგერმანოზისშვილოში შედიოდა და სავარაუდებელია, გუდარეხის მონასტერს იქაც ჰქონდა ყმა-მამული.

გუდარეხის მონასტრის მიწათმფლობელობის ძირითად ფონდს შეწირული მამულები შეადგენდა, იქნებოდა ნასყიდიც, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ ჟამთა სიავის წყალობით ნასყიდობები არ მოღწეულა, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები კი მხოლოდ შეწირულებას ეხება.

ისტორიული დოკუმენტებისა და არქეოლოგიური განათხარი მასალის მიხედვით გუდარეხის სამონასტრო სენიორია მდიდარ სამონასტრო კორპორაციას წარმოადგენდა, რომელსაც საკუთარი ყმა-მამული, საკუთარი სოფლები, ვენახები და ხოდაბუნები ჰქონდა. გუდარეხის მონასტერს ყმები ჰყავდა: სოფელ გუდარეხს, ცოვრეთს, ვერხვნალას, ღორისთავს, აბელიას, ცხვრისს, ზას და სხვაგან. გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი თონეები, ბეღლები, მარნები ადასტურებს, რომ გუდარეხის მონასტერს ჰქონია მრავალდარგოვანი მეურნეობა.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი საკმაოდ მრავლადაა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

გუდარეხის სამონასტრო სენიორიის ერთ-ერთ საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს სასახლე, რომლის ქვედა სართულზე მარანი იყო მოთავსებული, ხოლო ზედა სართულზე – ფრესკებით მოხატული დარბაზი.

მარანი შენების მაღალი ტექნიკით გამოირჩევა. იგი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა სამონასტრო კომპლექსში. მარნის კუთხეში აშენებული იყო აუზი, რომელსაც თლილი ქვის პერანგი ჰქონდა შემოვლებული და ფსკერი მწვანე ფილაქნით იყო მოპირკეთებული. არქეოლოგების დასკვნით, აუზი ტკბილის დაგროვებისა და დაწრეტისათვის იყო გამოყენებული. ამას ადასტურებს მის გასწვრივ საყრდენ კედელში ამოჭრილი საწნახელი, საიდანაც

დანრეტილი ტკბილი მილით ამ აუზისკენ მიედინებოდა.[1] ეს მილი ორმაგი იყო. წვრილი მილი უფრო მსხვილ მილში იყო ჩასმული. ეს წვენსადენი მილებიც და მუხლებიც გარედან დუღაბით იყო გამაგრებული. მარანში 16 სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვანაირად დაცული ქვევრი აღმოჩნდა. მთელი მარანი კლდეზე იდგა და ქვევრების ჩასადგმელად კლდე იყო ამოკვეთილი. სასახლესთან ახლოს იყო ერთი ნაგებობა, რომელშიც 5 ქვევრი აღმოჩნდა. სასახლე და გუდარეხის მთავარი ეკლესია თანადროული ნაგებობებია და რუსუდან დედოფლის სახელს უკავშირდება. გუდარეხში ქვევრები სხვა ნაგებობებშიც აღმოჩნდა. ეს ბუნებრივია, გუდარეხის მონასტერს საკუთარი ზვრები და ვენახები ჰქონდა და მეღვინეობა განვითარებული იქნებოდა.

გუდარეხის მონასტერში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ერთი შენობა, რომელშიც უწესრიგოდ მიმოფანტული სხვადასხვა ზომის 14 ქოცო იყო: „ქოცოები პატარაა და ცხადია, ყველა ღვინისათვის არ იყო განკუთვნილი, ერთის გარდა ყველას სარქველი ჰქონდა, რომელიც უსწორმასწორო ბრტყელ ქვებს წარმოადგენდა, ერთ ქვევრს პირი მოსტეხოდა და ზემოდან მრგვლად ამოჭრილი, თლილი ქვა დაედოთ".[2] ჩვენი აზრით, ეს შენობა მარანი არ უნდა იყოს, იგი უფრო საკუჭნაოს წააგავს, სადაც საკვებ პროდუქტებს ინახავდნენ ბერები.

გუდარეხის მონასტერში მრავლადაა აღმოჩენილი თონეები და ორმოებიც, სადაც ხორბალს ინახავდნენ. ხორბალი მონასტერში მონასტრის ყმებს გუდარეხის ხოდაბუნებიდან მოჰქონდათ და გადასახადის გზითაც შემოდიოდა.

თონეებიდან უნდა გამოვყოთ ერთი საინტერესო თონე, რომელიც ტრადიციული მრგვალი თონეებისაგან განსხვავებით ოთხკუთხედი იყო. ჩვენი აზრით, ამ თონეში ხორცს სწვავდნენ, იმიტომ ეყარა თონეში წვრილფეხა საქონლის ძვლები.[3]

---

[1] გუდარეხი.., გვ. 97-98.
[2] იქვე, გვ. 70.
[3] იქვე, გვ. 61.

გუდარეხის მონასტერში აღმოჩენილია ბეღლებიც, რომლებსაც ზემოდან ხორბლის ჩასაყრელი ბანები ჰქონდათ.[1] აქვე, ერთ ოთახში აღმოჩნდა თონე, რომელიც ცალი მხრით კედელს იყო მიბჯენილი. თონის გვერდით ნაცრის სქელი ფენაც იდო. სიმხურვალის უკეთ შენარჩუნების მიზნით, ეს თონე ჩადგმული იყო მეორე უფრო დიდი დიამეტრის მქონე თონეში. კედელში დატანებული იყო თიხის მილი, რითაც ჭუჭყიანი წყალი ესხმებოდა გარეთ.[2] ეს ოთახი, ვფიქრობთ, სამზარეულო უნდა ყოფილიყო. ამ შენობის დათარიღება არქეოლოგებს გაუჭირდათ, მაგრამ ის კი აღნიშნეს, რომ იგი მთავარ ტაძარზე ადრე უნდა ყოფილიყო აგებული XII-XIII სს. მიჯნაზე. განათხარი ინვენტარიც XII-XIII სს. თარიღდება. ცალკე მსჯელობის საგანია გუდარეხის კერამიკა, რისი სიმრავლითაც გამოირჩევა სამონასტრო კომპლექსის განათხარი არქეოლოგიური მასალა.

დანიშნულების მიხედვით გუდარეხის კერამიკაში გამოიყოფა საამშენებლო ნაწარმი (აგურები, კრამიტები, ფილები, წყალსადენის მილები) და საყოფაცხოვრებო (ქვევრები, ქილები, ქოცოები, დოქები, სურები, ჯამები, თონეები) კერამიკა.

საამშენებლო კერამიკიდან აღსანიშნავია კრამიტები, რომელიც ორი ტიპისა იყო – ბრტყელი ქიმებიანი და ღარისებრი. ისინი სხვადასხვა ფერის ჭიქურით იყო დაფარული. ეს იყო მწვანე, მოყავისფრო და სოსანი ფერები. ბრტყელი ქიმებიანი კრამიტები თავში უფრო განიერი იყო და ვიწროვდებოდა ბოლოში, ხოლო ღარისებრი კრამიტები ორგვარი ტიპისა იყო: ჭრილში ნახევრადსფერული და ჭრილში სამკუთხოვანი.[3] აგურები კი კვადრატული და ბრტყელი ფორმისაა. თონეებთან ერთად სათონეში იყო თიხის მილები, რომლითაც კვამლი გარეთ გადიოდა, ე. ი. საქარეებად გამოიყენებოდა.

საყოფაცხოვრებო კერამიკიდან გვხვდება როგორც მოჭიქული, ისე მოუჭიქავი ჭურჭელი. გუდარეხის კერამიკულ ნაწარმში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მუცლიანი და ყელიანი ჭურჭელი,

---

[1] გუდარეხი.., გვ. 114.
[2] იქვე, გვ. 115.
[3] იქვე, გვ. 120.

რომელიც შემკულია ნიწვიანი სახეებით. მოჭიქულ კერამიკაში კი გამოირჩევა ძირითადად სამი ფერის კერამიკული ნაწარმი: ყავისფერი, მწვანე და სოსანი. ესენი უმთავრესად ჯამებია. გუდარეხის კერამიკულ კოლექციაში დიდი რაოდენობით მოიპოვება გამომწვარი თიხის თხელკედლებიანი ჭურჭლის ნამსხვრევები.

არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ განათხარ მასალაში უხვადაა დაუმთავრებელი კერამიკული ნაწარმი (ნახევარფაბრიკატები), რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღემატება,[1] რაც იმას ნიშნავს, რომ კერამიკულ ნაწარმს, როგორც საყოფაცხოვრებოს, ისე საამშენებლოს, ადგილობრივ ამზადებდნენ. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გუდარეხში მხოლოდ ადგილობრივ ნარმოებული კერამიკული ნაწარმი გამოიყენებოდა. აქ ადგილობრივი კერამიკის ნაწარმის გარდა, გამოიყენებოდა შემოტანილი კერამიკა. არქეოლოგებმა დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს ფაიანსის ნატეხები, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან, უმთავრესად ირანიდან შემოდიოდა.[2]

ასე რომ, გუდარეხის მონასტრის განათხარ მასალაში კერამიკული ნაწარმის დიდი რაოდენობით არსებობა იმითაც არის გამოწვეული, რომ გუდარეხის მონასტერში თვითონ ამზადებდნენ კერამიკულ ნაწარმს. აქ განვითარებული ყოფილა მეთუნეობა. თიხა კი, როგორც ჩანს, ადგილობრივ მოიპოვებოდა.

გუდარეხის მონასტრის განათხარ არქეოლოგიურ მასალაში ყურადღებას იპყრობს მონეტებიც. არქეოლოგებმა სულ აღმოაჩინეს 19 მონეტა, აქედან 18 ქართული, ხოლო ერთი მონღოლური. ორი მონეტა გაურკვეველი წარმოშობისაა, მაგრამ თუ არქეოლოგებს დავუჯერებთ, მათი ქართულობა ეჭვს არ იწვევს. გავეცნოთ ამ მონეტებს: 3 მონეტა გიორგი III (1156-1184 წწ.) დროსაა მოჭრილი, თამარ მეფისა (1184-1213 წწ.) 6 მონეტაა, ლაშა გიორგის (1213-1222 წწ.) დროინდელია 5 მონეტა, ორიც რუსუდანის (1222-1245 წწ.) მეფობას განეკუთვნება.[3] ნუმიზმატიკური მასალა და კერამიკული

[1] გუდარეხი, თბ., 1954, გვ. 127.
[2] იქვე, გვ. 126.
[3] იქვე, გვ. 123.

ნაწარმი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ გუდარეხის მონასტერი XII-XIII სს. მიჯნაზეა აგებული. ამას მხარს უჭერს შენობა-ნაგებობათა აგების ქრონოლოგიაც, რომელიც არქეოლოგიური განათხარი მასალის სინქრონულია, რადგანაც სწორედ თამარის ბრწყინვალე ეპოქა იყო ამხელა სამონასტრო კომპლექსის აშენებისათვის ხელსაყრელი ხანა.

ვახუშტის მიხედვითაც, სომხით-საბარათიანო, სადაც საგერმანოზისშვილოს სათავადო მდებარეობდა, საკმაოდ მდიდარი და ნაყოფიერი მხარე იყო. იგი გახლდათ ქვემო ქართლის ერთ-ერთი ეკონომიკურად დაწინაურებული რაიონი, სადაც მევენახეობა, მებაღეობა, მარცვლეული კულტურების მოყვანა მაღალ დონეზე იყო ასული. ქვემო ქართლში ასევე დაწინაურებული იყო მესაქონლეობა. ვახუშტი წერდა, რომ სომხით-საბარათიანოში ყველა ჯიშის საქონელი იყო გამრავლებული. „საბარათიანოში: „ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უმეტესი და მრავალნი აბრეშუმი და ბამბა მრავალი, პირუტყვნი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი, ყოველნი აურაცხელნი და ფრინველთ სანადირო წარჩინებულთა“.[1] გერმანოზისშვილებს ყმა-მამული ჰქონდათ სომხით-საბარათიანოს შემდეგ სოფლებში: ენაგეთს, კვესეთს, ტბისს, აბელიას, გუდარეხს, ცოვრეთს, ცხვრისს, ზას, კოხტას, კოიას, ბაბიას, აკურისს, სხალნარს, რევაშენს, დმანისს, ვერხვნალას, მძოვრეთს, მარაბდას, თაფანს, ანდრიას, საბუზარს და სხვა.[2]

არქეოლოგიური განათხარი მასალის, ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების მიხედვით გუდარეხის სამონასტრო სენიორია ერთ-ერთ მდიდარ და შეძლებულ სამონასტრო კორპორაციას წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში საკმაოდ მაღალ არქიტექტურულ დონეზე აგებული საკულტო თუ სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა სიმრავლე, კარგად მოკირწყლული ქუჩები, საწვიმარი ღარები შენობათა

---

[1] **ვახუშტი ბატონიშვილი**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324.

[2] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 130-138.

სახურავებზე და ადგილობრივ წარმოებული კერამიკული ნაწარმის საკმაოდ მაღალი დონე. ხოლო თონეების, ბეღლების, მარნების სიმრავლე კი იმის მაჩვენებელია, რომ გუდარეხის სამონასტრო სენიორია ეკონომიკურად, მატერიალური დოვლათის მხრივ შეძლებული და მდიდარი მონასტერი იყო. ასე იყო XVII საუკუნის ბოლომდე და XVIII ს. დასაწყისში. შემდეგ კი გუდარეხის მონასტერი თანდათან ღარიბდება და ჰკარგავს შეწირულების გზით მიღებულ ქონებას – ყმა-მამულს. ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე ჩანს, თუ როგორ აკლდება შემოწირული მამულები გუდარეხის მონასტერს. ეკონომიკური კრიზისების თუ ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივი მოვლენა იყო შეწირული მამულების უკან გამოწირვა. ასე რომ, ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების წყალობით გუდარეხის მონასტერი თანდათან დაცემისა და დაქვეითების გზას დაადგა.

XVIII ს-ის 20-იან წლებში ქართლში მძიმე ვითარება შეიქმნა. ვახტანგ VI დიპლომატიამ მარცხი განიცადა. მას კი მთელი სომხით-საბარათიანო უჭერდა მხარს. ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა გახდა. პაპუნა ორბელიანი წერდა, რომ ქართლი ოსმალებმა აღწერეს და მძიმედ დახარკეს: „სულზე ცხრა დრაჰკანი, ცხვარზე ორი შაური, ზროხაზე აბაზი, კამეჩზე და ცხენზე ექვსი შაური“.[1] ქართლს, მათ შორის საბარათიანოს, მძიმე დღეები დაუდგა. 1723 წ. დაწყებული ოსმალობა, 1735 წ. ყიზილბაშობამ შეცვალა. ყიზილბაშობა უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ოსმალობა. ამ დროს უფრო მძიმე ხარკი დაედო ქართლს. საბარათიანოს ძალიან გაუჭირდა.

1742 წელს გივი ამილახვარი აჯანყდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. ბარათაშვილების დიდი ნაწილი შაჰის ერთგული დარჩა. გივი ამილახვარმა იქირავა ლეკის ჯარი და საბარათიანო მოაოხრებინა. მას პირადი მტრობა ჰქონდა ბარათაშვილების ერთ-ერთ დიდ განშტოება ყაფლანისშვილებთან. ძალიან დიდი ზარალი მიადგა საბარათიანოს იმ ბრძოლების დროსაც, რომელიც წარმოებდა 1747-48

[1] პ. ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, თბ., 1981, გვ. 211.

წწ-ში აბდულა-ბეგისა (ვახტანგ VI ძმის იასეს ვაჟი) და ერეკლე II შორის. ამ შინაური ომების დროს ბარათაშვილთა ნაწილი ერეკლე მეფის მხარეზე იბრძოდა, ნაწილი – აბდულა-ბეგისა. „შეწუხდა საბარათიანო, – აღნიშნავდა პაპუნა ორბელიანი, – ვეღარ შეძლეს დგომა ქვეყანასა თჳსსა".[1]

XVIII ს. II ნახევარში ქართლში მძიმე ვითარება შეიქმნა. საბარათიანო გაოხრდა და აიყარა.. საგერმანოზისშვილოს სათავადოც გაპარტახდა. გერმანოზისშვილები ხშირად ყიდიან მამულებს, იღებენ ვალებს. ამას თან დაერთო ლეკების გაუთავებელი თარეში: „მოთარეშე ურდოებმა თითქმის დაასრულეს XVIII ს-ის 50-იან წლებში სომხით-საბარათიანოს საბოლოო განადგურება".[2]

ამ დროს გაოხრდა გუდარეხის მონასტერიც. იგი მტერთა შემოსევის შედეგად დაინგრა და გუდარეხის სამონასტრო სენიორიამ არსებობა შეწყვიტა. XVIII ს-ის მიწურულის შემდგომ იქ ცხოვრება აღარ განახლებულა. გუდარეხი დღესაც მიტოვებული მონასტერია.

ამრიგად, გუდარეხის სამონასტრო სენიორია, რომელიც XII-XIII საუკუნეებში იქნა აგებული ქვემო ქართლში, არქეოლოგიური განათხარი მასალის, ისტორიული დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების მიხედვით, შეძლებულ სამონასტრო კორპორაციას წარმოადგენდა XVIII ს. I ნახევრამდე. იგი ფლობდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ყმა-მამულს სომხით-საბარათიანოში, სამონასტრო მიწათმფლობელობის ძირითადი ფორმა კი, შეწირულობა იყო.

---

[1] პ. ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი", თბ., 1981, გვ. 139.

[2] მ. დუმბაძე, „ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის", საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 628.

თავი IV

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში

ჩუქურთმების მრავალფეროვნების, საამშენებლო ხელოვნების მაღალი დონისა და დახვეწილი ხუროთმოძღვრული სტილის გამო გუდარეხის სამონასტრო კომპლექსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. გუდარეხის მთავარი ტაძარი კი არქიტექტურის მხრივ, მართლაც, გამორჩეული ძეგლია.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი იმითაც არის აღსანიშნავი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, რომ ცნობილია მისი მაშენებლის და ხუროთმოძღვრის სახელები. სამწუხაროდ, წარწერაში ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძის სახელი არ იკითხება. მაშენებელი – რუსუდან დედოფალი კი, ჩვენი აზრით, დემეტრე თავდადებულის ასულია.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში მდებარე სამრეკლო, საამშენებლო წარწერის მქონე პირველი თარიღიანი სამრეკლოა საქართველოში. იგი ააგო 1278 წელს დემეტრე მეფის ჯვარისმტვირთველმა აბრაჰამმა.

ვვარაუდობთ, რომ სამონასტრო კომპლექსი აშენებულია XII საუკუნეში და, მართლაც, არქეოლოგიური განათხარი მასალისა და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით, მონასტერში შენობა-ნაგებობათა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა.

შენობათა დიდი ნაწილი გუდარეხის მონასტერში, არქეოლოგიური განათხარი მასალა და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით

აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი XII-XIV საუკუნეებით თარიღდება, ნაგებობათა მეორე, უფრო მცირე ნაწილი კი XVI-XVII სს. განეკუთვნება.

გუდარეხის ტაძარი დიდი, ერთნავიანი ეკლესიაა. „ჩრდილოეთის მხრიდან ეკლესიას მიშენებული აქვს (უფრო გვიანი) აფსიდიანი ეგვტერი, რომლის კედლებშიც ჩართულია რაღაც უფრო ადრინდელი შენობის (X-XII სს.) ფრაგმენტები. სამხრეთის შესასვლელის წინ გვიანდელი კარიბჭის ნაშთია. დამახასიათებელია აღმოსავლეთის ფასადისათვის გამოყენებული გუმბათიანი ეკლესიისათვის შემუშავებული სქემა. თითო სამკუთხა ნიშა საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი სარკმლის თავზე, სარკმლის ქვეშ კუთხით დასმული ჩუქურთმიანი კვადრების წყვილი (შუა ღერძის ასეთი კომპოზიციისათვის იხ. სამთავისი, იკორთა, ქვათახევი და სხვ.)... ჩუქურთმების შესრულება კარგ პროფესიულ დონეზეა“[1] – წერდა ვ. ბერიძე გუდარეხის ეკლესიის შესახებ. სხვათა შორის, გუდარეხის ეკლესიის კედლებში ვერტიკალურად ჩაშენებულია წარწერებიანი ქვები. წარწერები შესრულებულია ასომთავრულით და პალეოგრაფიულად X-XII სს. თარიღდება: „ქრისტე, შეიწყალე, ადამი“. „ქრისტე, შეიწყალე გიორგი“. როგორც ჩანს, ისინი ძველი ტაძრის ქტიტორები იყვნენ. ამიტომ ეს წარწერები გვავარაუდებინებს, რომ გუდარეხის ეკლესიის ადგილას X-XII ს-ში იდგა ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. იგი მტრის შემოსევის შედეგად დაინგრა და მის საძირკველზე ხუროთმოძღვარმა ჭიჭაფორისძემ ახალი ეკლესია ააშენა რუსუდან დედოფლის დაკვეთით. ჭიჭაფორისძე XIII-XIV ს-თა მიჯნის ხუროთმოძღვარია და ამიტომ გამოიყენა გუმბათიანი ეკლესიებისათვის შემუშავებული სქემა აღმოსავლეთის ფასადების გაფორმებისა, ხოლო საამშენებლო მასალად გამოიყენა ძველი, დანგრეული ეკლესიის ქვები. ასე აღმოჩნდა ახალ ეკლესიაში ჩაშენებული ძველი ეკლესიის წარწერებიანი ქვები და ადრეული შენობის ფრაგმენტები. ვ. სილოგავამ დაინახა მსგავსება თბილისის მეტეხის ტაძრისა (მაშენებელი დემე-

[1] ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, გვ. 158-159.

ტრე II თავდადებული) და გუდარეხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას (მაშენებელი რუსუდან დედოფალი, დემეტრე II-ს ასული) შორის. ეს მსგავსება ფასადების გაფორმებასა და ჩუქურთმების რეპერტუარს ეხება.[1]

გუდარეხის ეკლესიის ზომები გარედან მინაშენის გარეშე – 16,2 მ. – სიგრძე, სიგანე 9,5 მ. ასე რომ, ზომები შთამბეჭდავია და საერთოდ, მონასტრის საერთო ხედი – მომხიბლავი. რაც შეეხება სამრეკლოს, იგი ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს დგას და გალავანში ჩართული ორსართულიანი ნაგებობაა. როდესაც 1278 წელს აბრაჰამ ჯვარისმტვირთელმა ეს სამრეკლო ააგო, მაშინ, ცხადია, გუდარეხის ტაძარი დანგრეული არ იყო, იგი მოგვიანებით მტერთა შემოსევის შედეგად დაინგრა და ძველი ტაძრის საძირკველზე ხუროთმოძღვარმა ჭიჭაფორისძემ ახალი ეკლესია ააშენა რუსუდან დედოფლის დაკვეთით. ეს კი XIV ს. დასაწყისში მოხდა ჩვენი ვარაუდით 1306-20 წწ-ში.

გუდარეხის მთავარი ეკლესია საამშენებლო წარწერის მიხედვით წმინდა გიორგის სახელს ატარებს, მაგრამ ყველა ისტორიულ დოკუმენტში გუდარეხის ტაძარი მარიამ ღვთისმშობლის სახელობისაა. ამ საამშენებლო წარწერას სამხრეთიდან მიშენებული კარიბჭე ფარავდა, რომელიც XX ს. დასაწყისში ე. თაყაიშვილმა მოანგრევინა წარწერის უკეთ გამოჩენის მიზნით. ჩვენი ვარაუდით, გუდარეხის მონასტერი თემურ-ლენგის შემოსევებმა დააცარიელა და დიდხანს იყო უმოქმედოდ, მიშენებული კარიბჭე კი საამშენებლო წარწერას ფარავდა. ეტყობა დროთა განმავლობაში დაავიწყდათ, რომ ამ ეკლესიას წმინდა გიორგის სახელი ერქვა და მას მარიამ ღვთისმშობლის სახელი უწოდეს. ასე გახდა გუდარეხის წმინდა გიორგის სახელობის მთავარი ტაძარი მარიამ ღვთისმშობლის სახელის მატარებელი.[2]

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში სხვადასხვა შენობა-ნაგებობაა, როგორც საკულტო, ისე სამეურნეო დანიშნულებისა.

---

[1] ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228.

[2] ხ. ი. ფ. Ad, 2233; IId, 14 667a; Hd, 1564; Hd, 1554; Hd, 10301 და სხვ.

„სამონასტრო კომპლექსში გამოელენილია ორი ქრონოლოგიური ჯგუფი – სასახლე, სენაკები, მარანი, პილასტრიანი შენობა, საჯინიბო, ჩუქურთმიანი შენობათა კომპლექსი (XII-XIII სს.) და მინაშენები – პილასტრიანი შენობების ჩრდილო-დასავლეთით (XVI-XVII სს.). ორ ჯგუფად იყოფა კერამიკაც".[1]

გუდარეხის ეკლესია: „ნაშენია კარგად გათლილი კვადრებით. მოპირკეთებული ფასადები მდიდრულად არის მოჩუქურთმებული, შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები".[2] რაც შეეხება „სამრეკლოს ზემოთ რვამალიანი ფანჩატურაა, ქვედა სართული ღიაა".[3] გუდარეხის ეკლესია ფრესკებით ყოფილა მოხატული, ასევე ფრესკებით იყო მოხატული სასახლის მეორე სართულის დარბაზი, პირველ სართულზე კი, როგორც ქართული არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი, მარანი იყო მოწყობილი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის შენობა-ნაგებობათა მაღალი საამშენებლო ტექნიკა, ეს განსაკუთრებით ითქმის XII-XIV სს. ჯგუფის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. ასე რომ, გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის ნაგებობები გალავნით დაწყებული და მოკირწყლული ქუჩებით დამთავრებული, სამართლიანად ითვლება ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლებად.

გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების წარწერები და ისტორიული დოკუმენტები გუდარეხის მონასტრის ისტორიისა და გერმანოზისშვილთა საგვარეულოს შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის.

დასახელებული მასალის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ გუდარეხის მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის მთავარი ტაძარი ხელახლა აშენებულია XIV ს. 20-იან წლებში ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძის მიერ, ხოლო მაშენებელი, ჩვენი მონაცემებით, არის რუსუდან დედოფალი, დემეტრე II თავდადებულის ასული,

---

[1] ვ. ჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, გუდარები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, თბ., 1978, გვ. 891.

[2] იქვე, გვ. 891.

[3] იქვე, გვ. 891.

თაყა ფანასკერტელის ქვრივი, რომელმაც თავისი შვილების დღეგრძელობისა და თაყას სულის მოსახსენიებლად ააგო ეს ტაძარი.

ამ ეკლესიის „უფასოდ მაკურთხებლის“ ანტონ მანგლელის შესახებ წყაროებში მასალას ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა, ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ გუდარეხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და თბილისის მეტეხის ტაძარი, ხუროთმოძღვრული სტილისა და ჩუქურთმების რეპერტუარის მსგავსების გამო, ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძის აგებულია.

გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების წარწერები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გუდარეხის მონასტერი, რომელიც ადრე სამეფო მონასტერი იყო, 1643 წელს როსტომ მეფის წყალობის საფუძველზე, ბარათაშვილების ერთი დიდი განშტოების – გერმანოზისშვილების საგვარეულო საძვალედ იქცა. იქ გერმანოზისშვილთა სათავადოს წევრები იმარხებოდნენ XVII ს-ის II ნახევრიდან XVIII ს-ის I ნახევრის მიწურულამდე. დადგინდა, რომ გერმანოზისშვილთა სათავადოს საფუძველი ჩაუყარა გერმანოზ III ბარათაშვილმა XVII ს-ის 40-იან წლებში.

ისტორიული დოკუმენტების მეშვეობით შევძელით დაგვეზუსტებინა გუდარეხის მონასტრის საფლავის ქვების წარწერებში მოხსენიებული ისტორიული პირები, რომლებიც გერმანოზისშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. დავათარიღეთ ამ პირთა გარდაცვალების დრო. შესწორდა ზოგიერთი საფლავის ქვის წარწერის აქამდე მიღებული წაკითხვა.

აღმოჩნდა, რომ გერმანოზისშვილთა გვარი საკმაოდ დაწინაურებული იყო ქართლის სამეფო კარზე. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები მემკვიდრეობით ფლობდნენ: ბოქაულთუხუცესის, მეჯინიბეთუხუცესის, თრიალეთის ახალქალაქის, ტამალიისა და ყოშა-გერის მოურავობას. მათ ეკავათ შედარებით მცირე – მილახორბაშის, მემანდარბაშის, უზბაშის და იასაულის თანამდებობებიც.

წყაროების შესწავლის საფუძველზე ვაჩვენეთ, რომ, თუ XVII ს. II ნახევარსა და XVIII ს-ის დასაწყისში გერმანოზისშვილები ყმამამულს იძენენ და აქტიურად ზრუნავენ სათავადოს გაფართოებისათვის, XVIII ს-ის II ნახევრიდან გერმანოზისშვილთა სათავადოს

სახლის წევრების ძირითადი საზრუნავი დაკარგული ყმა-მამულის დაბრუნებაა. ამიტომაა, რომ გერმანოზისშვილთა დოკუმენტების დიდი ნაწილი XVIII ს-ში ან სამამულე დავის წიგნებია, ან არზა-ოქმები.

დოკუმენტები ცხადყოფს, რომ გუდარეხის მონასტრის მიწათ-მფლობელობის ძირითად ფონდს შეწირული მამულები შეადგენდა. უეჭველად იქნებოდა მონასტრის მიერ ნასყიდი მამულებიც, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. ნასყიდობების დოკუმენტები ჟამთა სიავის წყალობით ჩვენამდე მოღწეული არ არის. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული საბუთები კი მხოლოდ შეწირულობას ეხება.


ისტორიული დოკუმენტების, არქეოლოგიური განათხარი მასალისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების მიხედვით, გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი აშენებულია XII-XIII სს. მიჯნაზე. ეს სენიორია მდიდარ სამონასტრო კორპორაციას წარმოადგენდა. მას საკუთარი სოფლები, ყმა-მამული, ზვრები, ვენახები, ხოდაბუნები ჰქონდა. გუდარეხის მონასტერს ყმა-მამული ჰქონდა სოფელ გუდარეხს, ცოვრეთს, ვერხვნალას, ღორისთავს, აბელიას, ცხვრისს, ზას და სხვაგან.

გუდარეხის სამონასტრო კლმპლექსში მრავლადაა აღმოჩენილი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები: თონეები, ბეღლები, მარნები, საკუჭნაოები, დიდი რაოდენობით მიკვლეული ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ადასტურებს, რომ გუდარეხის მონასტერს ჰქონდა მრავალდარგიანი მეურნეობა და მატერიალური დოვლათის მხრივ შეძლებულ სამონასტრო სენიორიას წარმოადგენდა.

ვაჩვენეთ, რომ გუდარეხის მონასტრის უკანასკნელმა წინამძღვარმა დომენტი გერმანოზისშვილმა, რომელიც აქტიური და გავლენიანი ფიგურა იყო ქართლის სამეფო კარზე, XVIII ს-ის დასაწყისში აღადგინა და რესტავრაცია გაუკეთა მტრისაგან დაქცეულ გუდარეხის მონასტერს, ამის შემდგომ კი გუდარეხის სამონასტრო სენიორია კარგავს შეწირულობის გზით მიღებულ ქონებას, აკლდება ყმა-მამული და მისი ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება.

ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობამ, გარეშე მტრების შემოსევებმა, განსაკუთრებით კი ლეკიანობამ და

შინაფეოდალურმა ომებმა საბოლოოდ დაანგრია და გაანადგურა გუდარეხის მონასტერი. XVIII ს-ის 50-იან წლებში გუდარეხის სამონასტრო სენიორიამ არსებობა შეწყვიტა.


გერმანოზი
1627-43 წწ.
ოთარი + მარიამი
1638-79 წწ.
ბოქაულთუხუცესი
პაატა
1638-80 წწ.
მეჯინიბეთუხუცესი
ბერი
(არსენი)
ეარაზა
1638-98 წწ.
მეჯინიბეთუხუცესი
როსები
1644 წ.
იასე + თინათინი
1672-1712 წწ.
მოურავი
გუგუნა
1662-99 წწ.
მეჯინიბეთ-
უხუცესი
გერმანოზი
1688 წ.
პაპუნა + ანახანუმი
1669-1707 წწ.
ბოქაულთუხუცესი
დომენტი
1690-[1740] წწ.
წინამძღვარი
გუდარეხისა
გიორგი
1690-93 წწ.
ლუარსაბი
1690-1736 წწ.
ოთარი
1716-52 წწ.
მოურავი
დარეჯანი
გერმანოზი
1723 წ.
დათუნა + თამარი
1693-98 წწ.
ბოქაულთუხუცესი
ომანი
1716 წ.
პაატა
1698-1736 წწ.
ბუში ბეჟანა
გიორგი
1748-66 წწ.
ავთანდილი
იასე
ნიკოლოზი
ივანე
მერაბი
პაპუნა
გუგუნა
1752 წ.
ქაიხოსრო
პაატა
მეჯინიბეთ-
უხუცესი
ოთარი
1747 წ.

Мчедлидзе Гулико

ГУДАРЕХИ

(ИЗ ИСТОРИИ МОНАСТЫРСКИХ СЕНЬОРИЙ КВЕМО КАРТЛИ)

Резюме

Гударехский монастырский комплекс находится в Квемо Картли, в нынешнем Тетрицкаройском районе, в устье реки Гударехи, который является правым притоком реки Алгети. Территория исторического Квемо Картли и его границы менялись с течением веков. В работе показаны эти изменения и в ней сказано, что в конце XV века на территории бывшего княжества Багваш-Орбели было основано новое княжество – Сабаратиано, основателем которого был Барата Качибадзе.

Гударехи представляет с собой монастырский комплекс, окруженный искусно заложенной оградой, включающий, приблизительно, 4,5 га земли. Монастырский ансамбль состоит из главного собора, колокольни, дворца, конюшни, церкви, келий для монахов, трапезной, винного погреба, торне, амбаров и разных культовых и хозяйственных строений; некоторые из них разрушены.

Гударехский монастырский комплекс построен на длинной и узкой скале. Большинство зданий построено тесаным камнем и выделяется довольно высоким качеством обработки камня.

Отдельно рассмотрены в работе основные здания и строения гударехского монастырского комплекса.

По мнению археологов, большая часть Гударехского монастыря и раскопанный археологический материал датируются XII-XIII веками. А малая часть зданий и строений построена в XVII-XVIII веках. Нумизматический и большинство керамического материала относится к XII-XIII векам, это говорит о том, что Гударехский монастырский ансамбль

построен на рубеже XII-XIII веков, когда в стране действительно была возможность строить подобные монастырские комплексы.

Красотищем Гударехского монастырского ансамбля является собор Святого Георгия, который представляет собой большую однокораблевую церковь. Она оштукатурена и построена из больших тесаных камней, на стенах есть даже и остатки фресок. У этого собора две пристройки – с севера часовния и с юга – врата. Поэтому он был разрушен Эквтиме Такаишвили, с целью лучшего показа надписи

В строительной надписи сказано, что Гударехская церковь имени Святого Георгия построил Чичапорисдзе в знак долголетия царицы-цариц Русудан и её детей. Антон Манглели бесплатно освятил данную церковь (прочтение Э. Такаишвили). Упомянутую в данной надписи Царицу Русудан Д. Бакрадзе и Мари Бросе считали тётей царицы Тамар (сестры отца царицы). А Э. Такаишвили Царицу Русудан признал дочерью Царицы Тамар – Царицей Русудан. За датой строительства собора он принял 1223-1247гг. Грузинская историография сегодня разделяет такое датирование и строителем главного собора Гударехского монастыря признана царица Русудан, а датой строительства 1222-45 гг.

В Гударехском монастырском комплексе расположена первая датированная колокольня с надписью. Согласно этой надписи колокольни она построена в 1278 году ключарём царя Деметре – Авраамом. Ключарь Авраам в 1284 году стал Католикосом Грузии и был известной политической фигурой на королевском дворе Грузии.

В подтверждение того, что главный собор Гударехи построен не Царицей Русудан, а Царицей Русудан, дочерью Царя Деметре, в монографии приведены следующие аргументы:

1. Ни в одной строительной надписи зодчий не упоминается до царя.

2. Строителем Гударехской церкви имени Святого Георгия является "царица" Русудан, дочь Царя Деметре А Царица Русудан ни в одном историческом источнике не упоминается только с титулом "царицы", везде подчеркивается, что она царица единой Грузии.

3. Во времена царствования Русудан (1222-1245гг.) сначала набеги хорезмийцев, а затем монголов "Привели к опустошению всех деревень Картли". Если довериться словам летописца: "Эрети и Кахети, Сомхити и Картли, вся страна испытывала горькое опустошение". Как видим, при царствовании Русудан в Квемо Картли не было возможности построить большой монастырский комплекс.

4. Оказывается, что монахам Гударехского монастыря и представителям царской фамилии Картли было известно о том, что строитель главного собора Гударехского монастыря – Царица Русудан, дочь Царя Деметре была захоронена в гударехском монастыре. В то время, как Царица Русудан скончалась в Тбилиси от тяжелой болезни, была перевезена и захоронена в Гелати – в фамильной гробнице царей единой Грузии. Позднее, Царь Луарсаб (1606-1614 гг.) посетил могилу Царицы Русудан в Гударехском монастыре и даже пожертвовал поместья.

Таким образом, строитель Гударехского монастыря – Царица Русудан, дочь Царя Деметре была ошибочно отождествлена с Царицей Русудан. Ясно, что они были разными личностями.

Естественно, ставится вопрос, тогда кто же была "царица" Русудан, упомянутая в строительной надписи Гударехской церкви?

Русудан, дочь царя Деметре II, которая родилась у царя от дочери Трапзонского кесаря.

В 80-х годах XIII века царь Деметре свою дочь Русудан выдал замуж за сына Буга – самого влиятельного лица в Монголии. Как видно, царь Деметре сделал такой шаг исходя из политических мотивов – с целью упрочения влияния на дворе Монгольского хана. Нужно отметить и то, что во времена царствования Деметре, в Грузии начались сравнительно мирные времена. Кончились времена завоеваний и для нашей страны наступили времена платежа дани, строительства страны, разрушенной во времена завоевательных воин.

В 1288 году стало известно о заговоре Буги против Аргун хана. Бугу и членов его семьи казнили. Ничего не известно о том, как Царица Русудан спаслась от смерти. Может, в то время она находилась в Грузии и таким образом спаслась от казни. В 1289 году Деметре II Тавдадебули Монголы отсекали голову. По нашему наблюдению, причиной смертельной казни Царя Деметре кроме участия в заговоре и предательства Хутлу-Буги (сына Садуна Манкабердели) было и его огромное богатство. По словам летописца, царь Деметре накопил "несметное богатство". Увидев царскую сокровищницу царя Деметре, удивился даже сам Аргун хан.

Дочь царя Деметре – Русудан, после кончины первого мужа и смертельной казни отца, как это утвердительно выяснил Э. Метревели, вышла замуж за Таки Панаскертели. В синаксаре Иерусалимского монастыря Джвари записаны три поминки Русудан – дочери царя Деметре (№ 65, 131, 250). Царица Русудан и Така Панаскертели

отправили 7000 тетри Иерусалимскому монастырю Джвари, 1000 тетри были отдельно отправлены Царицей Русудан для панихиды.

Дочь царя Деметре – Русудан в 1306 году построила часовню Вачедзорской церкви в Олтиси. Э. Метревели думает, что к этому времени Така Панаскертели уже скончался, хотя, он и сомневается в этом. Прочтение строительной надписи Вачедзорской часовни по Э. Такаишвили требует некоторого уточнения, тем более, что в 1306 году Така Панаскертели был жив. Как сообщает летописец, в 1306 году Така Панаскертели боролся с полчищем Азат-Мосе у подножия Тортумской крепости. В надписи также написано, что "Их деньгами" был построена эта часовня. "ТК" по прочтению Э. Такаишвили означает "Даутавет Ковелта". Мы думаем, что "ТК" означает "Така", исходя из вышесказанного, восстановление надписи "ТК" по Э. Такаишвили неправильно и по "ТК" мы должны прочитать "Така". Так как именно "Их деньгами" (т. е. Русудан и Таки) была воздвигнута эта часовня. Известно, что фамилия Панаскертели является тем разветвлением Аспанисдзе, которым заложил основу Закария Аспанисдзе. Царица Тамар для пометий даровала ему город-крепость Панаскерти, после чего эта ветвь Аспанисдзе была переименована в Панаскертели. Панаскертели были эриставами Шавшет-Кларджети и Тао-Спери.

В работе разделено предположение Э. Метревели, согласно которому, пожертвование "царицы" Русудан и Таки Панаскертели до Иерусалимского монастыря Джвари доставил Царь Вахтанг (1298-1308 гг.). Он был братом Царицы Русудан. В 1299 году он принимал участие с монголами в походе грузинских войск против египетского султана. Как видно, царь Вахтанг и действительно посетил монастырь Джвари, это подтверждается и в № 206 поминки царя Вахтанга 48-й таблицы монастыря Джвари. В этой же самой таблице есть и поминки Русудан и Таки, что говорит о том, что они были современниками. Поминки датируются I четвертью XIV века.

По нашим предположениям, после кончины Таки Панаскертели, дочь царя Деметре – Русудан приехала в Квемо Картли, где она, предположительно, в 1306-20 годах в царском монастыре Гударехи построила главный собор имени Святого Георгия. Говоря словами Царя Луарсаба, "царица" Русудан эту церковь "хотела для своей могилы". Она там и похоронена. То, что монастырский комплекс Гударехи построен намного раньше, в XII-XIII веках, свидетельствуют археологические материалы и хронология зданий и строений Гударехского комплекса. То, что на месте главного собора

раньше стоял другой собор, подтверждается фрагментами бывшего здания, встроенными в стенах этого собора, среди них и камни с надписями. Они встроены в стенах вертикально. Палеографически эти надписи датируются X-XII веками. Упомянутые в этой надписи Георгий и Адам, наверное, были ктиторами старого собора. Хотя строения Гударехского монастыря датируются XII-XIII веками, там же есть и здания XIV века и более поздние, что вполне естественно. К монастырскому комплексу постепенно добавлялись здания и строения. Некоторые из них разрушались и вместо них строились новые.

Гударехи был царским монастырем до 1643 года, до того, пока царь Ростом не даровал его фамилии Германозишвили в качестве фамильной усыпальницы. Этот факт подтверждается могильными камнями фамилии Германозишвили, сохранившимися до сих пор с высеченными на них надписями.

Наше мнение о том, что дочь царя Деметре – Русудан, была строителем Гударехского монастыря, полностью разделил В. Силогава. Он опубликовал строительную надпись на церкви Святого Георгия со значительными новшествами. В. Силогава в надписи вычитал имя "Така", такое чтение значительно отличается от чтения Э. Такаишвили. В. Силогава читает "Ради души Таки", в то время, как Э. Такаишвили читал "Ради моей души". Надпись "ТК" явно читается на фотопленке, под которой, естественно подразумевается Така Панаскертели (супруг "царицы" Русудан). Во время строительства Гударехской церкви Таки Панаскертели уже не было в живых, это и отразилось в надписи.

Но чтение некоторых мест данной надписи по В. Силогава вызывает некоторое сомнение. Например, он пишет: "Требует отдельного внимания слова "светило матерей", сказанное в адрес Русудан. Не означает ли это, что Русудан стало монахиней – настоятельницей женского монастыря. А сам Гударехи был женским монастырем" (Дманиси II, 2000, стр. 149). Трудно сказать, был ли Гударехи женским монастырем или мужским обителем с самого начала. В исторических документах это не указано. Хотя, позднее, он действительно был мужским монастырем. В. Силогава надпись "ⴑⴑ" прочитал как "светило матерей". Считаем, что чтение Э. Такаишвили "Царица-Цариц" правильнее. Если бы "царица" Русудан стала бы монахиней, и скажем, не поменяла бы своего имени, тогда бы она не упомянула бы себя мирским титулом – "царица". Ни одна монахиня не нарекла бы себя эпитетом "светило матерей". Христианская скромность не разрешила бы. Если правильно чтение "светило

матерей", то, может быть, это означает, что Русудан была особой личностью среди женщин, славящаяся своей благотворительностью, поддерживая монастырские очаги за рубежом.

В. Силогава принадлежат интересные наблюдения о схожести некоторых деталей Гударехского собора и Метехской церкви. Метехский собор построил Деметере Тавдадебули, а Гударехи дочь Деметре Тавдадебули – Русудан. Схожесть орнамента репертуара и декора была вызвана тем, что у них был один зодчий. Можем предположить, что их строителем был зодчий Чичаприсдзе.

Таким образом, монастырский комплекс Гударехи построен на рубеже XII-XIII веков, во времена царствования Тамар. Главный собор Гударехи им. Святого Георгия, разрушенный во время вражеских набегов, был заново построен "царицей" Русудан, дочерью Деметре Тавдадебули в 20-х годах XIV века. Зодчий был Чичаприсдзе, а Антон Манглели "бесплатно освятил его".

Сабаратиано, как независимая феодальная сеньория сформировалась в XV в.

Данный век является, действительно, особым в истории Грузии. Данная особенность выражается распадом единого государства, в сформировании системы княжеств и во множестве вновь возвысившихся феодальных фамилий. Исчезновение старых феодальных фамилий с исторической арены было вызвано опустошительными нашествиями Темур-Ленга. Дальнейшее развитие крепостничества заложило основу системе княжеств, а это вызвало возвышение новых феодальных фамилий. Данному процессу содействовала и государственная власть, как фактору заселения страны.

Княжество представляло с собой социально-экономическую и административную единицу. Князь являлся чиновником царя, а княжество чиновничеством. Но реально, княжество было превращено в родовое поместье и передавалось от отца к сыну. Княжество являлось аналогичным сеньориям стран Западной Европы. Княжество было той единственной силой, опираясь на которой, царская власть осуществляла управление страной (Г. Джамбуриа). Глава княжеского дома имел определенные обязанности перед царской властью. В основном это были, вывод войск и сбор государственных налогов. Во главе княжества стоял глава феодального дома - князь, который был подотчетен царю. Княжеством управлял князь. Члены княжеской семьи также имели определенные обязательства перед царем. Центральная власть упорядочивала черед однофамильцев. Царский двор им раздавал даже чины. Царская власть особо покровительствовала

преданным князьям. Царь выступал даже защитником княжеств, так как в ее интересы не входили раздоры между членами княжествами дома, которые могли бы перерасти во внутреннюю феодальную войну, поэтому, система княжеств продержалась в течение четырех веков. Думаем, что княжество, как административно-политическая единица, была прогрессивным явлением на первом этапе своего существования, но когда княжество оформилась окончательно, на последней стадии позднего феодализма, исполнение воинского долга княжеские дома считали даже и лишним бременем. Князья ограничивались только интересами своего княжества и их совсем не волновали интересы страны.

Сформирование нового княжества Сабаратиано на территории старого Саорбело в Квемо Картли приходится именно на XV век, на основе которой в XVI-XVII веках сформировались 9 новых княжеств.

В работе разделено мнение С. Джанашиа, согласно которому основу фамилии Бараташвили заложил Барата Качибадзе. Данное мнение не ново, еще Вахушти Батонишвили отмечал, что Бараташвили были потомками Качибадзе. Бараташвили тоже хорошо знали свое происхождение. Бараташвили называли Барату Качибадзе "Великий Барата", который дал начало фамилии Бараташвили и новому княжеству Сабаратиано. В списке фамильных книг Бараташвили, написанном 1691 году, и данным на хранение Горджаспи Бараташвили упоминается "Книга Илариона, данная Качибадзе" (И. Р. Ф. sd 1931). Правда, данный исторический документ до нас не дошел, но главное то, что Бараташвили хранят документ Качибадзе, как документ своего предка. Так, что стоит разделить мнение С. Джанашиа о происхождении фамилии Бараташвили от Барата Качибадзе.

В монографии опровергается предположение, высказанное в грузинской историографии об объявлении Джавахишвили или Орбели в качестве предков Баратасшвили. Сделать такое заключение не дают возможность ни грамоты-гуджары и не наратические источники. Бывшую территорию Саорбело потому назвали Сабаратиано, что там изменилась фамилия владельца, ими стали Бараташвили. Саорбело, по прежнему, осталось бы Саорбело, если бы предками Бараташвили были бы старые Орбели.

Сабаратиано было большим княжеством. Оно включало в себя Алгетское, Машаверское и Кцийское ущелья. В XVI веке княжество Бараташвили территориально выросло, возросло число их поместий и крепостных, расширилась и фамилия Бараташвили. Поэтому

Бараташвили в XVI веке несколько раз разделилась. В 1523, 1537-38 и в 1543 годах. На почве их разъединения зародилось несколько княжеств.

Разъединение Иотам и Орбел Бараташвили в 1537-1538 годах заложило основу двум новым княжествам. Этими княжествами были Саорбело и Саиотамишвило (ЦГИА, стр. 1450, 21-112). После их разделения Машаверское и Кцийское ущелья достались Иотаму, а Алгесткое – Орбели.

Сначала, Бараташвили были казначеями царя, а позднее –моларетухуцесами. Затем они получили более высокий чин – главнокомандующего Сомхит-Сабаратиано. Бараташвили имели большое влияние на дворе Картлийского царя во время царствования Царя Константина (1479-1505 гг.) и Давида X (1505-1525 гг.). Тот факт, что Царь Константин своего сына Давида женил на дочь Давида Бараташвили – Нестан-Джари, указывает о большом авторитете Бараташвили. Цари Картли охотно применяли "войска Баратиани" против врагов-завоевателей. Бараташвили были защитниками царской власти и поэтому царский двор им жаловал высокие титулы. Они активно боролись за расширение территорий княжества. Приобретали поместий и крепостных. Резиденцией княжества Сабаратиано было Самшвилде. А однофамильцы Сабаратиано сидели в разных уголках княжества и у них были свои поместья. Данные поместья стали независимыми княжествами. Сабаратиано, как независимое княжество, было разделено и на его почве образовалось девять новых независимых княжеств. Эти новые феодальные сеньории были: Саиотамишвило, Сагосташабишвило, Сакапланишвило, Сагерманозишвило, Сазурабишвило. Отдельные княжества имели также и Палаван-Хосрошвили, Иаралишвили, Кавтаришвили, Абашишвили.

